გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№58 (814) 27 - 28 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ჩოჩელთან ასოცირებული ლუდის კომპანია „ვერსიას“ სასამართლოში უჩივის და 50 ათას ლარს სთხოვს!

5 მაისს „ვერსიის“ რედაქციას სარჩელი ჩაბარდა, რომლითაც გაირკვა, რომ მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორ, ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელთან ასოცირებული საწარმო „ქართული ლუდის კომპანია“ გაზეთ „ვერსიას“ სასამართლოში უჩივის და 50 ათასი ლარის გადახდას სთხოვს

სააკაშვილი ბოკერიას განირავს?!

გვ. 3

გიგი უგულავა და თამარ ჩერგოლეიშვილი სააკაშვილს აუმხედრდნენ!

კონფიდენციალური წყაროების თქმით, „ოცნების“ ცალკეულ ლიდერებსა და სააკაშვილს შორის თითქოს მოლაპარაკება შედგა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი ბოკერიას მოხსნის და უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს, სავარაუდოდ, გია ხუხაშვილი დაიკავებს

ქდმ სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვს

„მერაბიშვილის დაჭერით ივანიშვილმა საშინაო მხარდაჭერა გაიმყარა!“

რა მსგავსებას ხედავს ირაკლი ღარიბაშვილთან და რატომ არ მოსწონს ვანო მერაბიშვილთან გაიგივება შს ყოფილ მინისტრ კობა ნარჩემაშვილს

გვ. 6

მხოლოდ 40 თეთრი

სუპერმარკეტი „სმარტი“ ხორცპროდუქტების ასორტიმენტს ზრდის

გვ. 7

გედევან ფოფხაძე: „ყველამ აიშვა“!

„იმედი მაქვს, „მეუფის პარტიის“ შექმნა პატრიარქის პოზიცია არაა, წინაალმდეგ შემთხვევაში, მრევლი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება!“

გვ. 5

ინტერვიუ, რომელიც ყველა მწეველმა უნდა წაიკითხოს!

მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში თამბაქო აღარ გაიყიდება, სტადიონზე, ოფისში, რესტორანსა და კაფე-ბარში მოწევისთვის კი დაგაჯარიმებენ!

გვ. 7

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „მე და ვანოს საქმე სასაცილოდ ნამდვილად არ გვაქვს!“

გირაოთი გათავისუფლებული კახეთის გუბერნატორი ნანა კაკაბაძეს ურჩხულს უწოდებს

გვ. 8

საქართველოს „მშვიდობიანი მუსულმანიზაციის“ საიდუმლო თურქული გეგმა

გვ. 12

ვაკის პარკის სამშენებლო კოშმარი

გვ. 11

თბილისის თოჯინების მუზეუმით ესპანელი და ირანელი მეთოჯინეები დაინტერესდნენ

ეღირსება თუ არა თოჯინების მუზეუმს საკუთარი შენობა

გვ. 14

რეპორტაჟი წვიმიანი 26 მაისიდან

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ყოველ წელს პომპეზურად — სამხედრო აღლუმით აღნიშნავდა. წელს კი, აღლუმი არ გამართულა და ახალმა ხელისუფლებამ 26 მაისი სიმბოლურად აღნიშნა. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თორმეტ საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა კოკისპირულმა წვიმამ გეგმები შეცვალა. სხვათა შორის, ღრუბლების გასაფანტად გრადიც კი გაისროლეს, თუმცა ამაოდ...



პარლამენტის წინ დამონტაჟებულ სცენაზე „სუხიშვილებს“ უნდა ეცეკვა, მეორე სცენაზე, რომელიც პირველ სკოლასთან იყო დამონტაჟებული, თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული კულტურული ღონისძიებები უნდა გამართულიყო... მესამე სცენაზე კი, რომელიც თეატრალური უნივერსიტეტის წინ იყო მოწყობილი, წარმოდგენა პანტომიმის თეატრის მსახიობებმა გამართეს... ბოლოს, როგორც იქნა, წვიმამ გადაიღო და „სუხიშვილებმაც“ იცეკვეს და სხვა დაგეგმილი კულტურული ღონისძიებებიც ჩატარდა. 26 მაისს მხოლოდ ბავშვებს არ გაუმართლა — ბასტი-ბუბუ პროგრამიდან „ამოვარდა“...

თავისუფლების მოედანზე მობილიზებულ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს მინისტრმა ირაკლი ალასანიამ 26 მაისი მიულოცა და მხნეობა უსურვა.

„ჯარისკაცებო, გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! თქვენ დღეიდან, უდიდესი მისია გაკისრიათ — დაიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა. შეიარაღებული ძალების დევიზია: სამშობლო, ღირსება, ერთგულება! დარწმუნებული ვარ, ღირსეულად და ერთგულად დაიცავთ ჩვენს სამშობლოს. შეიარაღებული ძალები დიდი და მტკიცე ოჯახია, სადაც საერთოა ლხინიც და ჭირიც. ერთად შევძლებთ, დავიცვათ ჩვენი წინაპრების მონაპოვარი — სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. საქართველოს მთავრობის სახელით, გისურვებთ სულიერ სიმტკიცეს, რაც ჯარისკაცს ყველაზე მეტად სჭირდება. ღმერთი იყოს შეიარაღებული ძალებისა და სრულიად საქართველოს მფარველი!“ — მიმართა ჯარისკაცებს ირაკლი ალასანიამ.



საზეიმო ფიცის დადების შემდეგ, სამხედროებმა რუსთაველის გამზირზე, საზეიმო მარშით ფეხით ჩაიარეს...

ქვეყნის მთავარი გამზირი ეროვნული გმირების, მსახიობებისა და საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი ფოტოებით იყო გაფორმებული. მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ წინ მოწყობილ სტადიონზე ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. აქვე იყო ქართული საკვები პროდუქტების, რეწვისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, პარლამენტთან შეკრებილი ასამდე ადამიანი „სუხიშვილების“ კონცერტის დაწყებას ელოდა, თუმცა იქ მთავრობის წევრები და სხვა პოლიტიკოსები არ გამოჩენილან, მხოლოდ „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე იყო თანამოაზრეებთან ერთად.

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს განწყობა ოპტიმისტური უნდა იყოს. ოპტიმისტები ვართ, მაგრამ მხიარულად არ ვართ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერ მოვიყვანეთ ეროვნული ცნობიერების მქონე მთავრობა. ვაპირებთ ბრძოლას, სანამ ცოცხლები ვართ“, — განუცხადა „ვერსიას“ ნათაძემ.

რიგითი თბილისელები ხუმრობდნენ, პოლიტიკოსები და მთავრობის წევრები წვიმამ შეაშინა და რუსთაველზე ამიტომ არ მოვიდნენო.

რესპუბლიკის მოედანზე სამხედრო ტექნიკა იყო გამოფენილი. ხალხმრავლობაც სწორედ აქ იყო: ზოგი იარაღს სინჯავდა, ზოგიც სამხედრო ტექნიკასთან ფოტოსურათებს იღებდა...

ისე, ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება და, ალბათ, ისიც სიმბოლური იყო, რომ 2011 წლის სისხლიანი 26 მაისის მსგავსად, წლევანდელ 26 მაისსაც წვიმდა...

სააკაშვილი ბოკერიას გაწირავს?!

ნათია აბაშიძე

ხერხემალყოფილის დაკავება ნაცმოძრაობისთვის ერთგვარ ლუსტრაციად იქცა. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ვანო მერაბიშვილი გისოსებსმიღმა აღმოჩნდა, ყოფილ მმართველ გუნდში, როგორც „ვერსიას“ კონფიდენციალური წყარო ეუბნება, ერთობ უცნაური პროცესები დაიწყო.

წყაროს ნათქვამს, ასე ვთქვათ, მზის გულზე მომხდარი მოვლენებიც ამყარებს. ასე, მაგალითად, უშიშროების მდივნის თანამეცხედრემ, ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა, რომელიც ხშირად არამოტივირებულად იცინის ხოლმე, მიხეილ სააკაშვილს სულ წუწკი ეძახა და არც იმის თქმა დავიწყებია, რომ თუკი ნაცმოძრაობა სააკაშვილის ჰომოფობიურ განცხადებებს არ გაემიჯნება, ექსმმართველი პარტიის მხარდაჭერაზე უარს იტყვის.

ჩერგოლეიშვილს მხარი, პირდაპირ თუ ირიბად, თბილისის მერმა გიგი უგულავამაც აუბა და პრეზიდენტი კეკლუცობაში დაადანაშაულა.

„სააკაშვილის გამონათქვამი 17 მაისის მოვლენებზე ერთ ნაწილში არ მომეწონა და ამას ღიად ვამბობ. სააკაშვილის განცხადებას ჰქონდა დეტალი, რომელსაც კეკლუცობის დეტალს დავარქმევდი“, — განაცხადა ბატონმა მერმა.

იმის თქმა, რომ უგულავამ მერაბიშვილის დაჭერა ძალიან განიცადა და სააკაშვილსაც „აღელვების ნიადაგზე“ „მისცხო“, ალბათ, „ყურით მოთრეული“ იქნება, რამეთუ წლებია, კულუარებში ამბობენ, გიგი და ვანო ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენო. ასევე, ცნობილია, რომ გიგა ბოკერია და ვანო მერაბიშვილი ურთიერთსიმპათიით არასოდეს გამოირჩეოდნენ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ ორმა გავლენიანმა „ნაცმა“, ანუ ბოკერიამ, უფრო სწორად, მისმა მეუღლემ და უგულავამ სააკაშვილზე იერიში რატომ მიიტანეს?

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნაცმოძრაობამ სააკაშვილისგან გამიჯვნა დაიწყო. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ნაცებისგან დისტანცირებას თავად სააკაშვილი ცდილობს.

ეს ვერსია, შესაძლოა, დაუჯერებელია, მაგრამ კონფიდენციალური წყაროების მონაცემებით, არსებობს ალბათობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სააკაშვილმა განაცხადოს, ყველა უბედურება, რაც 9 წლის განმავლობაში მოხდა, ბოკერია-უგულავა-მერაბიშვილის მიერ იყო დაგეგმილ-შესრულებული და მომხდარის შესახებ პოსტ-ფაქტუმ ვიგებდიო. ამას, ცხადია, არავინ დაიჯერებს, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, მიშა „წამებულად“ იქცევა, ანუ ერთთავად „შეშფოთებული“ ევროპელ-ამერიკელები კიდევ ერთხელ შეშფოთდებიან, რა შავ დღეში ყოფილა, ეს საწყალიო და, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ სააკაშვილი რომელიმე გავლენიან დასავლურ ორგანიზაციაში მსუყე თანამდებობაზე დანიშნონ.

ისე, სააკაშვილს ასეთ მომავალს პრეზიდენტად არჩევის დღიდან უწინასწარმეტყველებენ.

ეს „წინასწარმეტყველება“, შესაძლოა, არ გამართლდეს, მაგრამ სააკაშვილი იმ ასაკში არაა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, შინ დაჯდეს და მემუარების წერა დაიწყოს. არსებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმეზე, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომზე სააკაშვილს ჩვენების მიცემა მოუწევს. ზოგი დარწმუნებულია, რომ „ვარდოსანი“ პრეზიდენტი გისოსებს ვერ გადაურჩება.

სხვათა შორის, რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, ვანო მერაბიშვილმა გამოძიებას თითქოს სკანდალური ჩვენება მისცა, რომლის საფუძველზეც უახლოეს დღეებში, შესაძლოა, ყოფილი მინისტრები და ნაცმოძრაობის სახეები დააკავონ...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ვანო მერაბიშვილის დაკავების დღეს, პოლიტიკურ კულუარებში ითქვა, თითქოს სააკაშვილმა გიგა ბოკერიას გადაყენების გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, ეს ინფორმაცია ამ ეტაპზე ოფიციალურად არ დადასტურდა, მაგრამ საქმეში ჩახედულნი ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ სააკაშვილი უშიშროების საბჭოს მდივანს აუცილებლად გაწირავს!

რას აძლევს ხელს სააკაშვილს ბოკერიას მოხსნა? — ამ თემაზე მსჯელობა ორი ვერსიით შეიძლება.

ვერსია პირველი: გიგა ბოკერია ერთ-ერთი მათგანია, ვინც საზოგადოების უმეტესობას ნერვებს ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ უშლიდა. შევარდნაძის ხელისუფლების დროს, ბოკერიამ სახელი სხვადასხვა სექტის მიმდევართა დაცვით გაითქვა. მერე, „თავისუფლების ინსტიტუტში“ ტრანსფორმირდა, „ვარდების რევოლუციის“ დროს კი, „კმარას“ იდეოლოგი იყო...

ისე, დღესაც არსებობს მოსაზრება, რომ 17 მაისის მოვლენების, ანუ ლგბტ-ების აქციის უკან ბოკერია და მისი „სომეხი ჰომოსექსუალი“ მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი იდგნენ („სომეხ ჰომოსექსუალს“ ქალბატონი თამარი საკუთარ თავს თავად ეძახის).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამარ ჩერგოლეიშვილი მიხეილ სააკაშვილს სწორედ ლგბტ მოქალაქეების საბაბით დაუპირისპირდა.

„პრეზიდენტო, თქვენ წუწკი ხართ და, გარდა იმისა, რომ წუწკი ხართ, ინსტინქტებიც დაგჩლუნგებიათ. ვერ ხვდებით, რომ ეს განცხადება ხელისუფლებაში ვერ დაგაბრუნებთ?! თუ ნაციონალური მოძრაობა არ გაემიჯნება პრეზიდენტის კატასტროფულ განცხადებას ლგბტ თემის აქციის თაობაზე, მე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერად აღარ განმიხილოთ. შეიძლება, ფიქრობთ, რომ ბევრი არაფერი დაკარგეთ, ერთი მარგინალი „სომეხი ჰომოსექსუალი“ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ცდებით“, — ეს განცხადება ჩერგოლეიშვილმა „ფეისბუქზე“ მას შემდეგ „დაასტატუსა“, რაც სააკაშვილმა განაცხადა, რომ **„ავღანეთში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეებისთვის პატივის მიგების ადგილთან ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციის გამართვა მიზანშეწონილი არ იყო“.**

მოკლედ, სააკაშვილი ალბათ ფიქრობს, რომ მარგინალი ბოკერია-ჩერგოლეიშვილის ჩამოცილებით რეიტინგს ისევ „აკრეფს“. სხვათა შორის, ეს „კარტი“ პრეზიდენტმა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგაც გაათამაშა — მაია ნადირაძე და სხვა ოდიოზური ფიგურები „საჯარო პოლიტიკას“ მოარიდა და სემეკ-სა თუ სხვა უწყებებში დაასაქმა... როგორც ჩანს, ბოკერიაც ხვდება, რომ სააკაშვილი მის მოცილებას ზემოხსენებული სქემით აპირებს და, ალბათ, ამიტომაც მიახალა ჩერგოლეიშვილმა პრეზიდენტს, ამ გზით ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიო.

რაც შეეხება ბოკერიას ჩამოცილების მეორე ვერსიას, კონფიდენციალური წყაროების თქმით, „ოცნების“ ცალკეულ ლიდერებსა და სააკაშვილს შორის თითქოს მოლაპარაკება შედგა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი ბოკერიას მოხსნის და უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს, სავარაუდოდ, გია ხუხაშვილი დაიკავებს.

რას მიიღებს სააკაშვილი ბოკერიას გაწირვის სანაცვლოდ, უცნობია. ასევე, ამ ეტაპზე „ოცნება“ პირად საუბრებშიც არ ადასტურებს, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი, შესაძლოა, გია ხუხაშვილი გახდეს. ისე, თვალშისაცემია, რომ ბოლო მოვლენებზე ხუხაშვილს კომენტარი არ გაუკეთებია...

ასე და ამგვარად, ჩასაძირად განწირული სააკაშვილი თავის გადარჩენას ცდილობს. გულხელდაკრეფილნი არც მისი მოქმედი თუ ექსთანამებრძოლები არიან. იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი ბოკერიას მართლა მოხსნის, ქართული პოლიტიკური თამაშები ახალ ფაზაში შევა. საერთოდ, დიდი ხანია, კულუარებში მუსირებს მოსაზრება, რომ ბოკერიამ, შესაძლოა, ახალი, ნაცმოძრაობის საპირწონე, პარტია დააარსოს, რომელსაც პრეტენზია ექნება, მესამე პოლიტიკური ძალა გახდეს.

თამაზ თამაზაშვილის უკანონო დაკავების საქმეზე ყოფილი პოლიციელები დაიჭირეს

მთავარმა პროკურატურამ გენერალ თამაზ თამაზაშვილის დაკავებისა და ჩხრეკის ოპერაციაში მონაწილე ყოფილი სამართალდამცველები დააკავა.

„მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, განზრახ უკანონო დაკავებისა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაკავებულები არიან: შსს-ს ყოფილი თანამშრომლები: გოჩა ბაღათრიშვილი, გოჩა ჩიტაია, ზაზა ჭაია, გრიგოლ კვინიკაძე, ვლადიმერ გამრეკლიშვილი და გივი გრავჩენკო. გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წლის 11 ოქტომბერს, ზემოაღნიშნულმა პირებმა თბილისში, კოსტავას გამზირზე, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ჩხრეკისა და დაკავების კანონიერი საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, ფალსიფიცირებული მტკიცებულების საფუძველზე, პირადი ღირსების შეურაცხყოფით უკანონოდ დააკავეს პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი“, — განაცხადა მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ.

მისივე განმარტებით, დაკავებული პირების დანაშაული, სასჯელის სახით, 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულმა პირებმა დაკავებამდე მთავარ პროკურატურასთან პრესკონფერენცია გამართეს და უწყება მათზე ზეწოლაში დაადანაშაულეს. ყოფილი პოლიციელების მტკიცებით, პროკურატურის გამომძიებლებმა მათ მოსთხოვეს, რომ თამაზ თამაზაშვილის პოლიტიკური მოტივით დაკავება თავიანთ თავზე აეღოთ, რათა „საქმე გახსნილიყო“.

„ინტერპრესნიუსი“

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მერაბიშვილი პატიმრობაში დატოვა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, ვანო მერაბიშვილი პატიმრობაში დატოვა. ადვოკატები საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდნენ, რომლითაც ვანო მერაბიშვილს წინასწარი პატიმრობა მიესაჯა.

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულ ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად, რამდენიმე დღის წინ დააკავეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჭიაბერაშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით, 20 ათასი ლარის გირაო შეეფარდა, მერაბიშვილს კი — წინასწარი პატიმრობა.

„ინტერპრესნიუსი“

სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცი გარდაიცვალა

რიგით მამუკა გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია: **„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცის, რიგითი მამუკა გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. საქმეს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი იძიებს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით.“**

„ინტერპრესნიუსი“

გუბაზ მეგრელიძე
551-11-06-21

„ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც საქართველოში არავინ იცის...“

ნუგზარი შარია ცნობილი და პოპულარული მსახიობი იყო, როცა ყველასგან მოულოდნელად, საბჭოთა კავშირი დატოვა და საზღვარგარეთ თავშესაფარი მოითხოვა. საბჭოთა იდეოლოგიამ ყველა ფილმი აკრძალა, სადაც ბატონი ნუგზარი მონაწილეობდა... წლების განმავლობაში რადიო „თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციებში მუშაობდა, 1991 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა და საზოგადოებამ ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი შეხვედრა მოუწყო. ეს ეროვნული სულისკვეთებითა და ნოსტალგიით გამსჭვალული საღამო გახლდათ... „ვერსიასთან“ ნუგზარ შარია თავისი ცხოვრების უცნობ დეტალებზე პირველად საუბრობს.

საბჭოთა საქართველოდან გაქცეული ნუგზარ შარია რონალდ რეიგანთან, გრეგორი პეკსა და მსოფლიოში ცნობილ სხვა ადამიანებთან შეხვედრის დღემდე უცნობ დეტალებს ყვება

— 1958 წელს თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, რომელსაც „პატარა პარიზს“ ვეძახი. ალბათ, მკითხველი არ დაიჯერებს, მაგრამ მსგავსი ინსტიტუტი მსოფლიოში არ არის — სწავლების პროცესი უმაღლეს დონეზე გახლდათ აყვანილი. კარგად მახსოვს პედაგოგ-რეჟისორები: დიმიტრი ალექსიძე, კუკური პატარიძე, ღვინიაშვილი, ქორეოგრაფი და პიანისტი გულბაათ დავითაშვილი, კომპოზიტორი კოტე მელვინეთუხუცესი, ქალბატონ ლიალია თოფურიძის ლექციები სასწაული იყო. ქალბატონმა ლიალიამ ტერმინ „იაჰუ“-ს მნიშვნელობა მაშინ აგვიხსნა, როდესაც კომპიუტერი არ არსებობდა. ამ სახელით ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობაში“ მოხსენიებულნი არიან ჯორისმაგვარი ცხენები. ქალბატონ ნადია შალუტაშვილის თეატრის ისტორიის ლექციებიც სასწაული იყო. მთელი მსოფლიოს უმაღლესი სასწავლებლები — პარიზის სორბონის უნივერსიტეტიდან დაწყებული, ნიუ იორკის, კოლუმბიის, ვაშინგტონის ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტით დამთავრებული — მოვლილი მაქვს, ლექციებსაც ვკითხულობდი და ჩვენს თეატრალურ ინსტიტუტს მათ ვადარებ, სადაც ძირითადი აქცენტი სამსახიობო ხელოვნებასა და მეტყველებაზე კეთდებოდა, მარქსიზმ-ლენინიზმის საგნები კი მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. ჩემი თანაკურსელები იყვნენ: ნათელა მაჭავარიანი, როდამ ჭელიძე, ჯემალ მაზიაშვილი, თენგიზ ბიბულაური... ძალიან ძლიერი კურსი გვქონდა.

მეორე კურსზე, მაშინ 19 წლის გახლდით, რეჟისორ დავით რონდელის ფილმში — „ენგურის ნაპირებზე“ მიმიწვიეს. შემდეგ, დათიკო დარჩიას „პალიასტომის ტბაში“ ვითამაშე, მერე — ონისე „ხევისბერ გოჩაში“, მურმანი — „აბესალომ და ეთერში“. მართალია, გადაღებები ერთმანეთზე აეწყო, მაგრამ თეატრალური ინსტიტუტი მაინც წარჩინებით დავამთავრე.

ცხენოსანი, მოჯირითეც გახლდით — მსახიობებს ხიდიდან ხტომაში, ცურვასა და სხვა ტრიუკების შესრულებაში ვცვლიდი. სწავლისა და გადაღებების შეთავსება საკმაოდ რთული იყო, მაგრამ ვახერხებდი.

ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, მუშაობა მარჯანიშვილის თეატრში მინდოდა, მაგრამ პედაგოგი დიმიტრი ალექსიძე ჩემით ძალიან იყო დაინტერესებული. ალბათ, მეც მიმიძღვის წვლილი რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზის თეატრალურ სცენად გადაკეთებაში. ბატონ დოდოს უნდოდა, ჯერ იმ პატარა სცენაზე მეთამაშა — სპეციალურად ჩემთვის ჰქონდა არჩეული ოლსბორნის პიესები და მერე დიდ სცენაზე გადავეყვანე, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა — იმ წელს რუსთაველის თეატრს დოტაციას ართმევდნენ და, შემოსავლის გაზრდის მიზნით, საჭირო გახდა მაყურებლის მიზიდვა, ამიტომ 1962 წელს თეატრში მე და ლეილა აბაშიძე მიგვიწვიეს — დავით გაჩეჩილაძის პიესა „ამირანი“ იდგმებოდა. პიესა, სამწუხაროდ, სუსტი იყო, მაგრამ პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთება ჰქონდა... განუმეორებელი იყო ზინა კვერენჩხილაძე. მისი ერთი შეძახილი — „შავლეგ“ — დღესაც მესმის. შავლეგს ვთამაშობდი და ეროსი მანჯგალაძის შემცვლელი ვიყავი, მაგრამ მაყურებელს უფრო აინტერესებდა აკაკი ხორავას, ლეილა აბაშიძისა და ჩემი ხილვა, ამიტომ ეროსიმ როლზე უარი თქვა. ამის შემდეგ თეატრში აღარ მითამაშია, რადგან ამიყვანეს „ხევისბერ გოჩაში“, რასაც მოჰყვა როლები შუა აზიაში. სამწუხაროდ, ეს ფილმები ქართველ მაყურებელს არ უნახავს.

— სულ რამდენ ფილმში გაქვთ მონაწილეობა მიღებული?

— ტაჯიკეთის კინოსტუდიაში „მევახშის სიკვდილსა“ და „ღალატში“ ვითამაშე, უზბეკეთის კინოსტუდიაში — „საიათის ზარებში“, სადაც ანტისაბჭოთა გმირის რთული, დრამატული და საინტერესო როლი შევასრულე, შემდეგ — რიგის კინოსტუდიაში. საერთოდ, ამერიკულ-გერმანულ ფილმებიანად, 37 კინოროლი მაქვს შესრულებული. აღსანიშნავია მიხეილ კალიკის ფილმი „უკანასკნელი თაღლითი“, სადაც ვისოცკი და პოლია რაბსა თამაშობდნენ. როლი სპეციალურად ჩემთვის დაიწერა... დამსახურებული არტისტის წოდება რომ მომანიჭეს, 24 წლის ვიყავი.

ბოლო გადაღებებზე, ბუხარაში, ცხენი წამექცა, მაგრად დავიმტვერი და სამსახიობო კარიერა დავამთავრე. სხვათა შორის, არასოდეს დამავიწყდება, თვითმფრინავიდან დამტვრეული რომ ჩამოვედი, ოთარ მელვინეთუხუცესი დამხვდა, სწორედ მან გამახმოვანა ფილმში „ენგურის ნაპირებზე“, „პალიასტომის ტბაში“ კი — გურამ საღარაძემ.

— 24 წლის ასაკში სამსახიობო კარიერის დასრულება უსიამოვნოა. მოღვაწეობა რომელ სფეროში განაგრძეთ?

— მოსკოვში, უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე ჩავაბარე და შესანიშნავი რეჟისორის, ლეონიდ ტრაუბერგის მოწაფე ვიყავი. სადიპლომო ფილმი „შუადღე“ თბილისში, რეზო ჩხეიძის მხარდაჭერით (მასაც ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ), ორდღენახევარში გადავიღე. სამწუხაროდ, ფილმი, რომლის სცენარის ავტორიც ვიყავი და რომელიც უმუშევარ მევიოლინეზე მოგვითხრობდა, მოსკოვში იდეოლოგიურად „დამიკორტნეს“... როგორც შემდეგ გავიგე, ეს ფილმი მაინც უჩვენებიათ. გეტყვით: გალის რაიონიდან (ეს გახლავთ სამურზაყანო) ომში ბიჭები წაიყვანეს, მათ ცხენებიც მიაყოლეს. შავებში ჩაცმული დედები ცხენებს ისე აცილებდნენ, როგორც — შვილებს... მაშინ კინოსტუდიის დირექტორი თენგიზ გორდელაძე იყო, რომლის აზრითაც, ბიძაჩემმა, მიტროფანე კუჭავამ პატარა თანამდებობაზე დანიშნა და ამიტომ გადამემტერა — შტატში არც მსახიობად მიმიღო და არც — რეჟისორად. ასეთ დროს ხელი ჩემმა მეორე მამამ, რეჟისორმა სიკო დოლიძემ გამომიწოდა, რომელმაც ფილმზე — „სემირამიდას ბაღები“ — მოადგილედ დამნიშნა. კარგად ვმუშაობდი და დიდი სამუშაოც გავწიე, მაგრამ გაუგებრობა მოხდა — ფილმის დამთავრებას ერთი ეპიზოდი აკლდა, როცა ბატონი სიკო დოლიძის ინტერვიუდან ის ეპიზოდი ამოჭრეს, სადაც მახსენებდა. ეს უკანასკნელი წერტილი იყო და ბატონ სიკოს ვუთხარი, კინოსტუდიას ვტოვებ-მეთქი. რუსთაველის თეატრშიც აღარ მიმიღეს.

უცხოეთში წავედი... თერთმეტთვენახევარი აშშ-ს ვიზას ველოდი. რადიო „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ პარიზის განყოფილებაში გამოცდა მომიწყვეს. მოსკოვიდან ახალი ჩასული ვიყავი და კარგად ჩავაბარე. ნიუ იორკშიც მუშაობა ამავე რადიოსადგურებში განვაგრძე.

ჩემი ბიოგრაფია „ნიუ იორკ თაიმსის“ მაშინდელმა ცნობილმა ჟურნალისტმა, ჰარისონ სოულსბერნიმ წაიკითხა და სტატიები შემიკვეთა. დავწერე სტატია — „ფეხბურთი საზღვარზე“: სარფის საზღვარზე თურქები ფეხბურთს თამაშობდნენ და ბურთი ზღვაში ჩაუვარდათ, რომელიც საბჭოთა საზღვრისკენ ტივტივებდა, საბჭოთა მესაზღვრემ უცხო სხეული მიზანში ამოიღო, მაგრამ ბურთმა უკან გამოცურა. ამასობაში, თურქებმა ერთ სახლზე ძაძა გადმოაფარეს — ვიღაც დაეღუპათ, რასაც ქართული სოფლიდანაც საპასუხო ქმედება მოჰყვა...

მეორე სტატია კი იმას ეხებოდა, რატომ შეწყდა საბჭოთა კავშირში ჩაპლინის ფილმების ჩვენება. ტაუბერგის ლექციიდან მახსოვდა, რომ საბჭოთა კავშირში აშშ-ს ელჩმა, ჰარიმანმა სტალინს აჩვენა „დიდი დიქტატორის“ ის ეპიზოდი, როცა მუსოლინი და ჰიტლერი ლიფტით ადი-ჩადიან და ჩაპლინი ამბობს, დიქტატორების დრო დასრულდაო. სტალინი წამომდგარა და უთქვამს, ჩვენ ჩაპლინის დიქტატორები არ გვჭირდებაო. ეს იყო მიზეზი, რატომაც აიკრძალა საბჭოთა კავშირში ჩაპლინის ფილმები. ამის შესახებ 300-მა მილიონმა ამერიკელმა ჩემი წერილით შეიტყო.

— მსოფლიოში ცნობილ არაერთ მსახიობს შეხვედრიხართ...

— ბედნიერება მქონდა, გამეცნო ჩემი ამერიკელი მასწავლებელი, დიდი კინოვარსკვლავი იულ ბრინერი. მას სულ შავები ეცვა, საცვლებიც კი. როდესაც მიზეზი ვკითხე, მიპასუხა, სანამ რუსეთი კომუნიზმისგან არ გათავისუფლდება, შავებს არ გავიხდიო. განსაკუთრებით, ქართველები უყვარდა, ვინაიდან პრინც დავით მაჩაბელთან მეგობრობდა. დღესაც აჩვენებენ მისი მონაწილეობით ბაგრატოვანთა სუნამოს რეკლამას. აშშ-ს კულტურის სამინისტრომ ათი სიმღერის ჩაწერა შემიკვეთა — პრეზიდენტი ნიქსონი მოსკოვში მიდიოდა. ლუი არმსტრონგისა და დიუკ ელინქტონის პროდიუსერი ჯო გლეიზერი იყო, ჩემი ფირფიტების ჩამწერიც იგივე სახელისა და გვარის გახლდათ, ამიტომ ეს ჩანაწერები ორივე დიდმა მუსიკოსმა მოისმინა და მიმიწვია... პრეზიდენტმა ნიქსონმა ჩემი 50 ფირფიტა ბრეჟნევს წაუღო.

ახლა ყველაზე მთავარი მომენტი უნდა ვთქვა: 1964 წელს, რეჟისორ გიორგი დანელიას, რასულ გამზატოვის სცენარის მიხედვით, „ჰაჯი მურატი“ უნდა გადაეღო. მე ჰაჯი მურატის მცველის, ელდარის როლი უნდა შემესრულებინა, მაგრამ სამწუხაროდ, გადაღება პირადად ბრეჟნევმა აკრძალა და რასულ გამზატოვს უთხრა, მსოფლიოს ვერ ვაჩვენებთ, რუსეთი 55 წელი როგორ ეომებოდა პატარა დაღესტანსო. ეს სცენარი წაკითხული არ მქონდა. ნიუ იორკში მუშაობისას, თეიმურაზ ბაგრატიონი გავიცანი, რომელიც ლევ ტოლსტოის ქალიშვილის, ალექსანდრას მდივანი იყო და რომელიც იმ დროს 111 წლის გახლდათ. სწორედ ბატონმა თეიმურაზმა გამაცნო დიდი მწერლის ქალიშვილი. გამიკვირდა, ეს ხანდაზმული ქალბატონი როგორ იცნობდა ევგენი ევტუშენკოს, ბელა ახმადულინას, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. მამამისის ნაწარმოებებზე საუბრისას, ვუამბე გიორგი დანელიას შემთხვევაც. მან სცენარის დაწერა შემომთავაზა. ახალგაზრდა ამერიკელ მწერალ ბენ პიკოკისთან ერთად, სცენარი 5 თვეში დავწერე. ბოლო ეპიზოდი ასეთია: ჰაჯი მურატი მშობლიურ სოფელში ბრუნდება და კლავენ. მას თეთრი ჩოხა აცვია, გამჭვირვალე ფიგურაა და რუსი ჯარისკაცები ხიშტებს უყრიან, რაც მის უკვდავებაზე მიანიშნებს. ეს ეპიზოდი ჰოლივუდში შეაფასეს, როგორც კინოშედევრი.

სცენარის დამთავრების შემდეგ, ჰოლივუდის მაშინდელმა პრეზიდენტმა მისტერ ოლბრიტ სმიტმა, რომელიც „ტარზანში“ ჯენის მამას თამაშობდა, მითხრა, თქვენ სამუშაო, სულ ცოტა, 150 ადამიანს წაართვით — სარეჟისორო სცენარს სცენარისტები არ წერენ, ისინი წერენ იდეას, რომელსაც ჰოლივუდი ყიდულობს და შემდეგ, ფილმის სარეჟისორო სცენარი იქმნება. ტოლსტოის ოჯახის წევრებმა საავტორო უფლებები 55 წლის წინ დაკარგეს, ამიტომ სცენარს შევისყიდით, მაგრამ ფილმის გადაღების ნებართვა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს გადაეცემაო. კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარემ, რომანოვმა უპასუხა: „Шариа, нет“.

ფლორიდის შტატის ქალაქ სარასოტაში ვცხოვრობ. ერთხელ, აფიშაზე წავიკითხე, რომ კინოთეატრში იგეგმებოდა შეხვედრა და ვახშამი გრეგორი პეკთან. ბილეთი 400 დოლარი ღირდა. საღამოს, რა თქმა უნდა, დავესწარი. პეკის მაგიდასთან მოვხვდი და დავუსახელე ფილმები, რომლებშიც თამაშობდა და რომლებიც საბჭოთა ეკრანზე წარმატებით გადიოდა... მკითხა, მსახიობი ხომ არ ხართო. ვუპასუხე, დიახ-მეთქი. რუსს არ ჰგავხართო. ავუხსენი, ქართველი ვარ-მეთქი. დაფიქრდა... ვკითხე, მამათქვენი მართლა ქართველი იყო? მიპასუხა: სამწუხაროდ, მამა, რომელიც პოლონეთის არმიის პოლკოვნიკი იყო და კატინის ტყეში დახვრიტეს, არ მახსოვსო... სავიზიტო ბარათები გავცვალეთ და მეორე დღეს, გრეგორი პეკმა ბილეთში გადახდილი თანხა — 400 დოლარი გამომიგზავნა.

კიდევ ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც საქართველოში არავინ იცის. რადიო „თავისუფალი ევროპიდან“ ვაშინგტონში, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ინაუგურაციაზე გამგზავნეს. ჟურნალისტთა 30-კაციან ჯგუფთან ერთად ვიდექი, უცებ, რეიგანმა თითი დამიქნია, მივიხედ-მოვიხედე, ვინმეში ხომ არ ვეშლები-მეთქი... დაცვამ გამატარა და რეიგანმა მკითხა, მსახიობი ხომ არ ხართო. მოკრძალებით მივუგე, დიახ-მეთქი. მიპასუხა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობა პატარა საქმე არ არის, მაგრამ მე ის მსახიობი ვარ, ვისაც ბედნიერება ჰქონდა, დიდ ელორ ფრინთან ერთად მეთამაშაო. ეს მსახიობი თავის დროზე, რობინ ჰუდს ასახიერებდა. ეს ამბავი არსად დაწერილა... რეიგანის გარდაცვალების შემდეგ, ტელევიზიით მისი შვილი გამოვიდა, პირდაპირ ეთერში დავრეკე და ეს ისტორია ვუამბე. გადაცემის დამთავრების შემდეგ, რეიგანის შვილმა დამირეკა, ეს ისტორია ჩაიწერა და მამამისის წიგნში შეიტანა.

— აშშ-ს დღევანდელი პრეზიდენტის, ობამას წარმომადგენელი როგორღა გახდით?

— აშშ-ში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას აკრედიტებული, მუდმივი წარმომადგენელი ვარ. საქართველოს საკითხებში ბილ კლინტონის მუდმივი წარმომადგენელიც გახლდით... შევარდნაძეს მივწერე, აფხაზეთის შემობრუნების საკითხში ჩემსავით ვერავინ დაგეხმარებით-მეთქი და აკრედიტაცია გამომიგზავნა, თუმცა კონკრეტული ქმედებების შემდეგ შევატყვე, რომ ფეხს ითრევდა, რადგან სოხუმში ჯარის შესაყვანად ემზადებოდა. წინასაარჩევნო კომპანიის დროს, ბარაკ ობამა ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა. ჩემს მეუღლეს დაზღვევა არ ჰქონდა და მთხოვა — ობამას უთხარი, დაზღვევა მომცეს და ჩვენ, სანაცვლოდ, ხმას მივცემთო. სხვათა შორის, ინგლისურს ნიუ იორკის ზანგური აქცენტით ვლაპარაკობ, ვინაიდან დიუკ ელინქიტონის ოჯახის წევრი ვარ, ამიტომ ობამამ ნიუ იორკელად ჩამთვალა.

დასასრული მე-6 გვერდზე

გედევან ფოფხაძე: „ყველამ აიშვა“!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

17 მაისის აქციის დარბევას შესაბამისი სამართლებრივი ზომები მოჰყვა — სხვებთან ერთად, ბრალი ორ სასულიერო პირს წაუყენეს. პარალელურად, აქციებს თეოკრატიის მოწინააღმდეგეები და მომხრეები კვლავ მართავენ. წმინდა სინოდის სახელით კი, დავით ამაშუკელი „მეუფის პარტიას“ ქმნის და მასში გაერთიანებისკენ ყველა მართლმადიდებელს მოუწოდებს... სად გადის ზღვარი საერო და საეკლესიო სამართალს შორის და როგორ აფასებს ყველაფერ ამას ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტი? — „ვერსიის“ კითხვებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე პასუხობს.

„იმედი მაქვს, „მეუფის პარტიის“ შექმნა პატრიარქის პოზიცია არაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მრევლი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება!“

— ამ პროცესებზე ბევრს ვფიქრობ და ჩემთვისაც ბევრი კითხვის ნიშანია. ქვეყანაში აზრების პოლარიზაცია დაიწყო და ცნობიერებაში მხოლოდ ორი ფერი — თეთრი და შავი დარჩა. ეს დალტონიზმია, რაც იმის ნიშანია, რომ ხედვა და აღქმა შეზღუდული გვაქვს. მხარეები ასე ფიქრობენ: ან შენ უნდა დარჩე, ან მეო ანუ ან თეოკრატია, ან რუსთაველზე გეების ყოველდღიური აღლუმიო. ერთ მხარეს მიაჩნია, რომ დემოკრატია იღუპება, მეორეს — სამშობლო და ამ დროს ლიბერალმა შეიძლება, თავში რაღაც ჩაგარტყას, მართლმადიდებელმაც ჩაგარტყას თავში და ორივე მხარემ, უბრალოდ, სინქრონში გაგლახოს. ეს, ბუნებრივია, ადამიანს აბნევს. ფაქტია, საქართველოში დემოკრატიის დეფიციტი იყო, ახლა კი ყველამ აიშვა!

— ახლა ყველამ გადაწყვიტა, რომ მისი დრო დადგა?

— სააკაშვილის დროს ეკლესიაც იდევნებოდა, ახლა კი მისი გუნდი ჩაჩოჩდა და ყველამ ჩათვალა, რომ რეალიზაციისთვის ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა.

— ამ დაპირისპირებაში კონფლიქტის მხარეებად ვის განიხილავთ?

— ამის თქმა ძნელია — ვერ ვიტყვი, რომ ეს მხარეები ეკლესია და არასამთავრობები არიან, ვერც — მრევლი და გეები, რადგან მრევლის პოზიცია მხოლოდ ერთი ჯგუფის პოზიციაა. ეკლესიის პოზიციას კი წმინდა სინოდი და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პატრიარქი გამოხატავს. მისი სახელით მოქმედება არავის არაფერში ჩაეთვლება, თორემ თქვენც შეგიძლიათ, გამოხვიდეთ და, პატრიარქის სახელით, ვიღაცას თავში ჯოხი ჩაარტყათ. ამ კონფლიქტში საზოგადოების ორი ჯგუფია, რომელთაგან ერთი უფრო მრავალრიცხოვანია. ვინც ცალსახად გიპასუხებთ შეკითხვაზე, ვინ არიან კონფლიქტის მხარეები, შეცდომას დაუშვებს.

ღმერთო ჩემო, ამ სიტუაციაში ვერც ერთ მხარეს ვერ დავიკავებ — ეს თავისთავად, არასწორი კონფლიქტია!

— ბატონო გედევან, ამას როგორც მოქალაქე ამბობთ, როგორც ეკლესიის მრევლი თუ ადამიანის უფლებათა დამცველი?

— მე მაზიარებელი მართლმადიდებელი და ეკლესიის ნაწილი ვარ, თუმცა როცა ძალადობა ხდება, ცალსახად იმის უფლება ირღვევა, ვისზეც ძალადობენ — იქნება ეს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი თუ სხვა პირი. იმ დროს, როცა ამ ჯგუფის წარმომადგენლებზე ძალადობა განხორციელდა, რა თქმა უნდა, მათი უფლებები დაირღვა, თუმცა მეორე მხარესაც აქვს მორალური პრინციპები, რომელსაც ეს მცირე ჯგუფი ეხება, ამიტომ გამოხატვის თავისუფლება არც მათ უნდა შეეზღუდოთ. სამართლებრივად, იმას, ვისი უფლება სად დაირღვა, სასამართლო ადგენს, ეს უფრო ინტელექტუალური დავის საგანია... ისე, ძალადობა ყველგან ხდება და ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არაა. არ მინახავს გეები, რომელთაც გერმანიაში არბევენ, მაგრამ იქ რაღაც იატაკქვეშა ჯგუფები ადამიანებს ეთნიკური ნიშნით ხოცავენ. ჩვენთან, ამ კონფლიქტში, უკან მან უნდა დაიხიოს, ვისაც უფრო უყვარს საქართველო! ვინც უკან დაიხევს, ის მოიგებს და მისგან ეს სწორი ნაბიჯი იქნება. ამ კონფლიქტის ესკალაცია არც ერთი ჯგუფის სასარგებლოდ არ მეტყველებს და არც იმით დგინდება ჭეშმარიტება, თავს ვინ ვის დაუნაყავს — საბოლოოდ, მოძალადე უფრო ცუდად გამოჩნდება. იძულებით, ტერორითა და ჯოხის ჩარტყმით აზრის გამოხატვაც არასწორია, ამიტომ კონფლიქტი მთელ ქვეყანას აზარალებს! ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ საზოგადოება გაყოფილია.

— სადაა გამოსავალი?

— გამოსავალი ისაა, რომ შუა პოზიცია არ უნდა დაიკარგოს. დღეს ე.წ. შუა არის პატრიარქისა და იმ პოლიტიკური ჯგუფის პოზიცია, ვინც პუბლიკაზე არ თამაშობს და ცდილობს, ზომიერი იყოს. მაგალითად, ასეთია, ირაკლი ალასანია, თეა წულუკიანი...

— რატომ მხოლოდ თქვენი პარტიის წევრები?

— ბევრი სხვაც... ამ ვითარებაში, თუ რომელიმე უფლებადამცველი ერთ-ერთი ჯგუფის პოზიციაზე დადგება, ის, ავტომატურად, მხარე გამოვა და სიტუაციას ობიექტურად ვეღარ შეაფასებს.

— ბატონო გედევან, ისიც განვმარტოთ, სად გადის ზღვარი საერო და საეკლესიო სამართალს შორის და მამაოებისთვის ბრალის წაყენებამ მრევლის უდიდესი ნაწილი რატომ აღაშფოთა?

— ჩვენთან რელიგიასა და სამართალს შორის ზღვარი მკაცრად არაა გავლებული. წლების განმავლობაში, საქართველოში, საერო და სასულიერო სამართალი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებოდა. იმასაც ვითვალისწინებთ, რომ საქართველო მხოლოდ ერთი რელიგიური ჯგუფის კუთვნილი ქვეყანა არაა და კანონი სხვა რელიგიური ჯგუფების წევრებსაც იცავს. თუ სასულიერო პირმა კანონი დაარღვია და ეს დადასტურდა, ის, ყველანაირი რელიგიური რეგალიების მიუხედავად, უნდა დააპატიმრონ. ამას სადავოდ ვერავინ გახდის! რელიგიური სტატუსი დანაშაულის სტატუსისგან განმათავისუფლებელი არაა. შესაბამისად, უნდა დაისაჯოს მოძალადე, ძალადობის წამახალისებელი და მოთავე!

— ანუ ორი სასულიერო პირისთვის ბრალის წაყენება იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება ეკლესიას ებრძვის?

— თუ „ქართული ოცნება“ ეკლესიას ებრძვის, მაშინ რა გვინდა „ქართულ ოცნებასთან“?! საკმარისია, არ დავიცვა გონივრული და დიპლომატიური ზღვარი ამ ორ მხარეს შორის, ორივე მტრად გამომაცხადებს. ახლა იმ საფრთხის წინაშე ვართ, რომ ქვეყანაში გვაქვს ერთი ძლიერი ინსტიტუცია — ეკლესია, რომლის ავტორიტეტი, ყველა გამოკითხვის მიხედვით, ცალსახად, ყველაზე აღმატებულია და ეს ინსტიტუცია გვჭირდება რელიგიისა და მორალის შესანარჩუნებლად.

— რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა წმინდა სინოდის წევრი ქმნის პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც „მეუფის პარტიას“ არქმევს და მოგვიწოდებს გაწევრიანებისკენ?

— ჩემი აზრით, ეს არასწორი ინიციატივაა. თუ ამაზე არ არსებობს პატრიარქის კურთხევა და ამას მაინც აკეთებენ, ეს ძალიან საშიშია და თუ კურთხევა არსებობს, მაშინ ღრმად ჩასაფიქრებელი თემაა — ეკლესია ასეთი ინიციატივით არ უნდა გამოდიოდეს. ყველა მართლმადიდებელი ან ამ პარტიის წევრი უნდა გახდეს, ან ეკლესიას გაემიჯნოს. მე რომ მოძღვრისგან კურთხევა მივიღო, გახდი ამ პარტიის წევრიო, შინაგან წინააღმდეგობაში ჩავვარდები! ეს ძალიან უხერხული თემაა, იმედი მაქვს, სინოდი მას არ იზიარებს და ეს არაა პატრიარქის პოზიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მრევლი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება! ვიმედოვნებ, ეს განცხადება ვიღაცამ დაუფიქრებლად გააკეთა.

— არსებობს ჯგუფი, რომელიც პარლამენტისგან 17 მაისის მოვლენების საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს. ეს კომისია შეიქმნება?

— არ ვიცი... საპარლამენტო კომისია გამოსავალი არაა. ყველა ასეთ ვითარებაში პარლამენტისკენ ხელის გაშვერაც არასწორია. საგამოძიებო რესურსი ყოველთვის აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს, პარლამენტს არასოდეს ექნება გამოძიების იმაზე მეტი შესაძლებლობა, ვიდრე პროკურატურას. ჩვენ, უბრალოდ, მაკონტროლებელ ფუნქციას ვიყენებთ. თუ ვინმე ამ კომისიის შექმნის საჭიროებას ხედავს, ამაში პირადად მე უნდა დამარწმუნოს. ძალიან ბევრი თემაა და ყველა მათგანზე საგამოძიებო კომისია რომ შევქმნათ, შორს ვერ წავალთ! სხვათა შორის, მას მერე, რაც ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი ვარ, რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების მხრიდან არც ერთი განცხადება არ შემოსულა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ხელში არც ერთ მათგანს არ გაუვლია!

„ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის განხორციელებას ხელს ვერაფერი შეუშლის“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ბაქოში ვიზიტისას განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელებას ხელს ვერაფერი შეუშლის: **„ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ის აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. იყო გარკვეული პრობლემები პროექტის კოორდინატებთან მიმართებაში, რომელიც უკვე დაზუსტებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, გვირაბის მშენებლობა უახლოეს დღეებში განახლდება, რომელიც საქართველოს თურქეთთან დააკავშირებს. დავაზუსტებ, რომ ეს ჩვენთვის სტრატეგიული პროექტია და მის განხორციელებას არანაირი პრობლემა არ შეაფერხებს“.**

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ახალი სატრანსპორტო დერეფანია, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს.

ამ პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, რომელიც საბოლოოდ გამორიცხავს საზღვაო გზით გადაზიდვის საჭიროებას მას მერე, რაც სტამბოლში, ბოსფორის სრუტეში გამავალი რკინიგზის გვირაბის მშენებლობა დასრულდება. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით ასევე შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დააკავშირებს. ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანა და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანიდან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად. კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ ახალი სარკინიგზო ხაზი გაზრდის ტვირთბრუნვის, კერძოდ, კონტეინერებით გადაზიდვადი ტვირთის მოცულობას, თუმცა იმის გამო, რომ სარკინიგზო გზა ახალია, მენეჯმენტის აზრით, მნიშვნელოვანი მოცულობის მიზიდვას დრო დასჭირდება. ამჟამინდელი ტვირთბრუნვის მიხედვით და სარკინიგზო ხაზის დაგეგმილ დროს გახსნის შემთხვევაში, მენეჯმენტი ფიქრობს, რომ 2015 წლისთვის კომპანიას შეეძლება, შეცვალოს ამჟამად არსებული მინიმუმ 2 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვის მარშრუტი (უმთავრესად, მშრალი ტვირთის, რომლის გადაზიდვაც, ამჟამად, სატვირთო მანქანებით ხდება) თურქეთის, კავკასიის, რუსეთისა და ცენტრალური აზიას შორის.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი 2008 წელს და იგი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას და ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე.

მენეჯმენტის აზრით, თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის გაზრდილი ვაჭრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შესაძლებლობას სავაჭრო ნაკადის მოსაპოვებლად, კერძოდ ცენტრალური აზიიდან თურქეთში იმპორტირებული ნედლეულისა და თურქეთიდან ექსპორტირებული პროდუქციის. თურქულ-რუსული ვაჭრობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის აზრით, არსებობს დამატებით მოცულობის მოპოვების შესაძლებლობა, კერძოდ, მშრალი ტვირთის, რომლის გადაზიდვაც ამჟამად ირანის გზით ხდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„მერაბიშვილის დაჭერით ივანიშვილმა საშინაო მხარდაჭერა გაიმყარა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

შს სხვა ყოფილი მინისტრების მსგავსად, დაჭერას ვერც ვანო მერაბიშვილი გადაურჩა. ამ მხრივ „ნოვატორი“ კობა ნარჩემაშვილია, რომელსაც ეს პოსტი „ვარდების რევოლუციის“ დროს ეკავა... რატომ ამთავრებენ ერთ დროს ქვეყნის მთავარი პოლიციელები კარიერას გისოსებსმიღმა? — ამ და სხვა კითხვებით „ვერსიამ“ კობა ნარჩემაშვილს მიმართა.

რა მსგავსებას ხედავს ირაკლი ღარიბაშვილთან და რაფომ არ მოსწონს ვანო მერაბიშვილთან გაიგივება შს ყოფილ მინისტრ კობა ნარჩემაშვილს

— შოთა კვირაია, კახა თარგამაძე, კობა ნარჩემაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია — არ ვიცი, ეს კარმაა თუ სხვა მიზეზია, მაგრამ საქართველოს უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, შს თითქმის ყველა ყოფილი მინისტრი ან დაიჭირეს, ან გაასამართლეს. ბატონო კობა, ამას რით ხსნით?

— ამით მეც დავინტერესდი... სიმართლე გითხრათ, სულაც არ მაქვს ხალისი, ვინმემ ვანო მერაბიშვილთან გამაიგივოს: მე უდანაშაულო ვიყავი, ვანო ხაზინის ქურდია. არანაირი სურვილი არ მაქვს, ამ მკვლელისა და კრიმინალის გვერდით მხოლოდ იმიტომ მახსენონ, რომ შს მინისტრის პოსტი მეკავა, თუმცა ისიც მესმის, რომ ეს ისტორიული რეალობაა. სხვათა შორის, წიგნიც მაქვს გამოცემული, რომელიც ჩემს წინამორბედ მინისტრებს ეხება. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი შს მინისტრის, ნოე რამიშვილის შემდეგ, რომელიც 1929 წელს ევროპაში გაასამართლეს, ქვეყანაში შს მინისტრებს ან სახრჩობელაზე უშვებდნენ, ან ხვრეტდნენ, ან იჭერდნენ. სიტუაციას სტაბილურობა 60-იანი წლების შემდეგ შეეპარა — მინისტრი აღარ დაუხვრეტიათ. ჩემი დაჭერით სააკაშვილმა, პრაქტიკულად, ხელახალი იმპულსი მისცა ამ ტენდენციას, რაც, თავისთავად, არანორმალურია. ძალიან მძიმე სანახავია, როცა თუნდაც დამნაშავე შს ყოფილი მინისტრი გისოსებსმიღმაა, თუმცა რას იზამ — როგორც ჩანს, ეს ჩვენი ბედია!

— ანუ, ირაკლი ღარიბაშვილსაც ეს ბედი ელის?

— ამას ვერ ვიტყვი...

ზუსტად ის გზა გავიარე, რასაც ახლა ირაკლი ღარიბაშვილი გადის — ეს ერთგული ადამიანის ხვედრია. ახლა ყველა ღარიბაშვილს ესხმის თავს, რადგან იგი ყველაზე მეტად მიაჩნიათ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის კურსის გამტარებლად. ღიად გეტყვით ჩემს დამოკიდებულებას ღარიბაშვილის მიმართ: იგი შინაგანად ძალიან სუფთა, პრინციპული ადამიანია, უბრალოდ, დრო სჭირდება, მინისტრად რომ ჩამოყალიბდეს.

— ღარიბაშვილს პრობლემები სწორედ პრემიერის განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ — ქებამ და დაცვამ შეიძლება შეუქმნას?

— პირიქით, ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგია.

მართალია, დღეს ამას ყველა იბრალებს, მაგრამ როცა პანკისის სპეცოპერაციას ვხელმძღვანელობდი, შევარდნაძემ ჩემთვის ერთი საქებარი სიტყვაც არ გაიმეტა, თუ ახლა შეგაქე, მერე „შეგჭამენო“. მე კი ძალიანაც მომეწონა, როცა ივანიშვილმა ახალგაზრდა მინისტრისადმი მხარდაჭერა ღიად გამოხატა!

— მიუხედავად იმისა, რომ ციხეში ცოტა ხანი გაატარეთ, თქვენი დაპატიმრება აშკარად პოლიტიკური იყო. ოქრუაშვილ-ახალაია-მერაბიშვილზეც იგივეს თქმა შეიძლება?

— ჩემი დაკავება პოლიტიკურიც იყო და რევანშისტულიც — სააკაშვილმა თითქოს შური იძია, რომ ედუარდ შევარდნაძის გარემოცვაში ერთადერთი ვიყავი, ვინც მისი ერთგული დარჩა. პირდაპირ ვამბობ: არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია, ამას ჩემი დღევანდელი მდგომარეობაც ადასტურებს. ყველაზე დიდ შეცდომად ის მიმაჩნია, რომ მინისტრობის პერიოდში, ახალი რეფორმების დაწყებას, უფრო სწორად, სისტემის სრულ ტრანსფორმირებას არ მივეცი საფუძველი, თუმცა დღეს არც საზოგადოებაში გამოჩენის, არც ხალხთან ურთიერთობის მეშინია. მეეჭვება, იგივე აზრზე იყვნენ მერაბიშვილი და ახალაია, ოქრუაშვილის დაპატიმრებაც მის პოლიტიკურ გააქტიურებასთანაა კავშირში, აი, ჩემს შემთხვევაში კი, სააკაშვილის რევანში ჩემს პოლიტიკურ აქტივობას არ უკავშირდებოდა — ეს იმიტომ მოხდა, რომ სამომავლოდ, ჩემი შიში ჰქონდა. მის გუნდთან კომპრომისზე არ წავედი და კაცის სახე და ღირსება შევინარჩუნე. სამაგიეროდ, სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. ზუსტად ვიცი: როგორც კი ნანული შევარდნაძის პანაშვიდის წინა დღეს გამოვჩნდი, სააკაშვილმა ჩემი დაპატიმრების ბრძანება მაშინვე გასცა, რადგან იფიქრა, გამოჩენა როგორ გაბედაო. შეიძლება, ჩემი დაჭერა სააკაშვილისთვის ღირსების საკითხი იყო, მაგრამ არ მგონია, ამით ღირსება მოემატა. ადვილად შეიძლებოდა, რეპრესიები ჩემს ოჯახის წევრებსა და ახლობლებზეც განეხორციელებინათ და ჩემს გამო დარტყმის ქვეშ მათი დაყენება არ მინდოდა, ამიტომ ჩემი გამოჩენაც სრულიად გააზრებული ნაბიჯი იყო!

— მიუხედავად იმისა, რომ ახალაიას შს მინისტრის პოსტზე ყოფნა ცოტა ხანს მოუხდა, ისიც ციხეშია და დღეს ბევრი ამბობს, იგი ნაციონალებმა გაწირესო.

— არ მესმის, რას ნიშნავს, გაწირეს! რით გაწირეს, რაში გაწირეს? თუ ვინმეს გაურიგდა, მაშინ ვის მიეყიდა, „ოცნებას“? ვფიქრობ, ვინც ახლა გადაწყვეტს, ახალაიების დამცველი იყოს, მას საზოგადოება აუმხედრდება. ისიც არ მესმის, ვინ აიძულა ახალაიები, ის ყველაფერი ეკეთებინათ, რასაც აკეთებდნენ?! შეიძლება, ამას თავად ახალაიები ამბობენ, მაგრამ ყველამ იცის, რომ თუ ამის კეთება და მთელი ეს პრივილეგიები არ უნდოდათ, მაშინ სხვანაირად მოქმედებაც შეეძლოთ. რაც შეეხება ვანოს, მისი დაჭერა ჩემთვის გლობალური მოვლენა სულაც არაა. ეტყობა, „სამართლის ურემი“, როგორც იქნა, მივიდა მერაბიშვილამდეც. უბრალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ახლა ქვეყანაში ძალიან რთული დროა და, სამართალწარმოების თვალსაზრისითაც, არასტანდარტული ვითარებაა. პროკურატურა, ალბათ, არაორდინალური გზით უნდა წავიდეს. საზოგადოების დაკვეთა პოლიტიკური ნაწილია და არა — სამართლებრივი, მაგრამ ეს გამოძიებას არ აინტერესებს. ნებისმიერ შემთხვევაში, კოჰაბიტაცია თანამმართველობაა და ეს დამნაშავეთათვის ინდულგენციების მიცემას არ ნიშნავს.

— ამასვე ფიქრობს საერთაშორისო საზოგადოებაც? სხვათა შორის, ნაციონალები ცდილობენ, იულია ტიმოშენკოსა და უკრაინაში დატრიალებული მოვლენები საქართველოში მიმდინარე პროცესებს დაუკავშირონ.

— ეს არ გამოვა, ტიმოშენკო, ვანოსთან შედარებით, განუზომლად დიდი და ცნობადია. მერაბიშვილის დაკავებას მსოფლიოში მაინცდამაინც დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია, უბრალოდ ითქვა, სასამართლოს მიმდინარეობას ყურადღებით დავაკვირდებითო, თუმცა ისიც ნათელია, რომ „ოცნებას“ ნაციონალების მსგავსი საერთაშორისო მხარდაჭერა არ აქვს და არც ექნება. სააკაშვილი ქვეყანაში იმ არაეროვნულ ინტერესებს უფრო ატარებდა, რაც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს აინტერესებდათ, ივანიშვილი კი ასე არ იქცევა, ამიტომ ახლა ივანიშვილის ნომერპირველი ამოცანა მისი დღევანდელი საშინაო მხარდაჭერის გაფრთხილებაა. მერაბიშვილის დაჭერა, ჩემი აზრით, სწორედ ამას ემსახურება — შეიძლება, ეს მიზანმიმართულად არც უქნია, მაგრამ მისი დაკავებით ივანიშვილმა საშინაო მხარდაჭერა, გაიმყარა!

არ დაგიმალავთ, რას ვფიქრობ ვანო მერაბიშვილის დაჭერის შემდეგ — ქვეყანა, სადაც შს მინისტრებს ასე ეპყრობიან, წინ ვერ წავა, თუმცა აქ ერთი ოქროს წესი არსებობს, რომლითაც ვხელმძღვანელობდი — დანაშაული არ უნდა ჩაიდინო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი, რაც დღეს ნაციონალური მოძრაობის თავს ხდება, მიხეილ სააკაშვილის დამსახურებაა. მან მისცა იმპულსი ამ მოვლენებს — უდანაშაულო კაცის დაჭერასა და მერაბიშვილისნაირი მონსტრისა და დამნაშავის თანამდებობაზე დანიშვნას!

— გიგი წერეთლის თქმით, ნაციონალებმა, შესაძლოა, პრაიმერი აღარ ჩაატარონ და საპრეზიდენტო კანდიდატად პირდაპირ ვანო მერაბიშვილი დაასახელონ. ეს რა გათვლაა?

— ნაციონალები ზუსტად ისე მოქმედებენ, როგორც 2003 წლამდე და შემდეგაც. ეს მათი მორიგი პიარსვლაა.

— მერე, მერაბიშვილს გამარჯვების რა შანსი აქვს?

— არავითარი და სწორედ ამაზე იტყვიან, ციხეში რომ იჯდა, რა ქნა და გარეთ რომ ყოფილიყო, რას იზამდაო?! ეს მათგან შემოთავაზებული საგარეო მოხმარების პროდუქტია. ნაციონალური მოძრაობის შანსები ისედაც ძალიან მცირე იყო და ის პირდაპირპროპორციულად უკავშირდებოდა „ქართული ოცნების“ უმოქმედობას. დღეს ეს შანსები კლებისკენ უფრო მიდის. ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლის შემდეგ კი, ნაციონალური მოძრაობა, ალბათ, სადღაც განითესება!

„ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც საქართველოში არავინ იცის...“

მე-4 გვერდიდან

მისამართი გამომართვა და პრეზიდენტად არჩევის შემდეგ წერილი მომწერა. ნობელის პრემიის მიღებაც მივულოცე და გავუგზავნე ჩემი სცენარი წმინდა ნინოსა და ქეთევან დედოფლის შესახებ. ამის საფუძველზე, მომანიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდება და აკრედიტაცია მომცა.

— დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში თქვენი ჩამოსვლა მახსოვს — საზოგადოებამ შეხვედრა ოპერისა და ბალეტის თეატრში მოგიწყოთ.

— ეს ჩემ ხალხთან შეხვედრა და აღიარება-რეაბლიტაცია გახლდათ. 1976 წლის დეკემბერში, ისრაელში 10 სოლოკონცერტი ჩავატარე, რომელსაც დაესწრო 50 ათასი მაყურებელი, ძირითადად, ქართველი ებრაელობა. 25 დეკემბერს სცენაზე ამოვიდა იერუსალიმის მერი კედი კოლეკი, ისრაელის პრეზიდენტი იცხაკ ნარონი. კოლეკმა ისრაელის დროშა მომანიჭა, პრეზიდენტმა კი, ისრაელის საპატიო მოქალაქედ გამომაცხადა.

ეს ამბავი ბატონმა ზვიადმა იცოდა და ჩემი რეაბილიტაცია მოახდინა — საზღვრის უკანონო გადალახვისთვის, თურმე დახვრეტის მუხლი მქონდა წაყენებული, გრომიკომ კი საბჭოთა მოქალაქეობა გამიუქმა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ბატონმა ზვიადმა საქართველოში მომიწვია... თბილისში თელ-ავივიდან ჩამოვფრინდი, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარი იდგა და არ მიშვებდნენ, რადგან ყალბი ვიზა ეგონათ. ორი საათი თვითმფრინავში ვიჯექი და საქართველოში, მიუნხენში გადამოწმების შემდეგ, შემომიშვეს.

— ბატონო ნუგზარ, დღევანდელი საქართველო, თქვენი აზრით, დემოკრატიის მოთხოვნებს აკმაყოფილებს?

— პირველ რიგში, თვალში მხვდება ერთმანეთის გაკილვა და მტრობა, რაც ნამდვილად არაა სასიამოვნო. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო უნდა იყოს შვეიცარიასავით ნეიტრალური ქვეყანა. გერმანიის მუზეუმში ჰიტლერის დღიური წავიკითხე, სადაც წერია: „ქართველობა — ეს არის უზარმაზარი ბიზანტიური კულტურის ხალხი. მათ არ სურთ ერთმორწმუნე რუსები და მაჰმადიანი თურქები. მათ სურთ ნეიტრალიტეტი“. ჩვენი ინტელიგენცია ბერლინში სწავლობდა: ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სანდრო შანშიაშვილი, ძმები დათეშიძეები და სხვები, ამ ძლიერი ლობის შესახებ ჰიტლერმა იცოდა.

ევროპა და აშშ რუსეთის წინააღმდეგ ხმის ამომღები არ არის, თუმცა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, პროტესტს გამოთქვამენ. როცა საბჭოთა ჯარი უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში შევიდა, არც ერთი ქვეყანა რუსეთის საკითხში არ ჩაერია. მუჰამედ ალიმ ინტერვიუში მითხრა, რამდენჯერაც ჩემი მოწინააღმდეგე არ შევაფასე, რინგიდან იმდენჯერ დამარცხებული გავედიო. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ვებრძვით? აფხაზეთის ომის დაწყებისას 75-მა ტანკმა გადმოლახა მდინარე ფსოუ, გუმისთასთან გაჩერდა და დღესაც იქ დგას. 2008 წელს, სააკაშვილმა კონდოლიზა რაისი საქმის კურსში ჩააყენა და მისი სიჩუმე თანხმობად აღიქვა...

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან გამომდინარე, ევროპასთან შესახვეწი არაფერი გვაქვს. ჩვენგან უნდა ისწავლონ დემოკრატია და კულტურა... პიცა გახლდათ აფხაზური ხაჭაპური, რომელიც ჩვენმა სასულიერო პირებმა ვატიკანში ჩაიტანეს. მათ კი, ტომატი და სხვა ინგრედიენტები დაუმატეს და პიცა დაარქვეს... ამიტომ თითიდან გამოწოვილი ისტორიები არ გვჭირდება.

17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით კი ვიტყვი, რომ როდესაც როკ ჰანსონი კვდებოდა, 300 მილიონი დოლარი დაუტოვა შიდსის წინააღმდეგ მებრძოლ სამედიცინო ცენტრებს. აი, მისი ანდერძი, რომელიც ათჯერ გადავეცი რადიოთი: „ახალგაზრდებო, მე მოგიწოდებთ, იცხოვროთ ნორმალური ადამ და ევას კულტურული ქალ-ვაჟის სიცოცხლითა და სიყვარულით, თორემ მოგიწევთ ისეთივე ძაღლური სიკვდილი, როგორითაც მე მოვკვდი“. არაერთი ჰომოსექსუალისგან წერილი მივიღე, თქვენმა გადაცემამ თვალები აგვიხილაო. საქართველოში სირცხვილის გრძნობა აღარ არის?

სუპერმარკეტი „სმარტი“ ხორცპროდუქტების ასორტიმენტს ზრდის

24 მაისს, ჟურნალისტებმა „სმარტის“ სამზარეულოში შევიხედეთ — რუსთაველის გამზირზე, ძველი ფოსტის შენობაში, „ჩემ სუპერმარკეტში“ მედიატური ჩატარდა. მედიის წარმომადგენლები, თავდაპირველად, 0 სართულზე ჩაგვიყვანეს, ერთჯერადი ხალათებით, ბახილებითა და სპეციალური ქუდებით შეგვმოსეს და დაგვათვალიერებინეს „სმარტის“ ხორცის საამქრო. „ჩემი სუპერმაკეტის“ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის წარმომადგენელმა, შესასვლელში მკაცრად გაგვაფრთხილა, ქუდები ისე დაიფარეთ, თმა არ გიჩანდეთო. მედიატურის ჩატარების მიზეზი ის სიახლე გახლდათ, რომ „სმარტმა“ ხორცპროდუქტების ასორტიმენტი გაზარდა, მიზანი კი ის იყო, ჟურნალისტებს საკუთარი თვალით გვენახა, რომ „ჩემი სუპერმარკეტი“ მომხმარებელს, უკვე 150-მდე დასახელების საქონლის, ხბოსა და ღორის ცოცხალ ხორცს, ნახევარფაბრიკატსა თუ მზა კერძს, ხარისხის კონტროლის ევროპული სტანდარტების დაცვით სთავაზობს.

დავიწყოთ იმით, რაც ყველაზე თვალსაჩინო იყო — „სმარტის“ ხორცის საამქროში წარმოუდგენელი სისუფთავეა, ყველა თანამშრომელი თეთრი ხალათებით, ქუდებითა და ბახილებითაა შემოსილი. „სმარტის“ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსმა, გიორგი გირმისაშვილმა დაწვრილებით აგვიხსნა, საამქროში ხორცი საიდან მოაქვთ და შემოწმების რა ეტაპებს გადის.

როგორც ირკვევა, „სმარტში“ არ იყენებენ საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ გაყინულ ხორცს. აქ საქონლის, ხბოსა და ღორის ხორცი საქართველოს ფერმებიდან შემოდის. თან ყოველთვის ახალი — სასაკლაოზე ხორცი სისხლისგან დაიწრიტება თუ არა, მის ტრანსპორტირებას მაშინვე ახდენენ. **„ჩვენთან ყველაფერი ქართული ხორცით მზადდება. „სმარტი“ იმპორტირებული, გაყინული ხორცის რეალიზაციას არ ახორციელებს და ცოცხალი ხორცის მომწოდებლების შერჩევას მხოლოდ სპეციალური აუდიტის საფუძველზე ახდენს. მხოლოდ იმ ქართულ კომპანიებთან ვთანამშრომლობთ, რომლებიც ხორცის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს მკაცრად იცავენ. ამ ეტაპზე, ორი მომწოდებელი გვყავს. ჩვენთან შემოსულ ხორცს, აუცილებლად მოყვება ფორმა №2, რომლითაც დასტურდება, რომ ხორცი შემოწმებული და კეთილსაიმედოა. ტრანსპორტირება აუცილებლად იზოთერმული მაცივრით ხდება. მიღებისას, ჩვენი ინსპექტორები ამოწმებენ მაცივარს, მასში ტემპერატურას, ჰიგიენას. აუცილებელია, მანქანას მოყვეს საბუთი, რომ დეზინფექცია გაუკეთდა ძარას, რომელზეც ხორცი დაიკიდა. ხორცი, აუცილებლად დაკიდებულ მდგომარეობაში უნდა შემოვიდეს. სხვა შემთხვევაში, არ მივიღებთ“,** — განგვიმარტა **გიორგი გირმისაშვილმა**.

არ გეგონოთ, ხორცის შემოწმება აქ მთავრდება — „სმარტის“ ვეტერინარები, „სმარტისვე“ ვეტერინარულ ლაბორატორიაში პროდუქტს, ეტიკეტირებამდე და შენახვის ვადების განსაზღვრამდე, კიდევ რამდენჯერმე აკონტროლებენ. გიორგი გირმისაშვილი: **„ცოცხალი ხორცი ხარისხის კონტროლის რამდენიმე საფეხურს გადის და წარმოების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის სრული ციკლის განმავლობაში მოწმდება. ამას გარდა, „სმარტის“ ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები და ეტიკეტირების სისტემა, ხარისხის დამატებით გარანტიებს ქმნის“.**

იმას, რომ „სმარტი“ ტრადიციას არც ხორცპროდუქტებთან დაკავშირებით ღალატობს და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის, სასარგებლო პროდუქტს სთავაზობს, პროფესორი, საკვები პროდუქტების ხარისხის ექსპერტი **ქეთი დადიანიც** ადასტურებს: **„სმარტის“ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის საქმიანობა, იძლევა საფუძველს დავრწმუნდეთ, რომ ამ სუპერმარკეტში ნამდვილად დაცულია ხორცისა და ხორცპროდუქტების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები. შესაბამისად, ეს აძლევს მომხმარებელს მეტ გარანტიას, რომ აქ შეიძენს სათანადო ხარისხის, უვნებელ პროდუქციას“.**

გიორგი გირმისაშვილმა კი განგვიცხადა, მხოლოდ რუსთაველის „სმარტის“ ხორცის საამქრო კი დაგათვალიერებინეთ, მაგრამ ანალოგიური ვითარებაა ნებისმიერ „სმარტში“ — აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, ვაზისუბნის II მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზეც.

რაც შეეხება გაზრდილ ასორტიმენტს. გამოგიტყდებით, გამიკვირდა კიდეც — 150-მდე დასახელება გაზვიადებული მომეჩვენა და გულუბრყვილოდ ვიკითხე, ამ რაოდენობის პროდუქტი ხორცისგან სუპერმარკეტში როგორ მზადდებამეთქი. დახლზე გამოფენილი ნაირსახეობის დათვალიერების საშუალება მოგვეცა. აგვიხსნეს, რომ აქ, მარტო 80-მდე დასახელების ცოცხალი ხორცია. იმის მიხედვით, ძვლიანი ნაჭერი გნებავთ, მჭლე, ცხიმიანი, ფერდის, კანჭის თუ მუცლის... თითქმის ამდენივე, უგემრიელესი ნახევარფაბრიკატი და მზა კერძი გახლავთ, ღორის შებოლილი კისერი, „ბუჟენინა“ უკრაინულად, „ბუჟენინა“ აჯიკით, ღორის ხორცის რულეტი ბოსტნეულით, ქაბაბი, აფხაზურა, კუპატი მეგრულად, საქონლის ხორცის კუპატი, ღორის ხორცის „ბასტურმა“, ღორის სუკის „ბასტურმა“, ღორის სუკის „ბასტურმა“ ბადექონში, ხბოს ხორცის „ბასტურმა“... — ეს „სმარტის“ ხორცპროდუქტების მცირე ჩამონათვალია. თუ ზაფხულში, ქალაქგარეთ პიკნიკის მოწყობასაც გადაწყვეტთ, მისაღებ ფასად, უგემრიელეს ხორცთან ერთად, აქ მაყალს, წალამსა და სხვა ატრიბუტიკასაც წააწყდებით. ეს ადასტურებს, რომ „სმარტი“ ხარისხიან, სასარგებლო, გემრიელ პროდუქციასაც გვთავაზობს და მუდმივად ზრუნავს, მაქსიმალური კომფორტი შეგვიქმნას.

ნინო ლურსმანაშვილი

ინჯერვიუ, რომელიც ყველა მწეველმა უნდა წაიკითხოს!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ამ დღეებში საქართველოს მთავრობა თამბაქოს კონტროლის ეროვნულ-სტრატეგიულ გეგმას განიხილავს, რის შემდეგაც, ცვლილებები მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კი არა, რამდენიმე სხვა კანონშიც შევა. თამბაქოს მოხმარების მოსალოდნელ შეზღუდვებზე „ვერსიას“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე ესაუბრა.

ხელისუფლება მწეველებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნას გეგმავს!

— ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა მკაცრდება — უკვე შექმნილია სახელმწიფო კომისია, რომელსაც პრემიერი ხელმძღვანელობს. კომისიაში ათი მინისტრია, დაავადებათა კონტროლის ცენტრი კი კომისიის სამდივნოა. შემუშავებულია თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია, რომელიც ხუთ წელზეა გაწერილი — ამ გეგმით, ცვლილებები შევა თამბაქოს კონტროლის კანონში, საგადასახადო კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რეკლამის, მაუწყებლობის, ლიცენზირებისა და მოსაკრებლის კანონში. თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებიც გამკაცრდება, ვინაიდან, სტატისტიკური მონაცემებით, თამბაქო გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და კიბოს გაჩენის ერთ-ერთი უპირველესი რისკფაქტორია. ისიც ცნობილია, რომ თამბაქოსგან გამოწვეული ზიანით მსოფლიოში, ყოველწლიურად, 6 მილიონი ადამიანი იღუპება, საქართველოში კი — 11 000, აქედან 3 000 — პასიური მწეველობით გამოწვეული დაავადებებით. თამბაქოს მოხმარებას დიდი ეკონომიკური ზიანიც მოაქვს, ამიტომ ღონისძიებების გამკაცრება თამბაქოთი ვაჭრობასაც შეეხება — თუ აქამდე თამბაქოს ნაწარმი არ უნდა გაყიდულიყო სკოლიდან 50 მეტრის სიახლოვეს, ახალი რეგულაციით, ეს აკრძალვა 100 მეტრამდე გაიზრდება; აიკრძალება თამბაქოს მოწევა საჯარო დაწესებულებებში, მასობრივი თავშეყრის ისეთ ადგილებში კი, როგორიცაა კაფე-ბარი, რესტორანი და სტადიონი. თამბაქოზე აქციზის გადასახადი ეტაპობრივად გაიზრდება, რაც, ბუნებრივია, სიგარეტს გააძვირებს და მასზე ხელმისაწვდომობაც გართულდება, რაც, სხვათა შორის, აპრობირებული საერთაშორისო მეთოდია, რათა თამბაქოს შეძენა ახალგაზრდებმა და ბავშვებმა ვერ შეძლონ.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, თამბაქოს, როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი რეკლამირებაც აიკრძალება. გაიზრდება ჯარიმები, გამაფრთხილებელი წარწერა კი სიგარეტის კოლოფის 80%-ს დაიკავებს.

ამ აკრძალვებს ყველა სამინისტრო და უწყება ეთანხმება, მაგრამ პრობლემა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან გვაქვს — ვინ უნდა აღასრულოს კანონი? შსს აცხადებს, რომ აღსრულების ფუნქცია მას არ უნდა დააკისრონ, ვინაიდან ბევრი სხვა ფუნქცია აქვს. ამასთან, პოლიციას, შესაბამისი ნებართვის გარეშე, კერძო დაწესებულებაში შესვლის უფლება არ აქვს... ჩვენი წინადადებაა, აღსრულების მექანიზმის დივერსიფიცირება მოხდეს: ჯანდაცვის ობიექტებზე (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, აფთიაქები) ადმინისტრირება ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისმა უწყებამ განახორციელოს. თავდაცვის ობიექტებზე — თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა მაკონტროლებელმა და ასე შემდეგ... ყველაზე დიდი პრობლემა კი რესტორნების, ღამის კლუბების, ბარების, სტადიონებისა და ტაქსების კონტროლია და ამ კუთხით ადმინისტრირება შეიძლება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისმა სამსახურმა, მაგალითად, „სითი პარკმა“ განახორციელოს, რესტორნებსა და კაფეებში — საგადასახადო ორგანოებმა... ან შეიქმნას თამბაქოს საწინააღმდეგო სააგენტო, მაგრამ ეს ბიუჯეტისთვის დამატებითი ტვირთი იქნება. სხვათა შორის, საფრანგეთში მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებენ და ფაქტებს დამჯარიმებელ უწყებას ატყობინებენ...

— საჯარო დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარება საერთოდ აიკრძალება თუ მწეველებისთვის სპეციალური ადგილი იქნება გამოყოფილი?

— გავიდნენ ქუჩაში და მოწიონ.

— ესე იგი, მწეველმა პედაგოგმა ეზოში, ბავშვების თვალწინ უნდა გააბოლოს? ბატონო ამირან, ამან, ხომ შეიძლება, მოსწავლე წაახალისოს და სიგარეტი „დააგემოვნოს“... ხომ არ აჯობებს, სკოლებში მაინც არსებობდეს მწეველებისთვის სპეციალური კუთხე?

— სასურველია, მასწავლებელმა სიგარეტი არ მოწიოს. აკრძალვითი და დაბრკოლებითი ღონისძიებების მთავარი არსი ისაა, რომ ადამიანებს მოწევისთვის არაკომფორტული პირობები შევუქმნათ.

— კერძო დაწესებულებების კონტროლი ვინ უნდა განახორციელოს?

— ეს საკმაოდ რთული საკითხია. კერძო ორგანიზაციების მფლობელები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ მათ ორგანიზაციაში დარღვევა არ იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯარიმდება.

— ჯარიმა რას ითვალისწინებს?

— ორგანიზაციებისთვის — 1000-2000 ლარსა და მეტს, კერძო პირებისთვის კი შედარებით ნაკლებია.

— როგორც ვიცი, თამბაქოს რეალიზაციის წესიც იცვლება.

— დიახ, თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა დიდ სუპერმარკეტებსა და იმ მაღაზიებში აიკრძალება, სადაც საკვები და სათამაშოები იყიდება. თამბაქო ცალკე, სპეციალურ პატარა მაღაზიებში გაიყიდება. ყველაფერი ეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის კონვენციაზეა აგებული, რომელსაც საქართველო წლების წინ მიუერთდა. ამ კონვენციის შეფასებითი მისია საქართველოში ივნისში ჩამოვა.

— ორი თვის წინ, საქართველოში ჩამოსულმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკრაინელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ თამბაქოს ნაწარმის გაძვირებამ უკრაინაში მწეველთა რაოდენობა ვერ შეამცირა...

— გაძვირება პრევენციაა ახალგაზრდებისთვის, სხვათა შორის, სტრატეგიული გეგმა თამბაქოზე დამოკიდებული პირებისთვის სამკურნალო ცენტრების შექმნასაც ითვალისწინებს — მწეველებს მკურნალობისა და ჩანაცვლებითი თერაპიის პირობები უნდა შევუქმნათ.

— ეს ცენტრები ფასიანი იქნება?

— ამ ქვეყანაში უფასო არაფერია, მაგრამ უნდა შევძლოთ, მეტი მხარდაჭერა გავუწიოთ იმ ადამიანებს, რომლებიც თამბაქოზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას გადაწყვეტენ...

— ბატონო ამირან, თქვენი მონაცემებით, თამბაქოს ნაწარმი რამდენი პროცენტით გაძვირდება?

— ჩემი რეკომენდაციით, 4 წელიწადში, ეტაპობრივად, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი 4-ჯერ უნდა გაიზარდოს, თუმცა ეს ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს.

ალექსანდრე ანქვაბი რუსეთის პატრიარქს სთხოვს, „აფხაზეთის ეპარქია“ თავის იურისდიქციაში მიიღოს

ამის შესახებ, ანქვაბმა რუსულ-აფხაზურ ჰუმანიტარულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, აფხაზეთის ეკლესიაში კრიზისი საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ დაიწყო, როდესაც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სამხედრო აგრესიას დაუჭირა მხარი.

მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ მორწმუნეების სულიერი საზრდოს გარეშე დატოვება არ შეიძლება, აფხაზური და რუსული მართლმადიდებლობის ისტორიული კავშირებიდან გამომდინარე, ეს მაღალი მისია მოსკოვის საპატრიარქომ უნდა აიღოს.

„საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აფხაზეთის ეპისკოპოსის ხელდასხმის აუცილებლობა მომწიფდა. აღნიშნული პრობლემა რაც შეიძლება, მალე უნდა გადაწყდეს, რათა ძირძველ მართლმადიდებელ ქვეყანაში სამოციქულო მემკვიდრეობა შევინარჩუნოთ და ყველაზე არასასურველი შედეგები ავიცილოთ. ესაა აფხაზეთის ხელისუფლების მტკიცე რწმენა“, — განაცხადა ანქვაბმა.

მისი აზრით, **„აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ამჟამად კრიზისული სიტუაციაა“.**

„ამ კრიზისის სათავე საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტიდან მოდის. მაშინ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სამხედრო აგრესიას მხარი დაუჭირა და მას შემდეგ, აფხაზი მართლმადიდებლები და მათი სულიერი მოძღვრები — აფხაზი და რუსი მღვდელმსახურები, საეკლესიო ცხოვრებას დამოუკიდებლად ეწევიან. საგარეო დახმარებას მათ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უწევდა. მსოფლიო პატრიარქისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, კონსტანტინეპოლი მაინც ძალიან შორსაა ჩვენგან მრავალი საზომით“, — განაცხადა ანქვაბმა.

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის ამ განცხადებას რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელიც გამოეხმაურა:

„რუსული ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას ყველა საჭირო დახმარებას უწევს და საეკლესიო ცხოვრებას აძლიერებს. აფხაზეთში საეკლესიო საკითხის გადაწყვეტა ძნელია და მას გარკვეული დრო დასჭირდება. ყველა საჭირო კონსულტაცია მიმდინარეობს ამ საკითხზე“.

„ჯი-ეიჩ-ენ“

ვერტმფრენიდან გადმოვარდნილი აგენტები ცარნაევების დაკავების ოპერაციაში არ მონაწილეობდნენ

ფედერალური გამოძიების ბიუროს სპეციალური წარმომადგენლის ენ ტოდის თქმით, ვერტმფრენიდან ჩამოვარდნილ სპეცაგენტებს 41 წლის კრისტოფერ ლორეკსა და 40 წლის სტივ შოუს ცარნაევების დაკავების ოპერაციასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ: **„სპეცოპერაციებში მონაწილეთა ვინაობას FBI, როგორც წესი, არ ახმოვანებს, მაგრამ არსებული ინტერესიდან გამომდინარე, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ვაცხადებ, რომ აგენტები ლორეკი და შოუ არ ყოფილან უოთერთაუნში“.**

ეს განცხადება ენ ტოდმა რუსული საინფორმაციო სააგენტო „იტარტასის“ კითხვის საპასუხოდ გააკეთა. სააგენტომ ფედერალურ გამოძიების ბიუროს სთხოვა, კომენტარი გაეკეთებინა რუსულ გამომცემლობებში გამოთქმული ეჭვების შესახებ, თითქოსდა ბიუროს ეს თანამშრომლები მონაწილეობდნენ ძმები ცარნაევების დაკავებაში.

დაღუპულები მსახურობდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს სწრაფი რეაგირების ჯგუფში, რომლის ბაზა მდებარეობს კუონტიკოში (შტატი ვირჯინია). სპეცაგენტები კრისტოფერ ლორეკი და სტივენ შოუ ვერტმფრენიდან გადმოცვივდნენ რთული სავარჯიშოს შესრულების დროს. აგენტები ოკეანეში ჩაცვივდნენ 23 მეტრი სიმაღლიდან, ხოლო ვერტმფრენმა შეძლო უსაფრთხოდ დაშვება, — იტყობინება „იტარტასი“. უბედური შემთხვევის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ან ცუდი მეტეოროლოგიური პირობები, ან ტექნიკური გაუმართაობა.

„ნიუს.გე“

ზურაბ ჭიაბერაშვილი: „მე და ვანოს საქმე სასაცილოდ ნამდვილად არ გვაქვს!“

გირაოთი გათავისუფლებული კახეთის გუბერნატორი ნანა კაკაბაძეს ურჩხულს უწოდებს

რუსუდან ჭელია
557-100-768

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილმა მინისტრმა და კახეთის მოქმედმა გუბერნატორმა ციხეს თავი 20 ათასლარიანი გირაოს გადახდით დააღწია, ყოფილი პრემიერი კი, სააპელაციო სასამართლომაც პატიმრობაში დატოვა. რატომ იცინოდა განაჩენის მოსმენისას და სთხოვდნენ თუ არა პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას? — „ვერსიას“ ზურაბ ჭიაბერაშვილი ესაუბრა.

— მართალია, მე და ვანო მერაბიშვილს, დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით, უკანონო ქმედებაში გვადანაშაულებენ, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ: ქვეყანაში, სადაც ნომერპირველი პრობლემა უმუშევრობაა, ჩვენს მიერ დაწყებული პროგრამის შეწყვეტა მიზანშეუწონლად მიმაჩნია...

— ისე, ბატონო ზურაბ, ნაციონალებს 9 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით, პრაქტიკულად, არაფერი გაგიკეთებიათ და დასაქმების პროგრამა მაინცდამაინც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები წინ რატომ გაგახსენდათ?

— იცით რა, ბრალდების აბსურდულობაში საზოგადოება მაშინ დარწმუნდება, როცა სასამართლო საქმის რეალურ განხილვას შეუდგება.

სხვათა შორის, თავად პროკურორებმა დაარღვიეს კანონი — საქართველოს კანონმდებლობით, ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და სხვა მაღალჩინოსნებს იუსტიციის მინისტრი აკავებს. ჩვენ კი არაოფიციალურმა პირებმა დაგვაკავეს, ელჩის სტატუსი კი ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნდება. პრემიერ-მინისტრისგან არაერთხელ მოვისმინეთ, თუ ნაციონალური მოძრაობა რიტორიკას არ შეწყვეტს, მსგავსი პოლიტიკური დაჭერები მომავალშიც გაგრძელდებაო, ისიც მსმენია ბევრჯერ, ყოფილ პრემიერ-მინისტრს დანაშაული უმტკიცდება თუ არა, ვანო მერაბიშვილი აუცილებლად უნდა დაიჭირონ, რადგან ასე მელორ ვაჩნაძესა და ნანა კაკაბაძეს სურთო.

— მხოლოდ კაკაბაძე და ვაჩნაძე კი არა, მერაბიშვილის გასამართლებას საზოგადოების დიდი ნაწილიც ითხოვს და ამის არგუმენტად, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 26 მაისის სისხლიან დარბევასა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობა მოჰყავს...

— კი, ბატონო, სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდებით, მაგრამ თუ ხელისუფლება ამ ადამიანების ლოგიკით იმოქმედებს, საკმაოდ ცუდ შედეგს მიიღებს. დღევანდელ მმართველ გუნდს ჰგონია, რომ ნანა კაკაბაძისნაირ ურჩხულებს იოლად მართვას, მაგრამ ეს ურჩხული ისე გაიზრდება, მისი მართვა მალე შეუძლებელი გახდება, ასე რომ, რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ვიმყოფებით და ხელისუფლებას მეტი დაფიქრება მართებს. თუ ეს ადამიანები იგრძნობენ, რომ ქვეყანაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ და ხელისუფლებაც მათ იდეოლოგიას მიყვება, ხვალ-ზეგ მეტი პრეტენზია გაუჩნდებათ. როცა ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მინისტრს აკავებ, ამით, მინიმუმ, ქვეყნის იმიჯი ზარალდება თან იმ დროს, როცა ნატო-ს კარზე ვაკაკუნებთ და ვილნიუსის შეხვედრაც წინაა, პროკურატურას მეტი თავშეკავება მოეთხოვება.

— ესაა არგუმენტი, რის გამოც ყოფილ მაღალჩინოსანს, შეიძლება, დანაშაული ეპატიოს? არაერთი ევროპული ქვეყნის მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ, როცა ყოფილი მაღალჩინოსნები დააკავეს და გაასამართლეს, თუ დანაშაული დაგიმტკიცდათ, თქვენ რატომ უნდა იყოთ ხელშეუხებელნი?

— ხელშეუხებლობას არც ვითხოვ და არც იმას ვამტკიცებ, ვინმე კანონზე მაღლა უნდა იდგეს-მეთქი, უბრალოდ, იმის თქმას ვცდილობ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესები გასათვალისწინებელია, თორემ ჩვენ ამ ქვეყნის საკეთილდღეოდ რაღაცები უკვე გავაკეთეთ და მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებთ!

— ბატონო ზურაბ, „ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურა პირველივე დაკითხვაზე მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას გთხოვდათ, მართალია?

— არა! დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა შეუძლებელია, რადგან ეს პროექტი მე და ვანო მერაბიშვილმა ვაწარმოეთ.

— „ვერსიას“ ისიც უთხრეს, რომ ვიდრე გუბერნატორის პოსტზე დაინიშნებოდით, დიპლომატებმა ქვეყნიდან გასვლა გირჩიეს...

— არ ვადასტურებ...

— სასამართლო პროცესის დაწყებისას, ვანო მერაბიშვილს თითებზე რაღაცები ჩამოუთვალეთ და ბევრი იცინეთ, იქნებ გამიმხილოთ, მერაბიშვილს რა უთხარით?

— არ მახსოვს, იმ მომენტში რას ვყვებოდი, მაგრამ ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და ადამიანური ემოციები გვაქვს. არ დაგიმალავთ, პროცესის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის დროსაც, საკმაოდ ვნერვიულობდით, რადგან აბსოლუტურად უჩვეულო მდგომარეობაში აღმოვჩნდით, თანაც ჩვენს უკან ათასობით ადამიანი დგას. მიუხედავად ამისა, მე და ვანო ისეთ ადამიანურ გრძნობას არ ვკარგავთ, როგორიც იუმორია. პროცესი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ შეიძლება, ანეკდოტიც კი მოვუყევი ან, უბრალოდ, ერთმანეთს ვეხუმრეთ.

— მაშინაც იცინოდით, როცა მოსამართლის განაჩენს ისმენდით. ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში დარჩენა გაგიხარდათ?

— როცა განაჩენი მოვისმინე, საქმე სასაცილოდ ნამდვილად არ მქონდა. პირიქით, ჩემთვის საკმაოდ რთული იყო იმის მოსმენა, რომ ვანო მერაბიშვილი ორთვიან პატიმრობაში რჩებოდა.

— გირაო ვინ გადაიხადა?

— თვითონ გადავიხადე.

— თანაგუნდელები არ დაგეხმარნენ? ბევრს ისიც გაუკვირდა, რომ სასამართლოდან გამოსულს, ერთი გულშემატკივარიც არ დაგხვდათ.

— მცირე პროცედურული გაუგებრობა იყო — როცა ვანო „მატროსოვზე“ გადაყავდათ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასთან ერთად მეც უნდა ვყოფილიყავი. ეს გაუგებრობაც რომ არ ყოფილიყო, ბევრად რთულ მდგომარეობაშიც ვყოფილვარ, მაგრამ ზედმეტი ხელისჩაკიდება არასოდეს დამჭირვებია და არც ახლა მჭირდება. სამართლიანი სასამართლოს პირობებში, გამოძიების დასრულებას დაველოდები, ხელისუფლებას აშკარად აქვს სასამართლოზე გავლენის მოხდენის სურვილი, თუმცა იმედი მაქვს, პროცესი ისე დასრულდება, რომ განაჩენის სისწორეში საზოგადოებას ეჭვი არ შეეპარება. ეს, პირველ რიგში, ქვეყნის სტაბილურობას შეუწყობს ხელს!

„ოცნების“ საშიში არჩევანი და კრემლის „გაზპრომული“ მარწუხები სომხეთისთვის

შეიძენს თუ არა საქართველო ძვირ რუსულ გაზს

მირიან ლეგანიძე

მეზობელ სომხეთში დაბნეულნი და აღშფოთებულნი არიან: პირველი სექტემბრიდან რუსული ბუნებრივი აირი სომხებისთვის თითქმის 65%-ით გაძვირდება, რაც უმძიმესი დარტყმა იქნება სომხეთის ეკონომიკისა და რიგითი მოქალაქეებისთვის. ერევანში პროტესტი არ წყდება — სომხურ მედიაში ხმამაღლა საუბრობენ, რომ რუსეთი სომხეთს საბაჟო კავშირსა და ევრაზიულ გაერთიანებაში შეთრევას აიძულებს. ამ ვარაუდს ადასტურებს „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია „არმროსგაზპრომის“ წარმომადგენლების განმარტება, ბუნებრივ აირზე საფასურის ზრდის აუცილებლობა ახალმა საბაჟო ტარიფებმა და ინფლაციამ განაპირობაო.

სომეხი პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ თუკი სომხეთის ხელისუფლებას ბუნებრივი აირის გაძვირება არ სურს, არსებობს ერთადერთი გამოსავალი — რუსეთ-ბელორუსი-ყაზახეთის საბაჟო და ევრაზიულ კავშირებში გაერთიანება. საბაჟო კავშირის წევრობით სომხეთი ზუსტად ისეთ შეღავათს მიიღებს, რაც მოქმედი ტარიფის შენარჩუნებისთვისაა საჭირო.

დღეს სომხეთი რუსულ გაზს 189 აშშ დოლარად ყიდულობს. შემოდგომაზე კი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 270 დოლარამდე გაიზრდება. შესაბამისად, მოსალოდნელია ელექტროენერგიის, ტრანსპორტისა და სხვა საქონლის გაძვირებაც. სემეკ-ის სომხური ანალოგი — საზოგადოებრივი მომსახურების სააგენტო დენის ახალ ტარიფზე უკვე ფიქრობს...

სომხეთისთვის გაზის ახალი ფასის დაწესების შესახებ საუბარი შარშან ზაფხულში დაიწყო. აგვისტოში სერჟ სარქისიანი ვლადიმერ პუტინს შეხვდა, მაგრამ სომხეთის პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, რუსი კოლეგის გადარწმუნება ვერ შეძლო და არც საბაჟო და ევრაზიულ კავშირში შესვლაზე დათანხმდა. ერევანში ალბათ ხვდებიან: სომხეთი რუსეთზე ისედაც მეტისმეტადაა დამოკიდებული და დასავლეთთან ცოტა დაახლოებაზე ჩურჩულებენ.

სარქისიანმა პუტინი მხოლოდ იმაზე დაიყოლია, რომ გაზის გაძვირება სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნებს არ უნდა დამთხვეოდა და ეს პროცესი ერთი წლით გადადეს. მოქალაქეთა დასაშოშმინებლად, სომხეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მოქმედ და ახალ ტარიფში სხვაობას ბიუჯეტი დაფარავს, თუმცა ოპოზიციასა და ანალიტიკოსებს ეს არგუმენტი არ ამშვიდებს, რადგან ეს სომხეთის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვება, თანაც ბიუჯეტს ხალხი ავსებს, ანუ გამოდის, რომ 270 დოლარს იგი საკუთარი ჯიბიდან გადაიხდის.

სომხეთში კითხულობენ: „რატომ გვიკეთებს რუსეთი ამას? სომხეთი ხომ კავკასიაში მისი ერთადერთი და საიმედო მოკავშირეა? რატომ არაა ეს მოსკოვისთვის საკმარისი? რატომ ითხოვს სულ უფრო მეტს? “ პოლიტიკურ ოპოზიციაში გაიჟღერა რუსული სამხედრო ბაზისთვის დიდი გადასახადის დაწესების მოთხოვნამ და ეჭვმა, რომ რუსეთი ყარაბაღის საკითხის აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაჭრას დაუჭერს მხარს...

მოსკოვი სომხეთში მიმდინარე პროცესებზე დუმს — როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ ერევანი მკვეთრ მოძრაობებს მოერიდება. ერევანს მხოლოდ ორი არჩევანი აქვს: ან დათანხმდეს მისი ეკონომიკისა და ხალხისთვის უმძიმეს ტარიფს, ან უფრო შეიკვეცოს თავისუფლების ხარისხი და მეტად ჩაეფლოს რუსეთისადმი დამოკიდებულების ჭაობში.

სომხეთის მაგალითიდანაც ჩანს, რომ რუსეთი მხოლოდ მოწინააღმდეგეების კი არა, მეგობრების მიმართაც „ბოლომდე ჩაწიხვლის“ პოლიტიკას მისდევს. ამ ფონზე კიდევ უფრო საკვირველი ჩანს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის განცხადება რუსული გაზის იმპორტის განახლების აუცილებლობაზე. კალაძემ არგუმენტად ბაზრის დივერსიფიცირების საჭიროება დაასახელა. ეს საკითხი საქართველოსთვის მუდმივად აქტუალურია.

2006 წლამდე საქართველო მთლიანად დამოკიდებული იყო რუსეთზე. წლების განმავლობაში ექსპერტები ხელისუფლებას გაზის იმპორტის ალტერნატიული გზების მონახვას დაჟინებით ურჩევდნენ. 2006-ში მოხდა ის, რასაც პროგნოზირებდნენ: „გაზპრომმა“ საქართველოს ბუნებრივი აირი გადაუკეტა. მაშინ საქართველოს ბუნებრივი აირით აზერბაიჯანი დაეხმარა და ცოტა ხნით იმპორტიორად ირანიც იქცა. 2007 წლიდან საქართველოს ბუნებრივი აირის ძირითადი მიმწოდებელი აზერბაიჯანია. საქართველო, სომხეთში ტრანზიტის საფასურად, წელიწადში, 150 მლნ კუბურ მეტრ რუსულ გაზსაც იღებს, თუმცა ეს, 1.6 მლრდ კუბურ მეტრ აზერბაიჯანულ ბუნებრივ აირთან შედარებით, ზღვაში წვეთია.

საქართველომ რუსეთი აზერბაიჯანით ჩაანაცვლა და მასზე გახდა დამოკიდებული. აზერბაიჯანი, რომელსაც თითქმის ულევი ენერგორესურსი აქვს და ისტორიულ მოკავშირედ თურქეთი ეგულება, რეგიონში ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ბაქოს გავლენა სულ უფრო ძლიერდება და უკვე შესწევს ძალა, საკუთარი ინტერესები რუსეთსა და ამერიკასთანაც აქტიურად დაიცვას. ამავდროულად, არ გაუშვებს შანსს, საჭიროების შემთხვევაში, ძალის დემონსტრირება მეზობლებთანაც მოახდინოს.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ აზერბაიჯანიდან წნეხი პირველად მაისის დასაწყისში იგრძნო — პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიტიკოსების რჩევა გაითვალისწინა და ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის ეკონომიკური მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დააყენა. საქმე ისაა, რომ ამ სქემის ამოქმედება მნიშვნელოვნად შეამცირებს ფოთისა და ბათუმის პორტების ტვირთბრუნვას, ასევე, ქვეყნის ფინანსურ სარგებელსა და სატრანსპორტო პოტენციალს.

ივანიშვილს ბაქოდან სასწრაფოდ გამოეხმაურნენ და შეახსენეს, რომ ქართველები აზერბაიჯანულ გაზს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით იღებენ და აზერბაიჯანმა საქართველოს ეკონომიკაში 3 მლრდ დოლარის ინვესტიცია ჩადო.

მოკლედ, ბაქომ თბილისს დიპლომატიურად ურჩია, არ გამანაწყენოო... ბაქოში ვიზიტის შემდეგ, ივანიშვილმა თავის განცხადებას ნაჩქარევი უწოდა...

სწორედ ამ მოვლენებს დაემთხვა კალაძის გამოსვლაც, რომელმაც ხაზი ბუნებრივი აირის იმპორტის 3-4 ალტერნატიული წყაროსა და კონკურენციის ზრდის აუცილებლობას გაუსვა. ლოგიკური იყო პრეზიდენტ სააკაშვილის მოწოდებაც, რუსეთის ნაცვლად, სხვა ალტერნატივის ძიების შესახებ, თუმცა ამაზე საქართველოს არც ძველი და არც ახალი ხელისუფლება სერიოზულად არ მსჯელობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან არჩევანი მაინც მწირია. გაზის იმპორტის კიდევ ერთი ალტერნატივა ყაზახეთი, თავადაა „გაზპრომის“ პარტნიორი და რუსეთის მოკავშირე.

კალაძემ კონკურენცია ახსენა და ამით აქცენტი არა პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ფაქტორებზე გაამახვილა, თუმცა დღეს საქართველო აზერბაიჯანიდან გაზს, დაახლოებით, 160 დოლარად იღებს, რაც უფრო იაფია, ვიდრე რუსეთ-სომხეთს შორის დღეს არსებული ტარიფი. ექსპერტთა განცხადებით, წარმოუდგენელია, რომ რუსეთმა საქართველოს ბუნებრივი აირი ამ ფასში დაუთმოს. სხვა უფრო იაფი ბუნებრივი აირი კი მსოფლიოში ჯერჯერობით არ არსებობს. შესაბამისად, ეკონომიკურ კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია და საქმე სწორედ პოლიტიკურ ფაქტორებს ეხება: საქართველო რუსეთთან ბრძოლაში იმდენად ჩაეფლო, რომ ბაქოზე ზედმეტ დამოკიდებულებას უფრთხის, ძალთა დაბალანსებას რუსეთის მეშვეობითა და მასთან შეხების წერტილების პოვნით აპირებს, რაც არანაკლებ საშიში არჩევანია.



ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში გველი შეძვრა

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის ბრიფინგის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ოფისის ე.წ. წითელ დარბაზში გველი შენიშნეს, რომელიც ხალიჩასა და იატაკს შორის არსებულ ხვრელში შეძვრა.

როგორც პარტიის პრესსამსახურის უფროსმა გიორგი პატარაიამ აღნიშნა, გველის გამოსაყვანად მერიის შესაბამისი სამსახური გამოიძახეს.

„ინტერპრესნიუსი“

გივი თარგამაძე პრემიერს რომანოვების სასახლის მითვისებაში ადანაშაულებს

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე ხელისუფლებას კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებს. როგორც თარგამაძემ განაცხადა, ლიკანში, რომანოვების სასახლე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტის „დაჩას“ უწოდებდა, დღეს მის საკუთრებაშია. თარგამაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი უფროსი და ახლა სამცხე-ჯავახეთის პოლიციის სამხარეო უფროსი რევაზ მუმლაძე მეუღლესთან ერთად, რომანოვების სასახლეში იმყოფებოდნენ.

„მათთან ერთად იყო გიორგი საღინაშვილი, რომელიც „ჰერმესის“ დირექტორად მუშაობდა, დარღვევების გამო პატიმრობაში იმყოფებოდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი, საღინაშვილი გაათავისუფლეს“, — აღნიშნა გივი თარგამაძემ.

მისივე განმარტებით, ბიძინა ივანიშვილი ლიკანში, რომანოვების სასახლეს თავის დაცვის ყოფილ უფროსს არ აჩუქებდა.

„ჩვენ გვესმის, რომ ეს ტერიტორია ბიძინა ივანიშვილის იქნება და სოჭის ოლიმპიადის ჩატარების შემდეგ, რუსეთის ამჟამინდელ მეფეს, პუტინს ყოფილი მეფის მფლობელობაში არსებულ ობიექტზე მიიღებს“, — განაცხადა გივი თარგამაძემ და დასძინა, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოში რეალურად არაფერი გაუკეთებია: **„თუ რამე დახარჯა, ამ სახით ინაზღაურებს. ეს კაცი საქართველოში მოსულია ფულის საკეთებლად“.**

ეკონომიკის სამინისტრო თარგამაძის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

„ინტერპრესნიუსი“

28 მაისს საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ეწვევა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ჟან-კლოდ მინიონი საქართველოს კაბინეტის უფროს პეტრ სიჩსა და პრეზიდენტის მრჩეველ ქსავიერ პინიონთან ერთად ესტუმრება.

დელეგაცია თბილისში ბაქოდან ჩამოვა და პრეზიდენტსა და პრემიერს შეხვდება, 29 მაისს კი ერევანში გაემგზავრება.

„პირველი“

ქდმ სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვს

მერაბ ბერიძე

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა უცხოელი მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადებას მოითხოვს. პარტიის ლიდერებმა — გიორგი თარგამაძემ და გიორგი ახვლედიანმა საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში უკვე შეიტანეს და თუ ამ მოთხოვნას ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ მოჰყვება, ქდმ მტკივნეული საკითხის საყოველთაო რეფერენდუმზე გატანას აპირებს. „ვერსია“ ქდმ-ს ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.

— პრობლემა შარშან, ზაფხულში დაიწყო, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა საკონსტიტუციო ჩანაწერი, რომელიც ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემას კრძალავდა. 2012 წლის დეკემბრიდან კი უცხო მოქალაქეების მიერ ქართული მიწების შესყიდვა მასობრივად დაიწყო. მართალია, ქართველი გლეხისთვის არა, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტებით, ქართული მიწა საკმაოდ იაფია — საერთაშორისო საზომით, ჰექტარზე 1500-2000 დოლარი საკმაოდ დაბალია... უზარმაზარი საფრთხის წინაშე ვდგავართ, რადგან პატარა სახელმწიფო ვართ, მიწა კი ამოწურვადი რესურსია, ამიტომ რამდენიმე წელიწადში ეს რესურსი, შეიძლება, მთლიანად უცხოელების განკარგულებაში აღმოჩნდეს... სასოფლო-სამეურნეო და სახნავ-სათესი მიწა საქართველოში, დაახლოებით, მილიონ ორასი ათასი ჰექტარია. 1000-1500 დოლარის პირობებში, მთელი ქართული მიწის შეძენა მილიარდი დოლარითაა შესაძლებელი. ეს საკითხის, რა თქმა უნდა, თეორიული ნაწილია, მაგრამ ამის გაკეთება ნებისმიერ არაკეთილმოსურნე მეზობელსა თუ არამეზობელს შეუძლია.

— სხვა ქვეყნებში ეს სფერო როგორ რეგულირდება?

— არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ამ მიმართულებით კონკრეტულ, მკაცრ რეგულაციებს არ აწესებს და თავის რესურსს უცხო მოქალაქეებზე გასხვისებისგან არ იცავს. ევროკავშირშიც გარკვეული შემზღუდავი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, რომ მიწა გარკვეული პირობის გარეშე არ გაიყიდოს, ჩვენთან კი, არავინ არავის არაფერს სთხოვს, თუნდაც პირობას, რომ უცხოეთის მოქალაქემ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს სტატუსი არ შეუცვალოს ან ეს მიწა არ დააზიანოს. საერთოდ, პროექტი, რომლითაც უცხოელი მოქალაქე მოდის, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კონცეფციასთან შესაბამისობაში უნდა იყოს... როცა ამაზე ვსაუბრობთ, ჩვენი პოლიტსპექტრის ლიბერალური ნაწილი მმართველი ძალიდან და ასევე ნაცმოძრაობიდან გვეუბნება, რა საშიშროებაა, მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ და წაიღებენო, რეალურად კი, ამის შანსიც არსებობს: ხრიოკი, გაუდაბნოებული ქვეყნები საქართველოდან ჰუმუსის გატანით არიან დაინტერესებულნი... ჰუმუსი 40 სანტიმეტრის მიწის ზედა ფენაა, რომელიც იძლევა ნაყოფს და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულია ნაყოფიერ, ნეშომპალიან ნიადაგად. შესაბამისად, მისი მოჭრა და გატანა დღეს საქართველოდან პრობლემას არ წარმოადგენს.

— ამის გათვალისწინებით, ვდგავართ თუ არა კატასტროფის წინაშე და უნდა შემოვკრათ თუ არა განგაშის ზარებს?

— კატასტროფის წინაშე, ჯერჯერობით, არ ვდგავართ, რადგან ყველაფერი ექვსი თვის წინ დაიწყო, მაგრამ კატასტროფისკენ დიდი ნაბიჯებით მივექანებით. ვიმეორებ, ასეთი ტემპით შეიძლება, რამდენიმე წელში დადგეს რეალობა, როცა ქართული მიწა სახელმწიფოს საკუთრებაში, პრაქტიკულად, აღარ იქნება, გარდა იმისა, რომ სასურსათო უსაფრთხოების უმთავრესი წინაპირობა და რეზერვია, სასოფლო-სამეურნეო მიწა ჩვენი სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უმთავრესი კატეგორიაცაა.

— ამ პროცესზე სოფლად, გლეხობა რას ამბობს?

— ეს პროცესი ქვეყნის მოსახლეობაში დაპირისპირებებს იწვევს — სოფლად მცხოვრებთ სერიოზული პრობლემა აქვთ, რადგან თავად ვერ ახერხებენ იმ მიწის ნაკვეთის დაკანონებას, რომელიც ისტორიულად მათ მფლობელობაშია და ამ დროს, ისტორიულად მიმდინარეობს მიწის გასხვისება უცხოელ მოქალაქეებზე!

სხვათა შორის, ავსტრიაში მიწა ევროკავშირის მოქალაქემაც რომ შეიძინოს, ამ ქვეყანაში, მინიმუმ, ათი წელი კანონიერად უნდა იცხოვროს. ამასთან, უნდა ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო განათლება და გარკვეული ინვესტიციის ჩადების ვალდებულება. ამის შემდეგ მიწის ნაკვეთი, მაგალითად, ჰექტარნახევარი გარკვეული შეზღუდვებით ეძლევა. ჩვენთან კი ნებისმიერს, ძირითადად, ინდოელებს, ნიგერიელებს, არაბებს, თურქებს ნებისმიერი რაოდენობის მიწის ნაკვეთის შესყიდვის უფლება აქვთ, რადგან ქვეყანაში რეგულაციები, პრაქტიკულად, არ არსებობს. ვაცხადებთ, რომ ეს პროცესი საქართველოს ევროკავშირში შესვლამდე უნდა შეჩერდეს!

— რა ვუყოთ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც უცხოელ მოქალაქეებზე უკვე გაყიდულია?

— ჩვენს ინიციატივაში, რომელიც პარლამენტს გავუგზავნეთ, აქცენტი ამ თემაზეცაა — უცხოელებს, რომლებმაც მიწები შეიძინეს, სახელმწიფომ ძალიან მკაცრი ხელშეკრულებითი პირობები უნდა დაუწესოს. ქართული მიწის უცხოელმა მფლობელებმა, უპირველესად, ყოველ ნახევარ ჰექტარზე, მილიონ ლარად ღირებული პროექტი უნდა წარმოადგინონ, რომლითაც ინვესტიციების განხორციელებას აპირებენ. ასევე, უნდა იყოს ვალდებულება, რომ 60% ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება და უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწისთვის სტატუსის შეცვლის უფლებაც არ უნდა ჰქონდეთ.

რამდენიმე დღის წინ, თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირში ვიყავი, სადაც ნიგერიის მოქალაქეებმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძინეს; შემდეგ რეესტრში წავიდნენ (დღეს საქართველოში ეს ძალიან იოლია), მიწას სტატუსი შეუცვალეს და არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოებას აპირებენ — როგორც გავიგე, ღორების ფერმის გაკეთება სურთ. ფერმა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მიწას სტატუსი არ უნდა შეეცვალოს, ეს უფრო დააჩქარებს სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსის შემცირებას.

ზემოხსენებული რეგულაციების შემოღების შემდეგ, ქართული სახელმწიფო ყველაზე მნიშვნელოვან და სტრატეგიულ რესურსს მეტნაკლებად დაიცავს!

— თუ ხელისუფლება, თქვენს წინადადებებთან დაკავშირებით, შემხვედრ ნაბიჯებზე არ წამოვა, რას აპირებთ?

— მაქსიმუმ, ერთ თვეს დაველოდებით და თუ სახელმწიფო, ხელისუფლება — პარლამენტი, მთავრობა ჩვენს საკანონმდებლო წინადადებაზე რეაგირებას არ მოახდენს, დავინახავთ, რომ დღევანდელ ხელისუფლებასაც ქართულ მიწასთან მიმართებაში ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულება აქვს და ხელისუფლების იმ წყაროს მივმართავთ, რომელსაც ქართველი ხალხი ჰქვია: დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას, რომ ეს საკითხი რეფერენდუმზე დადგეს — ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ გადაწყვიტოს ქართული მიწის ბედი. ამისთვის 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება იქნება საჭირო... არასახარბიელოა ის განცხადებები, რომლებიც ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებიდან და უმრავლესობის წარმომადგენლებისგან ისმის. უმცირესობაზე აღარაფერს ვამბობ — თავის დროზე, ნაციონალების დაკანონებულია ეს დანაშაულებრივი პოლიტიკა.

არ ვიცი, ეს პოლიტიკა ბენდუქიძის ტვინში მოიხარშა თუ სააკაშვილის ტვინში დადუღდა, მაგრამ უნდოდათ, ქართული სოფელი ადგილობრივი მოსახლეობისგან დაეცალათ — ხალხი ისეთ ილუზორულ ქალაქებში გადაესხათ, როგორიც, მაგალითად, ლაზიკა იყო, მათ ადგილას კი უნდა ჩაესახლებინათ უცხოტომელები — ინდოელები, ბურები, ნიგერიელები, არაბები, თურქები, ეგვიპტელები და ა.შ. ამ ადამიანებსა და მათ სახელმწიფოებთან პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ ისინი ქართული ცნობიერების, ღირებულების მატარებლები არ არიან, თუმცა ხელისუფლება სერიოზულ სარჩევნო ხმებს იბევებდა — ჩამოსული ადამიანებისთვის (რომელთა რაოდენობა რამდენიმე წელიწადში ძალიან გაიზრდება, თუ არ გავაკონტროლებთ) ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება სააკაშვილისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და ისინი, როგორც ამომრჩევლები, ხმას მუდმივად ნაცმოძრაობას მისცემდნენ.

სწორედ ამიტომ, საქართველოში ბოლო დროს შემცირდა ყველანაირი სასოფლო პროდუქციის წარმოება. კატასტროფულ ნიშნულზე დაეცა მარცვლეულის, ხილის, მეღვინეობის წარმოება მაშინ, როცა მეზობელ აზერბაიჯანში ამ წარმოებამ 40%-ით მოიმატა, სომხეთში კი — 89 პროცენტით. როცა ქდმ სოფლის მეურნეობისთვის მეტი თანხის გამოყოფისა და პროექტების დაფინანსებისთვის ვიბრძოდით, გვეუბნებოდნენ, დემაგოგობთ, სოფელი სახელმწიფოსგან დახმარებას არ საჭიროებს, ბაზარი თვითონ დაარეგულირებს კიტრისა და პომიდვრის ფასსო... არჩევნებამდე კი, ვანო მერაბიშვილმა საუბარი დაიწყო, ყოველწლიურად მილიარდ ლარს ჩავდებთო სოფელშიო.

თუ ეს პოლიტიკა გაგრძელდა, უპირველესად კი, მიწების გასხვისება არ შეჩერდა და დარგის რეალური დახმარება არ განხორციელდა, არაფერი გვეშველება. დღეს რაც ხდება, თუნდაც ვაუჩერების დარიგება, კონკრეტული სოციალური დახმარებაა ადამიანისთვის, სოფლის მეურნეობა კოოპერაციების შექმნის გზით უნდა წავიდეს. ამასთან, სახელმწიფომ რეალური საკრედიტო და საშეღავათო პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს, სხვა შემთხვევაში, ერთჯერადი დახმარების ყოველგვარი აზრი დაკარგულია, ეს იქნება ჰაერში გასროლილი ფული, რომელიც დარგს ფეხზე ვერ დააყენებს. ამაზე ვსაუბრობდით ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტში და დღესაც ვაგრძელებთ, იმედი მაქვს, დღევანდელი ხელისუფლება თავის განსხვავებულობას მხოლოდ დეკლარაციებით არ მოახდენს. კონკრეტული საქმეები უნდა ვნახოთ — უპირველესად, ესაა სოფლის მეურნეობის განვითარება, სწორი პროექტების განხორციელება, კოოპერაციების ჩამოყალიბება, აგროსამრეწველო ბანკის შექმნა, საბიუჯეტო თანხებით რეალური პროექტების განხორციელება და დაფინანსება, რასაც საშეღავათო რეჟიმების ჩამოყალიბება ჰქვია. თუ ეს არ მოხდება, შემოდგომაზევე მივხვდებით, რომ სოფლის მეურნეობაში დიდი ენთუზიაზმით წამოწყებულმა პროცესებმა ფიასკო განიცადა...

ვერსიანიუსი

თეა წულუკიანი დევნილებს ელექტრონული პირადობის მოწმობების აღებისკენ მოუწოდებს

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სრულწლოვან დევნილებს მოუწოდებს, ელექტრონული პირადობის მოწმობები უფასოდ აიღონ. მინისტრის თქმით, საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე სოციალურად დაუცველ სეგმენტს — ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ახალი პირადობის მოწმობები უფასოდ აიღონ და, შესაბამისად, ამისთვის არ გადაიხადონ 34 ლარი.

მინისტრის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიების მიზანი, საარჩევნო სიის დაზუსტებაა. **„ეს ემსახურება ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მიზანს. ჩვენი ვალია, რომ 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე საქართველოს მივცეთ ერთიანი, დაზუსტებული საარჩევნო სია და გავიგოთ, რამდენი რეგისტრირებული დევნილი გვყავს საქართველოში, ეს მიზანი არის საშვილიშვილო“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა, საქართველოს მთავრობის სახელით, მადლობა გადაუხადა იუსტიციის სახლისა და სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებს, რომლებიც დევნილებისთვის მოწმობების გაცემაში მონაწილეობას მიიღებენ.

ამასთან, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის, ნინო ჩიჩუას განმარტებით, საქართველოში 177 000 რეგისტრირებული დევნილია, რომელთაც პირადობის მოწმობა არ აქვთ. მისივე ინფორმაციით, სრულწლოვან დევნილებს ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობების უფასოდ აღება 23 ივნისის ჩათვლით შეეძლებათ. დევნილებს, საქართველოს მასშტაბით, 12 იუსტიციის სახლი 9:00-დან 21:00 საათამდე, ყოველ შაბათ-კვირას მოემსახურება.

„ინტერპრესნიუსი“

ვაკის პარკის სამშენებლო კოშმარი

მერაბ ბერიძე

ოცი წლის წინ, რეკრეაციულ ობიექტებს ველურებივით შეესივნენ და ქვა ქვაზე აღარ დატოვეს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და მალე თბილისში დასასვენებელი პარკი აღარ დაგვრჩება! ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, ნახეთ, დედაქალაქის ერთ-ერთი უსაყვარლესი დასასვენებელი ადგილი — ვაკის პარკი რა მდგომარეობაშია!

დედაქალაქის მერია რამდენი ხანია პარკის „არნახულ განახლებას“ გვპირდება, მაგრამ საქმის დასაწყისს პირი არ უჩანს, სამაგიეროდ, ობიექტის ადრინდელი ინფრასტრუქტურა ბოლომდე გაჩერებული და დანგრეულია, მხოლოდ წითელი ქვიშის გეგმური დაყრა კი საქმეს ვერ შველის, თან იმას, რაც ბოლოს მოაბნიეს, წითელი ქვები უფრო ჰქვია, ვიდრე ქვიშა: სეირნობისას ვირტუოზობა გჭირდება, რომ არ წაიქცე!

მკითხველს პრობლემაზე ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას, დაწვრილებით მოვყვები, რა ხდება ვაკის პარკში. იქნებ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს სავალალო მდგომარეობა გაითვალისწინონ და დარჩენილი რეკრეაციული ზონის გადარჩენასა და მოვლა-პატრონობაზე იფიქრონ, თორემ ვაკის რაიონის მცხოვრებნი დამეთანხმებიან — ჭავჭავაძის პროსპექტზე მალე სუნთქვა შეუძლებელი გახდება!

მაშ ასე, მოსაშვილის პატარა ქუჩიდან შევდივართ პარკში, სადაც რამდენიმე ოფისი და მიჯრით რამდენიმესართულიანი რესტორანი აშენდა. ესეც არ იკმარეს და შენობების უკან, მწვანე ტერიტორიაც ნელ-ნელა „აითვისეს“. ამას ჰქვია, მადა ჭამაში მოდისო. გამოვიდეს ვინმე პასუხისმგებელი პირი და უპასუხოს კითხვას, რა გზით მოხდა ამ მწვანე ზოლის გასხვისება? ნებისმიერი თბილისელი რომ მისულიყო ქალაქის მესვეურებთან და ამ ზოლში მშენებლობის უფლება მოეთხოვა, ალბათ, ანათემას გადასცემდნენ... ისე, ძნელი მისახვედრი არაა, როგორ მოხდებოდა პარკის ტერიტორიის ნელ-ნელა „დათრევა“.

ამასობაში, გადარჩენილ პარკში შევდივართ. გზის მთელი მარჯვენა მხარე, წლების განმავლობაში, შემოლობილი იყო და შიგნით ჩიტი ვერ შეფრინდებოდა. ამ ზღვარგადასულ უკანონობას „გოლფკლუბი სამოთხეში“ ერქვა. ობიექტი ათწლეულის განმავლობაში არ მუშაობდა, მაგრამ ადამიანებს ტერიტორიაზე ფეხს მაინც არ ადგმევინებდნენ. ბოლოს, დამპალი კედელი მოშალეს და ახლა ინტერნეტცენტრი დადგეს. ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ ჰკითხა ვინმემ დედაქალაქელებს, მეტი მწვანე ზოლი ერჩივნათ თუ მორიგი, თუნდაც სიმპათიური შენობა პარკის მწვანე ზოლში?

პარკის გზისპირა მარჯვენა მხარეს მივყვებით, კიბეს გავივლით და ე.წ ატრაქციონებს ვუახლოვდებით. მარცხენა მხარეს, თავის დროზე, რაღაც დიდი მშენებლობა წამოიწყეს და კიდევ კარგი, მოგვიანებით გააჩერეს. ეჭვგარეშეა, რომ კვების ობიექტი უნდა ყოფილიყო. ბეტონის საძირკველი დღემდე დგას და მის მოშორებაზე არავინ ფიქრობს...

ატრაქციონები დანგრეულ-გაუბედურებულია. ერთადერთი საბავშვო ატრაქციონს აქვს ფორმა შენარჩუნებული და იმაზეც მშობლები პატარებს საკუთარი ხელით „აკატავებენ“.

ზემოთ, მიხეილ მესხის სტადიონის მხრიდან, პარკს კავკასიის ფრანგული სკოლა გადმოჰყურებს. აქ ადრე პატარა სტადიონი იყო, სადაც უამრავი ხალხი იკრიბებოდა, სეირნობდა, ფეხბურთს თამაშობდა. ნუთუ, შეუძლებელი იყო, ფრანგული სკოლა დედაქალაქის ნებისმიერ სხვა ადგილზე აშენებულიყო? — წინა ხელისუფლებას ეს საკითხი ყველაზე ნაკლებად ანაღვლებდა, რადგან მისთვის მთავარი უცხოელებთან ურთიერთობა და საკუთარი პოლიტიკური მომავალი იყო.

აი, მიშა მესხის სტადიონის ზედა მწვანე ზოლი კი მთლიანად გაასხვისეს უცხო ქვეყნების საელჩოებზე — ალბათ, ანალოგი არ აქვს ვითარებას, როცა ქვეყანა უცხო წარმომადგენლობებს ერთ-ერთი უმთავრესი დასასვენებელი პარკის ტერიტორიას უთმობს. ამ მშენებლობების წყალობით, ვაკის პარკი სრულ ალყაში მოექცა...

ვაკის პარკის სიღრმეში მშენებლობები გრძელდება და კომპანიები უკვე სასწაულებრივად გადარჩენილ სარბენ ბილიკს ითვისებენ.

წინა ხელისუფლების დროს, ეს ვითარება სპორტის დამსახურებულმა ვეტერანებმა არაერთხელ გააპროტესტეს, თუმცა ამაოდ და მას, ვინც ამ მხრივ ყველაზე მეტად აქტიურობდა, დაჭერით ემუქრებოდნენ.

მძიმე და მსუბუქი მანქანები პარკის ტერიტორიაზე ისე დადიან, თავი შუაგულ ქარხანაში გეგონება. ამასობაში, პარკი ფალიაშვილისა და ბარნოვის ქუჩების მხარესაც აითვისეს. საეჭვოა, ეს პროცესი რესტორნებისა და კლუბების მშენებლობით დასრულდეს, თუ ამისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ დაიწყო. დრო არ ითმენს: ვაკის პარკისგან მოგონება დაგვრჩება. არადა, თავის დროზე, მისი გაშენებისთვის 200 ჰექტარი გამოიყო.

ამ ფონზე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, თბილისის მერის, გიგი უგულავას წინააღმდეგ პროკურატურაში კიდევ ერთი საქმე შედის, რომელიც მერიის მიერ ვაკის პარკის ტერიტორიის გასხვისებას ეხება.

გაბუნია აცხადებს, რომ 2002-2007 წლებისთვის ვაკის პარკის ტერიტორიის საერთო მოცულობა 99%-ს შეადგენდა, 2007 წლიდან კი პარკის ტერიტორიის 30% გასხვისდა და დღეს ვაკის პარკის საკუთრებაში არსებული ტერიტორია მისი თავდაპირველი მოცულობის მხოლოდ 65%-ია. გაბუნიას თქმითვე, ამ პროცესს თბილისის მერი, გიგი უგულავა ხელმძღვანელობდა. აქვე, საკრებულოს დეპუტატი განმარტავს, რომ ტერიტორიის ამ 30%-ის გასხვისება კითხვებს არ აჩენს, თუმცა მეორე ნაწილში ჩანს ბევრი საეჭვო გარიგების ნიშნები, მით უმეტეს, რომ ტერიტორია კომერციულ ობიექტებზეა გასხვისებული:

„მიწის ნაკვეთები იყიდებოდა რეალურ ფასზე უფრო ძვირად, ან მეორე მხრივ, ძალიან იაფად. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც ამ ტერიტორიების მყიდველი მიწას მოგვიანებით თბილისის მერიას აბსოლუტურად უსასყიდლოდ უბრუნებდა. ბუნებრივია, ასეთი ფაქტები იწვევს ძალიან ბევრ შეკითხვას. საერთოდ, რეკრეაციული ზონების გასხვისება, მით უმეტეს, კომერციულ ობიექტებზე, დაუშვებელი და უკანონოა, ამიტომ საჭიროა დადგინდეს ამ პროცესში თბილისის მერიის ხელმძღვანელობის როლი და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბატონი უგულავასი. ზედაპირზე საკმარისი ფაქტები დევს. მაგალითად შემიძლია კლუბ „სენატისა“ და რესტორან „სენატის“ შენობები მოვიყვანო, რომლებიც პირდაპირ შეჭრილია რეკრეაციულ ზონაში. ეს ძალიან საინტერესო შემთხვევაა, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პრეტენზია არ მაქვს „სენატის“ ხელმძღვანელობასთან. აქ ვხედავ უგულავას ფინანსურ ინტერესებს და ამ ინტერესების კვალდაკვალ მოხდა მათ შორის გარიგებაც, მაგრამ რა სახის იყო ეს გარიგება, გამოძიებამ უნდა დაადგინოს“.

ვაკის პარკის მშენებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს დაიწყო და მწვანე ზოლის შესაქმნელად 200 ჰექტარი გამოიყო. ბეტონის ოთხ კედელში გამოკეტვას სიკეთე არავისთვის მოუტანია, ამიტომ ერთად გადავარჩინოთ ვაკის პარკი!

სააკაშვილის ქონება იზრდება

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, რომელიც პრეზიდენტმა 23 მაისს შეავსო, ქვეყნის პირველი პირი, ქვეყნის მასშტაბით, სულ 20494 კვ/მ მიწის ნაკვეთს ფლობს მაშინ, როდესაც 2012 წლის მაისის დასაწყისში პრეზიდენტს 7320 კვ/მ მიწის ნაკვეთი აქვს დეკლარირებული.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილი მიწის ნაკვეთების უმეტესობას ყვარელში ფლობს, 500 კვ/მ-ს კი — დაბა გუდაურში.

პრეზიდენტის სახელზეა ასევე გაფორმებული ყვარელში მდებარე სახლიც. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს დეკლარირებული აქვს, თუ რა დაუჯდა დამატებით მიწის ნაკვეთის შეძენა. ირკვევა, რომ მიხეილ სააკაშვილმა დამატებითი მიწის ნაკვეთების შესაძენად, საერთო ჯამში, 104 ათას 920 ლარი გადაიხადა.

2010 წელს წარდგენილ ქონებრივ დეკლარაციაში, რომელიც 15 მაისით თარიღდება, უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის მფლობელობაში უძრავი ქონება არ ირიცხება. დეკლარაციაში მითითებულია მხოლოდ მის მეუღლეზე, სანდრა რულოვსზე გაფორმებული ბარნოვის ქ. №9-ში მდებარე 154.0 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 164.0 კვ.მ მანსარდა.

დაბა გუდაურში განთავსებული მიწის ნაკვეთი პრეზიდენტის ქონებრივ დეკლარაციაში მხოლოდ 2011 წლიდან ჩნდება, რასაც შემდგომ, 2012 წელს ყვარელში მდებარე მიწის ნაკვეთი და სახლი ემატება.

2012 წლის დეკლარაციისგან განსხვავებით, გაზრდილია ასევე, ქვეყნის პირველი ლედის ქონებაც. ბარნოვის ქ.9-ში მდებარე ბინასა და მანსარდასთან ერთად, სანდრა რულოვსი 2013 წლის დეკლარაციით, უკვე დამატებით ყვარელში 1230.0 კვ/მ მიწის ნაკვეთის მფლობელია.

დეკლარაციის შევსებისას, პრეზიდენტს „საქართველოს ბანკში" გახსნილ მიმდინარე ანგარიშებზე 5000 დოლარი, 19.62 ევრო და 1000 ევრო ედო. საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი „საქართველოს ბანკში“ ერიცხება, ხოლო სახელფასო ანგარიშზე, დეკლარაციის შევსებისას, პრეზიდენტს 5000 ჰქონდა. სანდრა რუსლოვსს ING BANK ტერნეუზენიში 110 000 ევროს ანაბარი აქვს, „თი-ბი-სი ბანკში კი — 30 ათასი აშშ დოლარის.

პრეზიდენტსა და მისი ოჯახის წევრებს ფასიანი ქაღალდები არ გააჩნიათ. ასევე, მიხეილ სააკაშვილსა და მის ოჯახის წევრებზე არ ირიცხება მოძრავი ქონება, რომლის ღირებულებაც 10 ათას ლარს აღემატება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ინფრასტრუქტურის სამინისტრო ტენდერებს ყოველდღიურად აცხადებს

ინფრასტრუქტურული კომპანიების ნაწილი, რომელთა წარმომადგენლებსაც რადიო „კომერსანტი“ ესაუბრა, ბოლო დროს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ტენდერების გააქტიურებაზე საუბრობენ. როგორც კომპანია „გზა-კომუნ-პროექტი და ექსპერტიზაში“ აცხადებენ, უკვე რამდენიმე ტენდერში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს.

მათი თქმით, ტენდერები თითქმის ყოველდღიურად ცხადდება და სამინისტროს მუშაობით კმაყოფილები არიან. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, საუბარი იმაზეც, რომ სამინისტროს წინა ხელმძღვანელობა ამ მხრივ ნაკლებად აქტიური იყო, არასწორია.

კომპანია „გზამშენ-პროექტშიც“ აცხადებენ, რომ ტენდერები როგორც ადრე, ახლაც აქტიურად ცხადდება და მათში მონაწილეობენ კიდეც.

„კომერსანტი“

საქართველოს „მშვიდობიანი მუსულმანიზაციის“ საიდუმლო თურქული გეგმა

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

მუსულმანიზაცია საქართველოში — ამ თვალსაჩინო პროცესზე ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ გამოძიებას თითქმის ორი თვეა აწარმოებს. გამოძიების გარკვეულ დასკვნას „ვერსია“ ექსკლუზიურად გთავაზობთ. როგორ ახორციელებს თურქეთი საქართველოს მშვიდობიან მუსულმანიზაციასა და ეკონომიკურ ექსპანსიას? მრევლის რაოდენობის მიხედვით, აუცილებელია თუ არა ბათუმში ახალი მეჩეთის აშენება, რა ფარული ფორმით და რომელი ორგანიზაციების გამოყენებით დააფინანსებს თურქეთი აჭარაში მეჩეთის მშენებლობას? რა ფაქტებმა უბიძგა გამოძიებისკენ და რა დოკუმენტი ჩაუვარდა ხელში „დრო და სივრცეს“ აჭარაში სტუმრობისას? — ჟურნალისტური სააგენტოს დირექტორი თენგიზ ჩხიკვაძე „ვერსიას“ სკანდალურ ინტერვიუს აძლევს და იმედოვნებს, რომ ჟურნალისტური გამოძიება, ამ ინტერვიუს მსგავსად, არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

— გამოძიების დაწყების საფუძველი რამდენიმე ფაქტი გახდა: პირველი — საქართველოს ზოგ რაიონში მართლმადიდებელი და მუსულმანი ქართველები ერთმანეთს რელიგიურ ნიადაგზე დაუპირისპირდნენ; მეორე — არცთუ დიდი ხნის წინ, საქართველოში სტუმრად მყოფ თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანს მიხეილ სააკაშვილმა მიმართა, კეთილი იყოს მშობლიურ ქალაქში თქვენი ჩამოსვლაო... გვინდა თუ არა, სააკაშვილი ქვეყნის პირველი პირია და მისი გამოსვლა აღიქმება, როგორც სახელმწიფოებრივი პოზიცია; მესამე — თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ქვეყნების ოსმანური იმპერიის ძალისმიერი მეთოდით შემოერთების პოლიტიკას არ გაიმეორებს, რომ 110 წლის წინ ბათუმი ოსმანური იმპერიის ნაწილი იყო... მან ევროპის გაერთიანებაც ახსენა, მაგრამ დაავიწყდა, რომ ევროპული ქვეყნების გაერთიანება რელიგიურ კი არა, ეკონომიკურ საფუძველზე მოხდა. ეს გამოსვლა, შენიღბული ფორმით, სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გალაშქრებაა; მეოთხე ფაქტი — მაქვს დოკუმენტი, რომლის ადრესატებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქართველ მუსულმანთა საზოგადოება არიან. 2012 წლის 8 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელსაც ხელს საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი მაია ცქიტიშვილი აწერს, ვკითხულობთ: „გიგზავნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე მიმდინარე წლის 21 მარტს, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში შემოსულ ქართველ მუსულმანთა საზოგადოების მუფტის, ჰაჯი ჯემალ პაქსაძის წერილს, ქალაქ ბათუმში მეჩეთის ასაგებად მიწის ფართის გამოყოფის თაობაზე. გთხოვთ, განიხილოთ თქვენი კომპეტენციის შესაბამისად“ ანუ შეისწავლეთ ყველა საფუძველი, რათა საკითხი როგორც აჭარის, ასევე ცენტრალური მთავრობის დონეზე გავიდეს, აშენდეს მეჩეთი, შეირჩეს მისი მშენებლობის დაფინანსების წყარო და ტერიტორიაო, რომელიც, როგორც ამბობენ, ძალიან დიდია.

— ეს დოკუმენტი ხელში როგორ ჩაგივარდათ?

— დოკუმენტი ყოფილმა მუფტმა, ბეჟან ბოლქვაძემ, აჭარის მთავრობის ამჟამინდელი თავმჯდომარის მრჩეველმა მომცა და ამით მითხრა, ჩემგან რა გინდა, საქართველოს მთავრობა ჩვენს მხარესაა. ჩემი შეფასებით, ამ დოკუმენტის გადმოცემას ასეთი ქვეტექსტი ჰქონდა — მთავარი ხელისუფლების განწყობა და პოზიციაა და არა ხალხისო. პრინციპში, მართალია ის კაცი — წლების განმავლობაში ბევრჯერ დავრწმუნდით, რომ შედეგი, შეიძლება, ქუჩაში ხალხის მასშტაბურ გამოსვლასაც არ ჰქონდეს.

— მოკლედ, ეს წერილი ამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლება, ნაცვალგების ნაცვლად თუ ისე, თანახმა იყო, ბათუმში მეჩეთი აშენდეს?

— დიახ, არავითარი ნაცვალგება არ იქნება. აშკარა მუსულმანიზაციის წინააღმდეგ ივანიშვილის ხელისუფლებაც არაფერს აკეთებს, სააკაშვილისა და ერდოღანის გამოსვლების შემდეგ, პარლამენტმა რაიმე განცხადება გააკეთა? მიიღო რაიმე ნორმატიული აქტი და ეს პოზიცია ოფიციალურად დაგმო? სამწუხაროდ — არა! წინა ხელისუფლებაც ამას აკეთებდა — 2012 წელს რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით, ნორმატიული აქტი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, რელიგიური უმცირესობები ლამის მართლმადიდებლობას გაუთანაბრეს, რაზეც ივანიშვილის ხელისუფლება ხმას არ იღებს და ამიტომ, დაახლოებით ორი თვის წინ, გამოძიება დავიწყეთ. სხვათა შორის, 2010 წლიდან, საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია შეიქმნა, რომლის დასახელება არა მარტო საგანგაშოა, არამედ პირდაპირ ადასტურებს, რომ მიდის თურქეთის მხრიდან ეკონომიკური ექსპანსია. მაგალითად, შეიქმნა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს თურქ მეთევზეთა ასოციაცია“... საქართველოს არ ჰყავს თურქეთის მოქალაქე მეთევზეები, თანაც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში კუთვნილი სანაოსნო საშუალებებით თევზრეწვას კანონი უკრძალავს. ნოტარიუს ლეილა ჭედიას, რომელმაც ეს ასოციაცია 2010 წლის 22 მარტს, სანოტარო წესით დაამოწმა და კანონთან შესაბამისობა დაადასტურა, ვკითხე, თურქი მეთევზე ვერ მოღვაწეობს საქართველოში და რატომ დაადასტურეთ ეს სახელი-მეთქი, მიპასუხა, ამას რა მნიშვნელობა აქვსო. საინტერესოა, არ იცოდა კანონი თუ განგებ დაარღვია?

— კანონის მიუხედავად, თურქები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლას, მგონი, მაინც ახერხებენ.

— დიახ. ჩვენი ე.წ. თევზრეწვის ლიცენზიანტები, სანაოსნო საშუალებებიანად, იჯარით აჰყავთ და სასაცილო თანხას — ტონაზე 40 ლარს უხდიან, ამ დროს, ერთი კილოგრამია ქაფშია, რომელიც ბათუმის ბაზარში 4-7 ლარი ღირს, თურქეთში 6-12 დოლარად იყიდება. საქართველოს მეთევზეებს კი შეზღუდვა აქვთ. ჩვენი წყლებიდან პროდუქციას, პრაქტიკულად, თურქეთი იღებს და ლიცენზიანტებიც მდიდრდებიან, ასე რომ, ჩვენი ბევრი თანამდებობისა და გავლენიანი პირის პატრიოტიზმი ბლეფია. პარალელურად, არსებობს საქართველოს თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, არადა, არც თურქი ბიზნესმენები გვყავს.

— ბატონო თენგიზ, ისიც ბლეფია, რომ ამბობენ, ბათუმის მოქმედ მეჩეთში მრევლი ვერ ეტევაო. ხომ არ გამოგიკვლევიათ, ბათუმში ახალი მეჩეთის აუცილებლობა რეალურია?

— გამოძიების დაწყებისთანავე, ჩავედით ბათუმში. თავდაპირველად, მივედით პატრიოტთა ალიანსში, რადგან ამ ორგანიზაციამ შეაგროვა ხელმოწერები და წიგნად გამოსცა. ხელმომწერთა უმრავლესობას მეჩეთის აშენებაზე უარყოფითი პოზიცია აქვს. ეს დოკუმენტი პატრიოტთა ალიანსის აჭარის ოფისის ხელმძღვანელმა გიული ჯაყელმა მთავრობას ჩემი თანდასწრებით ჩააბარა, მე კი, ჩვენი სააგენტოს კითხვარი გადავეცი, რომელზე პასუხის არგაცემაც პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ტოლფასი იქნება. რაც შეეხება იმას, თითქოს მოქმედი მეჩეთი მრევლს ვერ იტევს, ეს ტყუილია. თუ მთელი საქართველოდან ჩაიყვან ქართველ მუსულმანებს, მაშინ შეიძლება, არ დაეტიოს. საკუთარი თვალით ვნახე — 2 000 კაცი იქ არ იყო, ასე რომ, მორწმუნეთა რაოდენობის მიხედვით, მეჩეთის აშენება აუცილებელი არაა. აჭარაში ინვესტიციას ბევრი თურქი ბიზნესს აკეთებს... გამოდის, მეჩეთი გარესამყაროდან მოსული ტურისტი მუსულმანებისთვის უნდა ავაშენოთ და საინტერესოა, ასეთი პატივისცემით ჩვენ რატომ არ გვექცევიან, რატომაა თურქეთში მართლმადიდებლური ტაძრები დანგრეული და ფრესკები თვალებდათხრილი? ასე რომ, მეჩეთის აშენების აუცილებლობის არგუმენტად არც აჭარაში თურქ ინვესტორთა სიუხვე გამოდგება.

— არის კიდევ ერთი არგუმენტი — გვინდა, თვალსაჩინო ადგილას უზარმაზარი და ლამაზი მეჩეთი იდგეს, რომელიც პორტში შემოსული გემიდან გამოჩნდებაო...

— რატომ უნდა მოხვდეს მართლმადიდებელი ქვეყნის პორტში შემოსული გემის ეკიპაჟს თვალში მეჩეთი? ბათუმში, ასეთ თვალსაჩინო ადგილას მართლმადიდებლური ეკლესია გვაქვს? მუსულმანთა სამმართველოს ხელმძღვანელმა ჯემალ პაქსაძემ ისიც მითხრა, ქართული სულითა და არქიტექტურით ავაშენოთ ლამაზი მეჩეთიო... არ მესმის, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. განათლებული კაცია, მის მრწამსსა და, ამავდროულად, ქართველობაში ეჭვს არ შევიტან, მაგრამ ქართული არქიტექტურით მეჩეთი როდის აშენებულა? მეჩეთის აშენება იმის გენერაციას გამოიწვევს, რომ აჭარა და, საერთოდ საქართველო, თითქოს მუსულმანური მრწამსის მოსახლეობად უნდა გადაიქცეს. ეს თურქეთის გეგმა და დიდი პოლიტიკის ნაწილია, რომელიც მიზნად საქართველოს მოსახლეობის მუსულმანიზაციას ისახავს! ბათუმის მოქალაქეებსაც ვესაუბრე და გავარკვიე, რომ მუსულმანიზმის უდიდესი პროპაგატორი ქართველ მუსულმანთა კავშირის ხელმძღვანელის მოადგილე (თუმცა, თავს ხელმძღვანელად ასაღებს) ტარიელ ნაკაიძეა — არაბისტი, თეოლოგი და იურისტი. მან განათლება თურქეთში მიიღო და ამბობს, 7 მუსულმანიც რომ დარჩეს აჭარაში, მეჩეთს მაინც ავაშენებთო. გამოდის, მეჩეთის მშენებლობა ამ კაცის თვითმიზანია. ან რა საზოგადოებები ყალიბდება ჩვენ თვალწინ? არ ვიცი, რა მიზნით, მაგრამ აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის მრჩეველმა მომცა გეზი, მათ ესაუბრეო. ველაპარაკე ტარიელ ნაკაიძეს, ჯემალ პაქსაძეს, ახალგაზრდების დახმარების ფონდის ხელმძღვანელს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთან ფანდი დამიდეს — მითხრეს, ფონდის ხელმძღვანელი ადამ ჩანთაძეაო, მაგრამ იგი ამ თანამდებობაზე არ აღმოჩნდა. მასთან ინტერვიუს ჩავწერდი და არაპროფესიონალ ჟურნალისტად შემრაცხავდნენ. ბოლქვაძემ მითხრა, აჭარის მუსულმანთა სამმართველო რეგისტრაციაში საბჭოთა კავშირის დროსაც არ ყოფილაო — მაშინ ეს ორგანიზაცია მინისტრთა საბჭოს რელიგიის საკითხების კომიტეტს ექვემდებარებოდა და ბაქოში ოფიციალურად არსებული კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს შემადგენლობაში შედიოდა. დამოუკიდებლად დარეგისტრირება არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უფიქრიათ და მხოლოდ 2011 წელს შეიქმნა სრულიად საქართველოს მუსულმანთა სამმართველო, რომელიც მხოლოდ აჭარის კი არა, მთელი საქართველოს მუსულმანებს აერთიანებს. მანამდე კი, 2008 წელს, ქართველ მუსულმანთა კავშირი შეიქმნა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით, ყველა ქართველ მუსულმანს აერთიანებს. სინამდვილეში, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელ ნაკაიძესთან საუბრისას გაირკვა, აქ მხოლოდ თურქეთის მუსულმანი ქართველები არიან, თუ საქართველოს მუსულმანებს არ ჩავთვლით.

— ეს ორგანიზაცია ვისგან ან როგორ ფინანსდება?

— სწორედ ამ ორგანიზაციით ხდება ფარული წყაროს ლეგალიზაცია. ვერავინ გადაამოწმებს თურქეთში, ვიღაც მაჰმუდ ბეის, ყოფილ აბაშიძეს, რომელიც ამ ორგანიზაციას მილიონ ან 5 მილიონ დოლარს გადმოურიცხავს, ეს ფული საიდან აქვს და ამ თანხას თურქეთი ჩემს მიერ ხსენებული გეგმის განსახორციელებლად იყენებს თუ არა. ერდოღანმა თქვა, თუ ხალხს არ უნდა, მეჩეთის მშენებლობა დავაფინანსოთ, კი ბატონო, არ დავაფინანსებთო, მაგრამ წყარო დატოვა. ამას კიდევ ერთი ფაქტი დაუმატეთ: მუფტმა პაქსაძემ მითხრა, მორალურად, საჭმლითა თუ ფულით მართლმადიდებელ ქრისტიანებსაც ვეხმარებითო. საინტერესოა, რატომ არ მიდის გაჭირვებული მართლმადიდებელი დახმარების სათხოვნელად მართლმადიდებლურ ტაძარში და რატომ მიდის მუსულმანებთან? — იმიტომ, რომ ვიღაცამ პროპაგანდა გასწია, იქ დაგეხმარებიანო. ამ დახმარების ფარგლებში, დღეს წიგნს წააკითხებენ, ხვალ კი ეტყვიან — თუ გინდა, მუდმივად დაგეხმაროთ, მაშინ მუსულმანი გახდიო. ამას ვერ დაამტკიცებ, მაგრამ შედეგობრივად ასეა. პარალელურად, ახალგაზრდების დახმარების ფონდში ახალგაზრდებს ეუბნებიან, თურქეთის სახელმწიფო წარჩინებულ სტუდენტებს საუკეთესო პირობებს უქმნის, უფასოდ ასწავლის, აცხოვრებსო... აი, ასე მიდის აჭარაში რელიგიური, არაძალადობრივი, მშვიდობიანი ექსპანსია. 1992 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც რუსული გზა გადაკეტეს, საქართველო, პრაქტიკულად, თურქეთის ეკონომიკის დანამატია. სააკაშვილმა თურქებს სასათბურე პირობები შეუქმნა — აჭარასა და მთელ საქართველოში ქმნიან შპს-ებს, ხსნიან კაფე-ბარებს და კაზინოებს, რომლებიც თურქეთში აკრძალულია. ყველაფერი ეს კი, მეძაობის წყაროა. სადაა ამ დროს აჭარის უშიშროება? ან მაშინ სად არიან აჭარის ძალოვანი სტრუქტურები, როცა, როგორც ტარიელ ნაკაიძემ თქვა, ჩამოფრინდება ბათუმში თვითმფრინავი, იქვე, ავტობუსში გადასხდებიან, გადაიტანენ ბარგს, შემოწმებას არ გაივლიან, გადაიყვანენ მათ სარფში, საიდანაც თურქეთში გადადიან და მხოლოდ თურქული მხარე სინჯავს მათ საბუთებს. ეს რას ნიშნავს? — შიდარეისი აქვს თურქეთს ბათუმში? ნელ-ნელა გვამზადებენ, რომ ბათუმი თურქული ქალაქია, ხელისუფლება კი ყველანაირ კომფორტს უქმნის თურქებს და ეს იმის ნიშანია, რომ მიდის არა მარტო მუსულმანიზაცია, არამედ ეკონომიკური ექსპანსია თურქეთის მხრიდან. ამას კი ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლება — თანამდებობებზე ბოროტმოქმედები სხედან და იგივე მეორდება. სად არის ივანიშვილი? თუ არ ჰქონდა საშუალება და გეგმა, ნუ მოვიდოდა ხელისუფლებაში!

— ივანიშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლიდან ჯერ მხოლოდ შვიდი თვე გავიდა...

— მერე რა — ამ პრობლემით, ან ადგილობრივი მუსულმანური ორგანიზაციების საქმიანობით დაინტერესდა?..

— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს, რომ მუსულმანიზაციის გეგმას ხელი შეუშალოს ისე, რომ არც თურქეთთან დაძაბოს ურთიერთობა და არც ქართველი მუსულმანები გააღიზიანოს?

— კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც თუნდაც ზემოხსენებულ ხელმოწერებში უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს, ეწინააღმდეგებიან მეჩეთის მშენებლობას და არა მუსულმანურ რელიგიას. რელიგიური მრწამსი რა შუაშია? მუსულმანიც ღვთისშვილია. არც თურქებს და საქართველოში მათ ჩამოსვლას ეწინააღმდეგება ვინმე, მაგრამ მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სტუმრები არიან და მასპინძლობა უნდა გვაცადონ. ისე არ უნდა დავსვათ საკითხი, რომ მუსულმანიზმის წინააღმდეგ რამე ფორმით ბრძოლა გამოცხადდეს, რელიგიური მრწამსი თითოეული ადამიანის არჩევანია... გამოსავალი კი ასეთია: დავთვალოთ, რამდენი მუსულმანია აჭარაში და ქართველ მუსულმანებს შევთავაზოთ, მეჩეთი თავიანთი შემოწირულობებით ააშენონ. ოღონდ, ყველა შემოწირულობის წარმომავლობა იქნეს გამოკვლეული. მერწმუნეთ, ამას არ დათანხმდებიან და ასეთი ვარიანტების მოფიქრება შესაძლებელია, მთავარია მონდომება და ხელისუფლების ნება, რომ თურქეთის მხრიდან რელიგიური თუ ეკონომიკური ექსპანსია და ქართველების მუსულმანიზაცია არ დაუშვას.

„ვერსია“ ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოს — „დრო და სივრცე“ ჟურნალისტური გამოძიების დასკვნას უცვლელად გთავაზობთ:

მეჩეთების მშენებლობა, ანუ მცდელობა აჭარის თურქეთში დაბრუნებისა და საქართველოში მუსულმანური ფეთქებადი კერების ხელოვნურად დაარსებისა

ჩვენმა სააგენტომ თავისი მორიგი ჟურნალისტური გამოძიება დაუკავშირა არა მარტო ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის აუცილებლობას და აჭარის მხარეში 2004-2013 წწ. ვითომდა არსებული მოსახლეობის მუსულმანური რწმენის მიმდევრებში ამ რელიგიური მრწამსის გაღრმავებას და სინამდვილეში, იმავე მოსახლეობის მუსულმანთა ოდენობის არარსებულ მნიშვნელოვან ზრდას, არამედ რეალურად თუ განვიხილავთ ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ თურქეთის მხრიდან ინტენსიურ, ზრდად ეკონომიკურ ექსპანსიას, ამ სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ მიზნად დასახულ დაუმალავ მცდელობას, კერძოდ, შეიერთოს აჭარა თურქეთის რესპუბლიკაში და მთლიანად საქართველოში დაამკვიდროს ფეთქებადი გამუსულმანების პროცესი.

აღნიშნულს აშკარად მხარს უჭერდა მ. სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც თავისი ძალებით, გარკვეულწილად, დღესაც მოქმედებს და, ჯერჯერობით, ცდილობს, გააგრძელოს მხარდაჭერა.

რაც შეეხება ქვეყნის ამჟამინდელ- ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას, მასმედიის მიერ ბოლო დროს გავრცელებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ ის საკითხთან დაკავშირებით იჩენს, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ, დაუშვებელ პასიურობას და ე.წ. ლოიალობას, რაც ფაქტობრივად, აღიქმება, როგორც სახელისუფლებო თანხმობის გაცემა ზემოხსენებული პროცესის შენიღბული ფორმით გაგრძელებაზე და გაღრმავებაზე და არა რელიგიურ კონცეფციებს შორის ე.წ თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დამყარებას. ეს კიდევ იმიტომ, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია თავისი ორი ათასწლოვანი არსებობის განმავლობაში, ქართველებში ჩასახული რწმენით იცავდა საქართველოს მეზობელ მუსულმანურ სახელმწიფოების მხრიდან მიზნად დასახულ ქართველ ერს განადგურებისგან, რაც საკმარის და აუცილებელ დასტურს იძლევა იმაზე, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სამართლიანად ღირსია იმისა, რომ საქართველოში საქვეყნოდ იყოს აღიარებული, როგორც ქართველი ერის რწმენა-რელიგია. ეს, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობის გარკვეული და არა უმრავლესი ნაწილი დღესდღეობით მუსულმანური მრწამსისაა, რომლებსაც აუცილებლივ უნდა ახსოვდეს, რომ მათი წინაპრები იძულებითი წესით გახდნენ მუსულმანები და ამავე დროს, მათ შეძლეს, შეენარჩუნებინათ საუკუნეების განვლით ქართული გენი, ქართველობა, ქართული ადათ-წესი, რაც ღვთის წინაშე იძლევა დასტურს იმაზე, რომ ისინი ღირსეულად ატარებენ ქართველობას. სწორედ აჭარაა საქართველოში პირველი კუთხე, სადაც დამკვიდრდა ქრისტიანობა და შემდგომ არაბების, თურქების-ოსმანებისა და სპარსეთის ძალისმიერი ზეწოლის შედეგად იძულებული, გახდა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, მუსულმანობა მიეღო. აქედან გამომდინარე, არანაირად არ არის დამაჯერებელი, რომ აჭარის მოსახლეობა უნდა დაიყოს ქრისტიანებად და მუსულმანებად იმიტომ, რომ აჭარა ერთიანი ნაწილია საქართველოსი და ნურავინ შეეცდება მის ხელახალ ინტენსიურ გამუსულმანებას.

იმავე ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, 1992-2003 წლებში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ე. შევარდნაძის ხელისუფლებას. სწორედ მისი წინასწარი დაგეგმვის ღვაწლია, რომ სამამულო ეკონომიკის ინტენსიური ნგრევის შედეგად, საქართველოში ჩაეყარა ფუნდამენტური საფუძვლები თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის და იმავე ეკონომიკის თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან საქართველოში ეკონომიკური ექსპანსიის გამყარებისთვის, რაც, კერძოდ, მიზნად ისახავდა აჭარის გათურქებასა და საქართველოს ეკონომიკის „მიბმას“ თურქეთის ეკონომიკასთან, რაც არანაირ პერსპექტივას არ უტოვებდა სამამულო ეკონომიკის განვითარებასა და სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

აჭარაში, დღესდღეობით შექმნილი მდგომარეობის განვითარება მოიტანს იმას, რომ არც ისე შორეულ მომავალში ადგილი ექნება იმავეს, რაც მოიმკა საქართველოს სახელმწიფომ რუსეთთან არასწორი დამოკიდებულების შედეგად, მივიღეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური მხარის სანაცვლოდ, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელთა აღიარება მსოფლიოს გარკვეული სახელწიფოების მხრიდან ამჟამად წარმოადგენს უდავო ფაქტს.

არა მარტო მისასალმებელია, არამედ გმირობის ტოლფასია ის, რომ საქართველოსთვის საწინააღმდეგო და ამავე დროს, საზარალო ზემოთ აღნიშნული, მოვლენების — მოსახლეობის ფსევდოგამუსულმანების წინააღმდეგ, თავის ძალებით სამართლებრივად სწორედ გაილაშქრა არც ისე დიდი ხნის უკან შექმნილმა საქართველოს პოლიტიკურმა ორგანიზაცია პატრიოტთა ალიანსმა — მან აჭარაში ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგების საფუძვლად, რაც უდავოა და სამართლებრივად, ყოველმხრივ დამაჯერებელია, დგინდება და დასტურდება ის, რომ ქ. ბათუმში აჭარის ქართველ მუსულმანთა უმრავლესობის მხრიდან არანაირი მოთხოვნა, სინამდვილეში, არ არსებობს ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. პატრიოტთა ალიანსის ამ გამოკითხვის საფუძველზე შედგა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მათ გადასცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას და როგორც ჩვენთვის ცნობილია, იმავეს ადგილი ექნება საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების მისამართით. აღნიშნული დოკუმენტი, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არა მარტო გასათვალისწინებელია, არამედ გაფრთხილებაა — საქართველო არ არის ექსპერიმენტების პოლიგონი. საკამათო არ არის, რომ პატრიოტთა ალიანსის მიერ ჩატარებული გამოკითხვა და მის საფუძველზე შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფოსთვის წარმოადგენს უდავო ისტორიულ მოვლენას, რომლის მთავარი მიზანია, საქართველოს სახელმწიფოს — ერის ინტერესების დაცვა, რაც სამაგალითო უნდა იყოს კერძოდ და განსაკუთრებით, ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის, რომელსაც თავად უნდა გაეკეთებინა ეს, რაც მას, სამწუხაროდ, არ გაუკეთებია. საკითხთან დაკავშირებით, აირჩია პასიურობა და ე.წ. ლოიალობა, რაც, თუ განვიხილავთ ბოლო ათეულ წლებში მსოფლიოში განვითარებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს, ძალზედ საშიშ ხასიათს ატარებს და სწორედ ამიტომ, ამჟამინდელი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, საკითხთან დაკავშირებით, გამოვლენილი პასიურობა და ე.წ. ლოიალობა, პირდაპირ უნდა ითქვას, ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოს და აშკარად წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას თურქეთის სახელმწიფოს და არა თურქი და მით უმეტეს, ქართველი მუსულმანების რელიგიური მრწამსი.

სწორედ ამიტომ ვაცხადებთ, რომ დღესდღეობით, დაწყებული ე. შევარდნაძის და გაგრძელებული მ. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დასაწყისში ფარულ და ამჟამად დაუმალავ მცდელობას, შეაჯახონ ერთმანეთს ქართველი ქრისტიანები და მუსულმანები, ყოველმხრივ დაუშვებელია და ამიტომ საჭიროა, საქართველოს სახელმწიფოს შიდა და გარეუშიროების დაცვის მიზნით, საქართველოს პროკურატურის მხრიდან დაიწყოს გამოძიება დაკავშირებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ განვითარებად პროცესთან, რის შედეგად, დაუყოვნებლივ უნდა გამოვლინდნენ ის პირნი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთა ღვაწლია ამ პროცესების განვითარება. არანაირად არ უნდა დავუშვათ, რომ ქართველი ქრისტიანები და მუსულმანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, სწორედ ამას ემსახურება ჩვენი სააგენტოს მიერ დაწყებული ჟურნალისტური გამოძიება.



თაფლის კომპანიებს რუსეთის ბაზარზე დაბრუნება არ დაუგეგმავთ

აგრარული კომპანიების ნაწილი რუსეთის ბაზარზე გასვლას შემოდგომით ფიქრობს. სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ღვინისა და მინერალური წყლის დაბრუნების შემდეგ, რუსეთის ბაზარი თაფლისა და ხილ-ბოსტნეულისთვისაც ღია იქნება.

თაფლის მწარმოებელი კომპანია „ფეფეს“ ხელმძღვანელი ამბობს, რომ რუსეთის ბაზარი მნიშვნელოვანია, მაგრამ გიორგი ტატიშვილის განცხადებით, თაფლის კომპანიები მოსავლის აღებას მაისის ბოლოდან იწყებენ, მარაგები კი შემორჩენილი არ არის. ტატიშვილის თქმითვე, თუ მოსავლის აღების შემდეგ პროდუქცია ქართული ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და საექსპორტოდაც დარჩება, რუსეთის ბაზარზეც იფიქრებენ.

კომპანია „მეთაფლიას“ დამფუძნებელიც აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე, ახალი მოსავლის აღების პერიოდია, ამიტომ რუსეთის ბაზარზე გასვლა ჯერ არ დაუგეგმავთ. კახა ზირაქიშვილის თქმით, რუსეთის ბაზარზე შესვლა მომგებიანია, რადგან იქ ქართული თაფლი კარგ ფასად იყიდება. პროდუქციის რუსეთში გატანის სურვილი აქვს კომპანია „ქესკიასაც“, მაგრამ ინფორმაციას, თუ როგორ შეიძლება ბაზარზე შევიდნენ, არ ფლობენ.

„კომერსანტი“

პირველ კვარტალში ეკონომიკა 1,7%-ით გაიზარდა

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა, 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ცენტრის ინფორმაციით, 2013 წლის განმავლობაში, ეკონომიკის 6%-იანი ზრდა იყო დაგეგმილი, თუმცა პირველ კვარტალში, მხოლოდ 1,7%-ით გაიზარდა. შესაბამისად, გაჩნდა მოლოდინი, რომ 2013 წლის ბიუჯეტის შესრულებას პრობლემები შეექმნებოდა, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა საჭიროდ ჩათვალა, 2013 წლის პირველ კვარტალში გამოკვეთილი ტენდენციები გაეანალიზებინა. ანალიზის შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიკვეთა:

„2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების მაჩვენებელი 6,9 მილიარდი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულმა სახსრებმა კი 1,5 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაგეგმილი მაჩვენებლის 22%-ია. გასული წლების სტატისტიკურ მაჩვენებლებთან შედარებით (2010 წელს — 23%; 2011 წელს — 26%; 2012 წელს — 24%), ეს მაჩვენებელი დაბალია, მაგრამ არა საგანგაშო“, — განმარტავენ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2013 წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან (დღგ) იმდენი შევიდა, რაც 2012 წლის იმავე პერიოდში (2012 წელს — 700 400 000 ლარი; 2013 წელს — 690 200 000 ლარი). არადა, წლიური გეგმის მიხედვით, დღგ-დან 2013 წლის 3 თვეში, წინა წელთან შედარებით, 11%-ით მეტი შემოსავალი უნდა შესულიყო, ანუ ბიუჯეტს 80 000 000 ლარი დააკლდა ამ მუხლიდან. სავარაუდოდ, დღგ-ს ეს ტვირთი, მომდევნო კვარტლებზე გადანაწილდა.

„სააგენტო BPI“

ქუთაისში პირველი ქართველი კინოდოკუმენტალისტის ძეგლი გაიხსნა

ქუთაისში პირველი ქართველი კინოდოკუმენტალისტის, კინორეჟისორ ვასილ ამაშუკელის ძეგლი გაიხსნა. ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფიგურას კინოაპარატით, თავისი კონცეფციით, პრაქტიკულად, ასი წლის წინ გათამაშებულ სცენებს იმეორებს. მოგვიანებით კი, ძეგლის შემადგენელ გადამღები აპარატის მოდელში ჩამონტაჟდება სპეციალური მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც კინოაპარატში ჩახედვისას ყველა მსურველს მიეცემა პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ეპიზოდების ნახვის საშუალება.

პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის — „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ გადაღებები სწორედ ქუთაისიდან დაიწყო. ქუთაისში ძეგლის გახსნას ვასილ ამაშუკელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, პროფესორი, კინომცოდნე გოგი დოლიძე დაესწრო.

„ქუთაისი არის ქალაქი, სადაც ქართული კინოს ისტორია იწყება, თუმცა აქამდე ამ კუთხით ეს ქალაქი არასოდეს წარმოჩენილა, არადა სწორედ ქუთაისელმა კაცმა ვასილ ამაშუკელმა გადაიღო 1912 წელს პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, — განაცხადა პროფესორმა გოგი დოლიძემ.

ვასილ ამაშუკელის ძეგლის ავტორი ქუთაისელი მოქანდაკე, ქუთაისის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გიორგი კიკვაძეა, რომელსაც ეკუთვნის ქუთაისის სხვადასხვა უბანში განლაგებული იპოლიტე ხვიჩიას, ექვთიმე თაყაიშვილის, გიმნაზისტი გოგონასა და ილო ფოტოგრაფის ძეგლები.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისში თოჯინებისა და საბავშვო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის ინიციატივითა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, პირველ ივნისს თოჯინებისა და საბავშვო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას, საქართველოს თოჯინების თეატრების დასებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ სტამბოლის ცნობილი დასი — „ხის ჩარჩოს თეატრი“ სპექტაკლით — „შავი კაბარე“ და ერევნის სახელმწიფო თოჯინების თეატრი სპექტაკლით „აკ-აკ“.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ტელემაყურებლებმა ცნობილი მსახიობი სცემეს

The New York Daily News-ის ცნობით, კოლუმბიაში ცნობილი მსახიობი მაურისიო ბასტიდასი ტელემაყურებლებმა ქუჩაში სცემეს, რადგან მასში ერთ-ერთი ტელესერიალის ბოროტმოქმედი შეიცნეს. მხეცური ანგარიშსწორება კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მოხდა. მსახიობი მეგობართან ერთად მიდიოდა ქუჩაში, როდესაც ოთხმა უცნობმა გამვლელმა შეაჩერა ისინი; მაურისიო ბასტიდასს თავს დაესხნენ შემდეგი სიტყვებით: **„კარგად ვიცით ტელევიზორიდან შენი საძაგლობები, მიიღე, რაც დაიმსახურე!“** მასთან ერთად გალახეს თანმხლები დიჯეი დიეგო ბოლივარ მელოც და მიიმალნენ.

მექსიკაში, მაგალითად, რიგი ფილმების ტიტრებზე სპეციალურადაა მაყურებლისათვის მითითებული, რომ როლების შემსრულებლები მოქმედებენ გამოგონილი სცენარის მიხედვით, რითაც იცავენ მსახიობებს აგრესიული და მგრძნობიარე მაყურებლისგან. რადგან ასეთი გადმოცემა არსებობს, თითქოს სპექტაკლ „ოტელოს“ ცქერისას მაყურებელმა იაგოს როლის შემსრულებელი მოკლა. მაყურებელი სიკვდილით დაუსჯიათ და მსახიობთან ერთად დაუკრძალავთ. როგორც ვხედავთ, მსგავსი რამ თურმე „საპნის ოპერის“ გმირსაც შეიძლება გადახდეს.

„ნიუს.გე“

თბილისის თოჯინების მუზეუმით ესპანელი და ირანელი მეთოჯინეები დაინტერესდნენ

ელირსება თუ არა თოჯინების მუზეუმს საკუთარი შენობა და როდიდან შეძლებს დამთვალიერებელი უნიკალური ექსპონატების ხელახლა ნახვას

ნათია ვასაძე
555-98-61-65

თბილისის თოჯინების მუზეუმმა დაარსებიდან რამდენიმე შენობა გამოიცვალა. ბოლოს, შავთელის ქუჩაზე, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეაში იყო განთავსებული, თუმცა 2012 წელს, აღნიშნული შენობის დანგრევა და მის ადგილას 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს აშენება გადაწყდა. შესაბამისად, თოჯინების მუზეუმსაც „გადაბარგება“, აღმაშენებლის გამზირზე, ახალგარემონტებული შენობის მიღების პირობით, კიდევ ერთხელ მოუწია, თუმცა მეათე თვეა, მუზეუმი დაპირებულ შენობას ამაოდ ელის. „ვერსია“ თოჯინების მუზეუმის დირექტორს ნანა ოქრუაშვილს ესაუბრა.

— მუზეუმის დაარსებისა და მისთვის ფართის გამოყოფის შესახებ ბრძანება 1936 წელს გამოსცეს, თუმცა მუზეუმმა ფუნქციონირება, რეალურად, 1937 წლიდან, ათარბეგოვის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის შენობაში დაიწყო. მოგვიანებით, საბავშვო ბაღი დაანგრიეს და მუზეუმი, ახალი შენობის აშენების პირობით, მაშინდელ პიონერთა სასახლეში განათავსეს, თუმცა პირობა არ შესრულდა... 1985 წელს მუზეუმი შავთელის ქუჩაზე, ბავშვთა სურათების გალერეაში გადაიტანეს.

— თოჯინების მუზეუმს პრობლემები არც ამის შემდეგ მოკლებია...

— სწორედ აქედან დაიწყო მუზეუმისთვის ყველაზე მძიმე პერიოდი: 1996 წელს მუზეუმი გაძარცვეს და უნიკალური თოჯინები დაიკარგა. შემდეგ, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ბრძანებით, თანამშრომლებს დარბაზი ნაჩქარევად დააცლევინეს და მუზეუმი სარდაფში, ორ პატარა, ბნელ და ნესტიან ოთახში განათავსეს. მუზეუმის იმჟამინდელი დირექტორი, ბატონი ვასილ ბაგრატიონი ამ ქვეყნიდან ასეთი დარდითა და „მდგმურის“ უხერხული სტატუსით წავიდა.

— ქალბატონო ნანა, დირექტორად რომ დაინიშნეთ, მუზეუმში რა მდგომარეობა დაგხვდათ?

— მუზეუმს 2007 წლიდან ვხელმძღვანელობ. შენობაში, უფრო სწორად, სარდაფში, სადაც ექსპონატები იყო დასაწყობებული, ფეხი პირველად რომ შევდგი, თავი კაფკას პერსონაჟი მეგონა — დამხვდა ბნელი და ნესტიანი ორი პატარა ოთახი, დაბზარული კედლები, კუთხეში, ონკანიდან წყალი მოწანწკარებდა... ოთახები სავსე იყო ულამაზესი ძველებური ავეჯით, რომელზეც ქაოტურად განელაგებინათ გაზეთებგადაფარებული თოჯინები, ჩემი ბავშვობის ყველაზე საოცნებო და სათაყვანებელი პერსონაჟები გაოცებულები შემომცქეროდნენ... უსიამოვნო განცდა დამეუფლა და მეგონა, რეალობაში ველარასოდეს დავბრუნდებოდი.

— სარდაფიდან გამოსვლის საშუალება როდის მოგეცათ?

— 2007 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თოჯინების მუზეუმი თბილისის მერიას დაქვემდებარებოდა. სწორედ ამან მოგვცა სარდაფიდან გამოსვლისა და განვითარების საშუალება — შენობა გარემონტდა, ექსპონატები სარდაფიდან გამოვიტანეთ...

სხვათა შორის, თბილისის თოჯინების მუზეუმი მთელ კავკასიაში ერთადერთია. ჩვენთან დაცული კოლექციის ხარისხიც განსაკუთრებულია — ექსპონატების უმეტესი ნაწილი მხატვრული, საავტორო თოჯინებია, რასაც კოლექციონერები one of a kind-ს უწოდებენ. ამასთან, ჩვენი მუზეუმი ქართული მექანიკური თოჯინის ფუძემდებელია... მუზეუმში დაცულია ექსპონატები დედამიწის ყველა კონტინენტიდან და ამ უნიკალური ნიმუშების ერთობლიობა საქართველოს ბოლო, სამსაუკუნოვანი ისტორიის სურათს ქმნის. ასე რომ, მუზეუმის მნიშვნელობა ფასდაუდებელია მოზარდი თაობის ესთეტიკური ფასეულობების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

— შარშან ახვლედიანის ბავშვთა გალერეის დაცლა აღმაშენებლის ქუჩაზე, ახალ შენობაში გადასვლის პირობით მოგიხდათ, თუმცა მუზეუმი დაპირებულ შენობაში ჯერ არ ფუნქციონირებს...

— თოჯინების მუზეუმი ძველი შენობის დაცლისთანავე გადავიდა აღმაშენებლის გამზირზე. ფუნქციონირება კი, ახალ შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ვერ დავიწყეთ.

— სარემონტო სამუშაოებს ვინ ასრულებს?

— ძველი თბილისის განვითარების ფონდი.

— რა მდგომარეობაშია ექსპონატები — მათი დაკარგვის ან დაზიანების საშიშროება ხომ არ არსებობს?

— ექსპონატების შეფუთვაზე, ტრანსპორტირებასა და დაცვაზე თბილისის მერიამ იზრუნა. ძველი თბილისის განვითარების ფონდიც ძალიან დაგვეხმარა — უკლებლივ, ყველა ექსპონატი დასაწყობებულია და სრული დაცვის ქვეშაა. ახალი შენობა დაცვისა და გათბობა-ვენტილირების თანამედროვე სისტემებითაა აღჭურვილი, რაც საშუალებას მოგვცემს, სტანდარტით გათვალისწინებული კლიმატი შევინარჩუნოთ.

— ძველი შენობა, საგამოფენო სივრცის სიმცირის გამო, ექსპონატების დიდი ნაწილის გამოფენის საშუალებას არ იძლეოდა. ახალ შენობაში საგამოფენო დარბაზის კეთილმოსაწყობად საკმარისი ფართია?

— ახალი საგამოფენო დარბაზის ფართი ძველს ბევრად არ აღემატება, მაგრამ გაცილებით ნათელი და მოხერხებულია. ძველი დარბაზი გრძელი და ვიწრო იყო, რის გამოც, მხოლოდ მცირე რაოდენობის დამთვალიერებელს ვიღებდით — გვეშინოდა, ვინმე ექსპონატს არ დაჯახებოდა. ახალი სივრცე ექსპოზიციის თემატურად გაშლისა და, რა თქმა უნდა, იმ ექსპონატების გამოფენის საშუალებას იძლევა, რომლებიც წლების განმავლობაში, საცავებში ინახებოდა.

— მუზეუმის შენობაში არაერთი საბავშვო სტუდია იყო განთავსებული. ამ სტუდიებმა ბინა სად დაიდო?

— სახელოვნებო სტუდიის მუშაობა რამდენიმე თვეა, შეჩერებულია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ჩვენი აღსაზრდელები საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გამხდარიყვნენ...

— ამ პირობებში, უცხოურ მუზეუმებთან მაინც თანამშრომლობთ?

— ბოლო წლებში ამ მხრივ, გარკვეული წინსვლა გვაქვს: 2012 წლის 26 მაისს (თარიღს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ მაშინ განსაკუთრებით ამაყი ვიყავი), თბილისის თოჯინების მუზეუმი ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპის თოჯინური ხელოვნების ცენტრ NEEC PA-ის (*Northern and Eastern European Centre for Puppet Arts*) პარტნიორი გახდა. იმავე დღეს გაფორმდა მემორანდუმი თბილისის თოჯინების მუზეუმსა და ესტონეთის სახელმწიფო თოჯინების მუზეუმს შორის. საზღვარგარეთ გვიცნობენ თოჯინური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალებზე ტალინში, ლუბლიანასა თუ სტამბოლში სტუმრის სტატუსით გვიწვევენ, რაც მუზეუმის პოპულარიზაციისა და ახალი კავშირების დამყარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლახან დავბრუნდი სტამბოლის საერთაშორისო ფესტივალიდან, სადაც ჩვენი მუზეუმით თოჯინური ხელოვნების ესპანელი და ირანელი მკვლევარები დაინტერესდნენ.

— დამთვალიერებელს მონატრებული ექსპონატების ნახვის საშუალება როდის მიეცემა?

— ძალიან მალე, მანამდე კი, 5-7 ივნისს თბილისის თოჯინების მუზეუმი ჩეხური თოჯინის კლუბს უმასპინძლებს — გაიმართება თოჯინების გამოფენა, ჩეხი მეთოჯინეები ჩაატარებენ მასტერკლასებს... აღნიშნული ღონისძიება ჩეხეთის საელჩოს ინიციატივა-მხარდაჭერით ტარდება და ჩეხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის საერთაშორისო ურთიერთობების 20 წლისთავს ეძღვნება. აქვე, მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორს, გიორგი უშიკიშვილსა და ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ნატო ნიჟარაძეს, რომლებმაც ამ ღონისძიებისთვის საგამოფენო ფართი დაგვითმეს.

ქვათა მატიანე

სამოთხე ზედა ვარძიასთან

დასავლეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი



სადაყუდაბელო: წყლის გვირაბი; სამ სართულიანი ეკლესია კლდეში და კომპლექსის ჩრდილოეთი მონაკვეთი

ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს ემახსოვრება, რომ წინა წერილი ვერტაშის კლდეში ნაკვეთ ნათლისმცემლის საყდარზე თხრობით დავასრულეთ. მის მოპირდაპირედ, მტკვრის მარცხენა მხარეს, მაღალ კლდეებში **ქორისხევის** პარეხთა კომპლექსია, ხოლო ჩრდილოეთით, ვარძიის მიმართულებით, — **ზედა ვარძია**, რომელიც ერთ მცირე ხეობაშია.

მომხვდურებთან ბრძოლას აქაური ქრისტიანი მოსახლეობა ისე გაულევია, რომ უკვე XVI საუკუნეში სოფელ ზედა ვარძიაში ორი კომლიღა შემორჩენილა, დღეს კი მხოლოდ ერთი მოსახლეა. იგი ჯავახეთის ცნობილი მინდიას ბაგრატ დევნოსაძის და მისი ძმის, შალვას დატოვებულ კერიაზე ცხოვრობს. ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ბაგრატ დევნოსაძე — ეს დარბაისელი და თხემით ტერფამდე ქართველი მამულიშვილი, რომელიც გაუკაცრიელებულ სოფელში დასახლდა და ღრმა სიბერემდე მუხლჩაუხრელად შრომობდა მესხური ხეხილისა და ვაზის ჯიშების გადასარჩენად. ამ ხმელ-ხმელი, თეთრულვაშიანი კაცის სახე მხატვრულმა ფილმმა „რაიკომის მდივანმა“ (იგივე „მშობლიურო ჩემო მიწა“) და ჩემი კოლეგის გია პაპუაშვილის გადაცემამ შემოგვინახა. სწორედ დევნოსაძეთა კარმიდამოშია კლდის ერთი მინიატურული სამლოცველოს ნაშთი, ოდნავ ზევით კი ზედა ვარძიის მშვენიერი ეკლესიაა, რომელიც დედათა მონასტერს ეკუთვნის. აქაურობა ედემის ბაღს ჰგავს.

ზედა ვარძიის ტაძარი XI საუკუნის კარგად აღდგენილი ძეგლია. სუბსტრუქციაზე მდგარი „ღვთისმშობელი“ ტიპიური ჯავახური სტილის, ორქანობა, ერთიან სახურავქვეშ მოქცეული ორნავიანი საყდარია, რომელსაც სამთაღედით გახსნილი სამხრეთის დერეფანიც აქვს. შიდა, ვიწრო და მაღალი, სივრცე ძლიერი სვეტებით ორ ნავად არის დაყოფილი, პილასტრების კაპიტელებზე მცენარეთა სამკაულებია. ნავების გამყოფ სვეტებზე ორი ფრესკაა შემონახული. ერთზე გიორგი III-ის მსახურთუხუცესი აფრიდონია გამოსახული, რომელმაც ეს ტაძარი სამეფო მონასტრად აქცია და მოახატვინა. დერეფნის სამთაღედის კაპიტელები ჯავახური ჩუქურთმებითაა შემკული. თავად ეკლესიაში შესასვლელი კარის არქიტრავზე ე. წ. იშხნური განედლებული ჯვარია გამოსახული. ჯვრის აქეთ-იქით ტაძრის ქტიტორის, XI საუკუნეში მოღვაწე ლიპარიტ IV ბაღვაშის ნაკვეთი წარწერაა: **„დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავთ-ერისთავსა ლიპარიტს და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულისმოდგინებით აღგიშენე წმიდაი ესე ეკლესიაი“**. ამ წარწერიდან მარცხნივ დღემდე შეინიშნება საღებავით შესრულებული სხვა წარწერის ლაქები, რომელიც 1940 წელს, თურმე ჯერ კიდევ იკითხებოდა: **„სახელითა ღმრთისაითა და შეწევნითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა და ბრძანებითა უძლეველისა მეფისათა ბაგრატის, გალატოზობითა მე — კვირიკე ვახტანგის ძემან ბჭისაი მარიამთელთა მთისა ჰავსა ნახევრისგან ამოუგდე პური მარიამობისაი ციხისა ძირელთა მოალაგეთა უკუნისამდე შვილის შვილთა მათთა, ვიდრემდის დგას ეკლესიაი ესე. მ ... ვ და კოდილი“.**

ზედა ვარძია: კომპლექსი დევნოსაძეების კარმიდამოში და ორნავიანი ეკლესია

წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესიისთვის კარიბჭე დასავლეთიდანაც მიუდგამთ (ამჟამად იგი გაუქმებულია) და გამოქვაბულიც გამოუკვეთავთ. თმოგვის ციხის ძირში მცხოვრები, ამის გამკეთებელი ხუროები და მათი შთამომავლები მეფის გალატოზს სამუდამოდ გაუთავისუფლებია მარიამობის გადასახადისგან.

ეს ორი წარწერა — შემორჩენილიც და გამქრალიც — იმითაც არის საინტერესო, რომ ერთმანეთის დაუნდობელ მტრებს ლიპარიტ IV ბაღვაშსა და მეფე ბაგრატ IV-ს გვახსენებს. 1060 წლამდე სამხრეთ საქართველოს იმდენად ერთპიროვნულად მართავდა კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი, რომ ბაგრატ IV-ს თავზარს სცემდა. მხოლოდ 1060 წელს გატეხა ბაგრატმა ლიპარიტი, რომელიც ათონის ივერთა მონასტერში ბერად აღიკვეცა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტაძარი 1030-1059 წლებშია აგებული, დასავლეთის კარიბჭე კი 1060 წლის შემდეგ.

ეკლესიიდან გამოსული მე და ოპერატორი სოზარ გულბანი მონასტრის ბაღს რომ გავუსწორდით, იქ მომუშავე დედებს ერთ-ერთი გამოეყო, თავიანთი მოწეული დიდი სტაფილოები გამოგვიწოდა — იგემეთო და თან თხოვნა მოაყოლა — ვიდეოზე ჩვენი სახეები არ აღბეჭდოთო.

— დედაო, რად უმალავთ სახეს საზოგადოებას, — ვეკითხები მონაზონს, — ტიპიკონი გიკრძალავთ ამას თუ ოჯახის წევრებს არ გსურთ გააგებინოთ თქვენი ადგილსამყოფელი?

მონაზონი არაფერს მიპასუხებს, მაგრამ თვალებით მაგრძნობინებს, — შენ ჩემი მოწეული სტაფილო გასინჯე, სხვა რამ რად გაინტერესებსო. შემრცხვა, მაგრამ შეკითხვის მიზეზიც მქონდა. ორი-სამი წლით ადრე, ერთი ჩემი უბნელი ქალი ოჯახურმა ცხოვრებამ აიძულა, რომ „თავსაფრიანი დედაკაცივით“ უკვალოდ გაუჩინარებულიყო. ვერც ცოცხლებში მოიძიეს იგი და ვერც გარდაცვლილებში, მე კი მგონია, რომ რომელიღაც მონასტერში აღიკვეცა ამ ჩვენი მასპინძლის მსგავსად.

ნეტამც...

ვფიქრობ, მკითხველი ამ ლირიული გადახვევისთვის არ დამძრახავს — ადამიანებიც ხომ ძეგლები არიან, ცოცხალი ძეგლები...

ზედა ვარძიის სამხრეთ საზღვართან, ბაღების ბოლოში, იქ, სადაც წყარო გადმოჩქეფს, აღმოსავლეთის მიმართულებით საცალფეხო ბილიკი შედის და ნელ-ნელა ზევით იწევს. ეს მეზობელ მცირე ხეობაში გადასასვლელია. ბილიკზე დაწალიკებულებს წინ მუხრან თაქთაქიძე მიგვიძღვის.

— ამ ხეობაში იშვიათად თუ შემოვა ხოლმე ვარძიის სტუმარი, — ამბობს იგი, — არადა, მალე ნახავთ, რა ზღაპრული ადგილია.

და მართლაც, **როგორც კი მცირე სერს გადავალთ და ბილიკი ჩრდილოეთით გადაუხვევს, ტანდაბალი ხეებითა და ჟანგისფერი კლდეებით მოხატულ ვიწრო ხეობაში აღმოვჩნდებით. ხეობის შუაგულში პატარა ნაკადული ვერცხლისფრად ელავს მზეზე. ერთგან ჯებირის ნაშთებია, რომელიც გარდი-გარდმო გაწოლილა ნაკადულის კალაპოტში. მოშორებით, კლდიდან, რამდენიმე პარეხი შემოგვცქერის, ხელმარჯვნივ, კლდეში კი მოზრდილი გვირაბია გამოკვეთილი.**

— ჩვენი შორეული წინაპრების ნახელავია, — მუხრან თაქთაქიძე ულვაშს იწვალებს და განაგრძობს — ბოლოს პასკევიჩის დროიდან მოყოლებული, აქ ქურთები ცხოვრობდნენ. რამდენიმე ადგილზე პატარ-პატარა წყალშემკრებებია. ეს ნაკადული რუს საშუალებით გვირაბში გადადიოდა. მთელი საირიგაციო სისტემაა.

ლოდიდან ლოდზე ხტუნვა-ხტუნვით ქვევით ვეშვებით გვირაბთან. ის ახლა ორ ნაწილადაა გაყოფილი, რადგან ჟამთა სვლას შუაში ჩაუნგრევია. სიმაღლეში 2 მეტრია, სიგანეში — 1,5 მ, სიგრძეში — დაახლოებით 10 მ წყალი, რომელიც აქ გაედინებოდა, მოშლილი სადინარის გამო, ბუნებრივ კალაპოტს დაბრუნებია.



ზედა ბილიკისკენ მივბობღავთ და აკაკის ხესთან ვისვენებთ. ხიდან 8-10 მეტრში ის პარეხებია, შორიდან რომ თვალი მოვკარით. ეს, ფაქტობრივად ერთი, სამსართულიანი ეკლესია და მისგან ხელმარჯვნივ არსებული დერეფანია, რომელიც კლდის მეორე მხარეს გადის. ეკლესიასა და დერეფანს შორის კლდე მორღვეულია და ახლა ფიცარი გაუდვიათ.

ეკლესიის პირველ სართულზე საძვალე ყოფილა, ზედა ორ სართულზე კი სამლოცველოები, რომლებიც ვიწრო ლუკში ამავალი საფეხურებით უკავშირდებიან ერთმანეთს. განსაკუთრებით საინტერესოა ზედა სამლოცველო, სადაც რამდენიმე ნიში, კლდეშივე ნაკვეთი ტრაპეზის ქვა და მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომი ხარისხია. მზის შუქი ერთადერთი სარკმლიდან აღწევდა ადრე, ახლა კი კლდეში მეორე დირეც გაჩნდა, სადაც მცირე ხის ჯვარია ჩადგმული. კომპლექსი VIII-IX საუკუნეებისა უნდა იყოს.

— რა ჰქვია ამ კომპლექსს და ადგილს? — ვეკითხები მუხრანს.

— **სადაყუდაბელო...**

ბერად დაყუდება ჩვეულებრივ სამონასტრო ცხოვრებაზე მკაცრია. სიტყვა დაყუდება უდევს საფუძვლად საყდარს, ხოლო თავის მხრივ, საყდარი თავდაპირველად, ეკლესიის ამბიონს ერქვა მხოლოდ, სადაც ბერი ლოცვაში იყო დაყუდებული.

სადაყუდაბელო, ანუ ბერთა სადგომი სამოთხის მსგავსი ალაგია.

ვზივართ აკაკის ჩრდილქვეშ და ვდუმარებთ, უფრო სწორად, ყველა ჩვენებურად ვნეტარებთ ამ სამოთხეში.

ავტორის ფოტოები

ჰოროსკოპი

27 მაისი

ვერძი — კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისთვის. თუ კვირის განმავლობაში თავი აარიდეთ გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმას, პოზიტიური ცვლილებების სურვილი გაგიჩნდებათ. თუ ზედმეტ ემოციურობასა და მოუთმენლობას გამოავლენთ, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.

კურო — დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა აქტიური დასვენებისთვის. ფიზიკური ვარჯიშების ან სუფთა ჰაერზე მუშაობისთვის. ვარსკვლავები ხელს უწყობენ მოგზაურობას, ნებისმიერი მგზავრობა წარმატებული იქნება.

ტყუპები — ტყუპებისთვის დღე კოსმიური ენერგიის მიღებას უკავშირდება. ამ დღეს ვარსკვლავები გირჩევენ, ენერგიულად შეუდგეთ საქმეს. არ არის გამორიცხული ბიზნესსაქმიანობის გააქტიურება, სიყვარულში კი ყველაფერი ძველებურად დარჩება. თავი აარიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს — მას არასასურველი შედეგები მოჰყვება.

კირჩხიბი — დღე ოჯახს, სახლს მიუძღვენით, კარგად გაერკვიეთ საკუთარ გრძნობებში. შეგიძლიათ ახალ პროექტებზე დაფიქრდეთ, მაგრამ მასშტაბურ საქმეს ნუ წამოიწყებთ.

ლომი — მოემზადეთ პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ახალი ნაცნობობის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ — მხოლოდ ასე შეძლებთ, დიდი ხნის ოცნების ასრულებას.

ქალწული — ქალწულებისთვის დღე სულიერ გარდასახვას უკავშირდება. შესანიშნავი დღეა პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობისთვის, კომერციული ოპერაციებისთვის. მგზავრობა, შეხვედრები და ახალი საქმეები, რაც თქვენი საქმიანობის გაფართოებას უკავშირდება, დადებით შედეგებს მოიტანს.

სასწორი — კარგი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისთვის, მშენებლობისთვის, ქორწინებისთვის, აქტიური დასვენებისთვის, მალე მოგეცემათ შესაძლებლობა, ის შედეგი მიიღოთ, რასაც დიდხანს ელოდით.

ღრიანკალი — პასიური დღეა, რომელიც არ შეიტანს სერიოზულ ცვლილებებს ცხოვრებაში. მშვიდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობები, დაკავდით სახლის კეთილმოწყობით, წვრილმანი შენაძენი გააკეთეთ, მაგრამ მოთოკეთ ემოციები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლობლებთან კამათი გარდაუვალია.

მშვილდოსანი — თუ მოგზაურობა გაქვთ დაგეგმილი, სჯობს, გადადოთ. დღევანდელი მოვლენები თქვენი შინაგანი განწყობის გამოვლინებაა. ფინანსური მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდება, თუმცა პროფესიული თვალსაზრისით გარკვეული სირთულე გელით.

თხის რქა — დღე სიმშვიდესა და წონასწორობას გპირდებათ. შესაძლოა, ვითარების ბატონ-პატრონი გახდეთ. არ არის გამორიცხული ოჯახური უთანხმოება, რაც თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. არ არის რეკომენდებული ხანგრძლივი მოგზაურობა. დღე დასვენებას მიუძღვენით.

მერწყული — ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან. კარგი პერიოდია სპორტით დაკავებისა და უცხო ენების შესწავლისთვის. ძლიერდება სექსუალური პოტენციალი და ინტუიცია. იმედი გქონდეთ, რომ თქვენი მომხიბვლელობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს.

თევზები — კარგი დღეა კომერციული ოპერაციებისთვის, საქმიანი აქტიურობისთვის, შემოქმედებისთვის, სიყვარულისა და ოჯახური ურთიერთობებისთვის. მოემზადეთ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს — შეეცადეთ დიდი ხნის სურვილი აისრულოთ.

მყიდველებს მანეკენები გააკონტროლებენ

ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური კომპანია Benetton საკუთარ მაღაზიებში ახალ მანეკენებს დააყენებს, რომლებიც კლიენტებს ჩამონტაჟებული კამერებით გააკონტროლებენ. მანეკენები კომპანია Almax SpA-მ შექმნა და მათ EyeSee უწოდეს. მანეკენს კამერა ერთ-ერთ თვალში აქვს და ის შეუმჩნეველია მაღაზიაში შესული მომხმარებლისთვის. როგორც Benetton-ში აცხადებენ, კამერები მაღაზიების კლიენტებზე ინფორმაციისთვის სჭირდებათ, რათა მწარმოებელმა საკუთარი კოლექციის კორექტირება მოახდინოს.

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

გთხოვთ დარეკოთ

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუ

ადვილი

	8			7	6			
4							7	
	7	6	4		2	1		
			8					4
			7	1	3			
3					9			
		5	2		7	6	8	
	2							1
			3	6			4	

სტანდარტი

			1	4		5		
3	8			9				4
	1							
2			5			4		6
	7			8			5	
5		3			4			8
							3	
6				5			9	7
		7		1	6			

რთული

							1	4
		8		6				
5					1	9	6	
	5			1	8		2	3
			6		4			
7	6		2	9			8	
	1	9	5					6
				2		3		
4	7							

ექსპერტი

	5			4		1		9
4				2		8		
			9		3		4	2
			3			9	8	
	3	1			6			
3	6		4		5			
		7		6				3
9		5		3			7	

1.ზოდიაქოს ნიშანი, იგივე ტყუპები
2. კლოუნის ნომერი ცირკში
3. უნგრული ხალხური ცეკვა
4. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
5.კარდინალთა საბჭო ვატიკანში
6.დეკორატიული ბუჩქი
7. წყლის საათი
8. ჯუჯა კამეჩი
9. გემის ტარების სპეციალისტი
10. რელიგიის გამავრცელებელი, ქადაგი
11. ფრანგი მომღერალი პატრიცია ...
12. იგივეა, რაც ტალანტი
13. ოდისეევსის მეუღლე
14. ძალიან ბრაზიანი
15. ამერიკელ ინდიელთა ტომი
16. თურქული მარგარინის მარკა
17. ჩუქურთმია-ნი ქვა ბეჭედში
18. სქელი უძირო წინდა
19. თბილისის უბანი
20.ფრანგ. არაყი
21.ღვთაებრ. მხსნელი
22. სატანგარეკიშო იარაღი
23. ღამის ფრინველი
24. იგივეა, რაც რინიტი
25. ექსტრემტად ოქმული სატირული ლექსი
26. ქართული საბრძოლო ხელოვნება
27.„ბმვ“ მანქანების ჟარგონული სახელწოდება
28. „კბილებიანი“ ბოსტნეული
29. ბავშვთა დაავადება
30. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
31. ბედიღბლის ღვთაება რომ მითოლ.
32. „მარადიურია“
33. პატარა ელექტრონორგანი
34. წრეწირის ნაწილი
35. ეგვიპტის ნახევარკუნძული
36. ბერძნული ხალხური ცეკვა
37.ბუტიკში კოლექციის შემესები პირი
38. ქრისტეს ნათლია
39. სხვა ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობა
40.პირის ღრუს ზედა ნაწილი
41. ხალიჩის ძველქართ. სახელწოდ.
42. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ansamblი
43.უმც. ნატურალური ლუწი რიცხვი
44. ფრანგი ფილოსოფოსი
45. ოქროს მთლიანი ნაჭერი
46. შიშველი სხეული მხატვრობაში
47. გერმანული გვარების წინსართი
48. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი
49.ბარბადოსელი მომღერალი ქალი
50. ამერიკელი უსინათლო მომღერალი
51. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
52. ზნეობრივი დასკვნა, გაკვეთილი
53. სარძევე ვირკვლის ანთება
54. იგივეა, რაც გაზი
55. ბაქტერიის სახეობა
56. შუადღის პურის ჭამა
57.საბჭ. თვითმფრინავების მარკა
58.კუტდივუარელი ფეხბურთელი - ტურე
59. ბერძნული ანბანის მეთექვსმეტე ასო
60. ნახვამდის - ფრანგულად
61. თავისუფალი ფორმის ნარკვევი

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	5	4	3	1	2	9	8	7
7	8	3	9	6	5	4	2	1
2	1	9	4	8	7	6	3	5
4	3	8	2	7	1	5	6	9
9	7	6	5	3	4	2	1	8
5	2	1	8	9	6	7	4	3
3	9	7	6	4	8	1	5	2
1	6	5	7	2	3	8	9	4
8	4	2	1	5	9	3	7	6

სტანდარტი

3	7	4	6	5	2	1	9	8
2	1	6	9	8	4	3	7	5
9	8	5	3	1	7	6	2	4
7	6	9	1	4	3	8	5	2
5	4	3	2	9	8	7	1	6
8	2	1	7	6	5	9	4	3
6	5	2	8	7	1	4	3	9
4	9	7	5	3	6	2	8	1
1	3	8	4	2	9	5	6	7

ადვილი

5	4	2	7	8	6	3	1	9
9	3	8	5	4	1	7	2	6
7	1	6	2	3	9	4	8	5
1	9	7	8	6	5	2	4	3
8	6	5	4	2	3	1	9	7
4	2	3	1	9	7	5	6	8
6	5	4	9	7	2	8	3	1
3	8	1	6	5	4	9	7	2
2	7	9	3	1	8	6	5	4

სტანდარტი

8	5	7	9	2	3	4	6	1
6	4	3	1	7	5	2	8	9
2	1	9	8	6	4	3	7	5
3	9	5	6	1	8	7	4	2
4	6	2	5	9	7	1	3	8
7	8	1	4	3	2	9	5	6
1	7	8	3	5	9	6	2	4
5	3	6	2	4	1	8	9	7
9	2	4	7	8	6	5	1	3

რთული

3	9	2	5	8	7	1	6	4
1	6	8	3	4	2	9	7	5
4	7	5	9	1	6	3	2	8
9	4	7	2	5	1	6	8	3
5	8	6	7	3	9	4	1	2
2	3	1	4	6	8	7	5	9
8	2	9	6	7	4	5	3	1
7	5	4	1	2	3	8	9	6
6	1	3	8	9	5	2	4	7

ექსპერტი

5	4	1	9	8	2	3	7	6
9	8	3	1	7	6	5	4	2
7	6	2	5	4	3	1	9	8
8	5	9	4	6	7	2	3	1
2	3	4	8	5	1	7	6	9
1	7	6	3	2	9	8	5	4
6	2	8	7	9	5	4	1	3
4	1	7	6	3	8	9	2	5
3	9	5	2	1	4	6	8	7

რთული

7	8	2	6	1	5	4	9	3
1	3	9	8	4	7	6	5	2
6	5	4	3	2	9	8	1	7
5	9	7	4	3	8	2	6	1
3	1	8	2	9	6	7	4	5
4	2	6	7	5	1	3	8	9
2	6	5	1	7	4	9	3	8
9	4	3	5	8	2	1	7	6
8	7	1	9	6	3	5	2	4

ექსპერტი

5	8	7	4	2	1	3	6	9
6	4	3	9	8	7	2	5	1
2	1	9	6	5	3	8	7	4
8	9	1	7	6	5	4	3	2
4	6	2	3	1	9	5	8	7
7	3	5	2	4	8	1	9	6
3	2	8	1	9	6	7	4	5
1	7	6	5	3	4	9	2	8
9	5	4	8	7	2	6	1	3

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

მე-17 გვერდი: 1. თინათინი; 2. აკვედუკი; 3. ამბარი; 4. აქანდაზი; 5. კაპიტოლიუმი; 6. თეატრი; 7. ნუდისტი; 8. თემიდა; 9. ალიზი; 10. დოში; 11. ზორო; 12. რინიტი; 13. ნეაპოლი; 14. აზდაკი; 15. ვარანი; 16. ქადა; 17. მიელიტი; 18. პრეზენტი; 19. პრიშტინა; 20. „აიდა“; 21. დანია; 22. მიქსერი; 23. ობერტონი; 24. რასპე; 25. ნისია; 26. სიათა; 27. რიკული; 28. „ილოური“; 29. უნია; 30. პადრე; 31. აბუ; 32. ბარბი; 33. ტორტი; 34. რარიტეტი; 35. აპია; 36. ტყვია; 37. ტიკი; 38. ალპინისტი; 39. პოლ; 40. კიბე; 41. როზალია; 42. ლარგო; 43. ულაყი; 44. ნაია; 45. იონი; 46. ლომი; 47. კუტუნიო; 48. ლისეო; 49. „დდტ“; 50. ილი; 51. ფხა; 52. ცრუ; 53. უსტარი; 54. ისლი; 55. ვანილი; 56. ორდერი; 57. ფიცი; 58. ესავი; 59. მედიე; 60. ერიკ; 61. ელ; 62. ხე; 63. მუცალი; 64. ინტი; 65. ბოა; 66. შალი; 67. ერი; 68. ლიე.

მე-20 გვერდი: 1. კამბალა; 2. „აპოკალიფსი“; 3. პუნში; 4. კარლო; 5. მაზინა; 6. აბულია; 7. ამიმია; 8. არხარი; 9. ჯორდანი; 10. ვარანი; 11. მზიური; 12. ტრაქტი; 13. მნიშვნელი; 14. ხვალ; 15. „ხორუმი“; 16. ლოჯია; 17. ლემპირა; 18. ინტიმი; 19. არაკი; 20. აიშვარია; 21. ანარა; 22. რეალია; 23. პლატონ; 24. ნისლი; 25. შაქარი; 26. „ტიიდა“; 27. აირი; 28. რახათლუხუმი; 29. ვიტ; 30. აპარტეიდი; 31. რემიქსი; 32. კრიშნა; 33. პო; 34. დილოგია; 35. ველ; 36. ციტოლოგია; 37. რაცია; 38. დიდავა; 39. როკო; 40. აუტი; 41. არეალი; 42. ვალაბი; 43. ოხრა; 44. ხმალი; 45. ოდრი; 46. „ოდოია“; 47. ოთხი; 48. სირ; 49. ტილი; 50. ალთაი; 51. ბაზა; 52. მაიკლ; 53. ივრითი; 54. იჩქერია; 55. როჯერ; 56. რიშარი; 57. ბოუი; 58. იური; 59. ბასილა; 60. ინგირი; 61. ზარალი; 62. ხვიჩა; 63. არა; 64. „ილიადა“; 65. ოზმა; 66. ქურუმი; 67. ლირი; 68. იობი; 69. მირეი; 70. ფიფა; 71. ფანჯიდუ; 72. შაბათი; 73. თამამი; 74. რე; 75. ლენა; 76. ნეი; 77. თინა; 78. ბაო; 79. თრითინა; 80. ლოტოტრონი; 81. ოლიფა; 82. ოე; 83. მონა; 84. ნება; 85. „ნივეა“; სურთზე: ორქიდეა.

ჰოროსკოპი
28 მაისი

ვერძი — დღეს თქვენზე ბევრი არაფერი იქნება დამოკიდებული. ვითარების შეცვლისა და მოვლენებისთვის სასურველი მიმართულების მიცემის მცდელობა, უშედეგო იქნება. ასე რომ, დაფიქრდით, ღირს კი რამის შეცვლა? თქვენ სწორი მიმართულებით მიდიხართ და ნუ ეცდებით დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვას.

კურო — კუროებს ვარსკვლავები არ ურჩევენ დიდ კამპანიაში მოხვედრას. შესაძლოა, უსიამოვნო ისტორიაში გაეხვიოთ, რომლის შედეგების განსაზღვრაც რთული იქნება. სჯობს, ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანებით შემოიფარგლოთ და ეს დღე შინ გაატაროთ.

ტყუპები — ტყუპებს, შესაძლოა, დღეს ცრუ ინფორმაცია მიაწოდონ. თუ მას დაიჯერებთ, იზარალებთ ან ახლობელთან იჩხუბებთ, ამიტომ ფაქტები საგულდაგულოდ გადაამოწმეთ და ნუ მიიღებთ დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს.

კირჩხიბი — დღეს ძალიან სასარგებლოა ექსპერიმენტების ჩატარება, გარემოს გამოკვლევა და ასევე საკუთარი თავის გამოცდა. თქვენი ინტერესების სფერო ამოიარჩიეთ და შეეცადეთ, საგნებს ახლებურად შეხედოთ, შეცვალეთ ქცევის ტაქტიკა და გარშემომყოფებთან ურთიერთობა უფრო გაგიადვილდებათ.

ლომი — ლომებს შემოქმედებითი წინსვლა ელით. ნაკლები ყურადღება მიაქციეთ თქვენს ირგვლივ აგორებულ ჭორებს, ემოციებს არ აყვეთ და მოთმინებით დაელოდეთ, როდის დაუბრუნდება ვითარება ჩვეულ კალაპოტს.

ქალწული — ქალწულების ემოციური ფონი დღეს მკვეთრად აწეულია. ძალიან მწვავედ აღიქვამთ ყველაფერს, რაც თქვენს ირგვლივ ხდება. ერთი მხრივ, ეს დაგეხმარებათ უკეთესად გაერკვეთ მოვლენებში, მაგრამ მეორე მხრივ — არის გარშემომყოფებთან ურთიერთობის დაძაბვის რისკი.

სასწორი — თუ დღეს მოწყენილობას იგრძნობთ, ესე იგი, გართობის დრო დადგა. მეგობრების ხმაურიან კამპანიაში გაერთეთ და მიხვდებით, რომ ცხოვრება ისეთი პირქუში არ არის, როგორც გეგონათ.

ღრიანცელი — ახალი ნაცნობობა დღეს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს მოგიტანთ. შეეცადეთ, თავი ბუნებრივად დაიჭიროთ, მაგრამ ნუ ჩაიკეტებით. თუ ადამიანი მოგეწონებათ, მას ეს ტაქტიკურად აგრძნობინეთ.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებმა დღეს ცოტა ეშმაკობა უნდა გამოიჩინონ. შესაძლოა, დღეს უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, მაგრამ ნუ ინერვიულებთ იმაზე, რაც თქვენგან დამოუკიდებლად ხდება.

თხის რქა — დღეს თქვენი აზრები სახლს, ბავშვებსა და ოჯახურ საქმეებს უკავშირდება. ეს საზრუნავი არ იქნება დამძღელი, განსაკუთრებით, თუ გამჭრიახობას გამოიჩენთ, არც დასვენება დაივიწყოთ.

მერწყული — მერწყულებს დღეს ვარსკვლავები ურჩევენ, დრო მეგობრებთან ერთად, ბუნებაში გაატარონ, ეს დაგეხმარებათ არსებული კონფლიქტი მარტივად მოაგვაროთ და ეოველდღიურობასაც ცოტა ხნით აარიდოთ თავი.

თევზები — დღეს უამრავ განსხვავებულ ადამიანთან მოგიწევთ ურთიერთობა. აღიჭურვეთ მოთმინებით, ეველა თავაზიანი არ იქნება თქვენს მიმართ, მაგრამ ასეთ წვრილმანებს ნაკლებად მიაქციეთ ეურადღება.

სამკაული დედის რძისგან შექმნეს

ფრანგი ხელოვანების ჯგუფმა მსოფლიოს გაოცება გადაწყვიტა — მათ სპეციალური ტექნოლოგია შეიმუშავეს, რომლის მეშვეობითაც სამკაულს ყველაზე უჩვეულო მასალისგანაც კი ქმნიან. Duende-მ სამკაულის კოლექცია წარადგინა, რომელიც დედის რძისგანაა დამზადებული და მას perle de lait-ს (რძის მარგალიტს) უწოდებენ. ამ გამოგონებას კომერციული მიზნებისთვის ჯერ არ გამოიყენებენ, თუმცა ფრანგი დიზაინერები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე ნებისმიერი დედა შეძლებს საკუთარი რძისგან სამკაული დაამზადებინოს და ფეხმძიმობის სამახსოვროდ შეინახოს.

მტრედი რეკორდულ ფასად გაიყიდა

ამ ყველაზე სწრაფი ფრინველის, სახელად „ელვას“ ბედნიერი მფლობელი ჩინელი ბიზნესმენი გახდა, რომელმაც აუქციონზე ბელგიური მტრედი 400 ათას დოლარად შეიძინა. ამ „სწრაფმავალი“ მტრედის ჯიში ჩიტების ცნობილმა სელექციონერმა, ლეო ჰეირემანსმა მოაშენა. აუქციონის ორგანიზატორთა თქმით, ლეოს გამოზრდილი მტრედები სპეციალისტებისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პიკასოს ნამუშევრები კოლექციონერისთვის. აუქციონზე ჰეირემანსმა ყველა ფრინველი გაყიდა და ჯამში, ხუთ მილიონ დოლარზე მეტი აიღო. მტრედების უმრავლესობა ჩინელმა და ტაივანელმა ბიზნესმენებმა იყიდეს და ამ უნიკალური ფრინველების აზიაში გადაბარგების ფაქტმა სერიოზულად შეაშფოთა მტრედების ევროპელი მომშენებლები. მათი აზრით, მალე საუკეთესო ფრინველები ჩინეთში იქნება და „ბებერ კონტინენტზე“ მათ მოსაშენებლად ღირსეული ეგზემპლარები აღარ დარჩება.

ჩინელი მშობლები შვილებს მაჭანკლობენ

აღმოჩნდა, რომ საუკეთესო მაჭანკლები სწორედაც რომ ჩინელი მშობლები არიან — ისინი შვილებისთვის საქმროებსა და საცოლეებს ქალაქ შანხაის ერთ-ერთ პარკში, თოკზე გაკიდული განცხადებების საშუალებით ეძებენ. მშობლები გასათხოვარი ან დასაქორწინებელი შვილების პირად ინფორმაციას, საკონტაქტო მონაცემებსა და ფოტოსურათებს ფურცელზე აკრავენ და ქალაქის პარკში, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სარეცხივით გამოკიდებენ. ყველაზე მეტი მოთხოვნა ჩინეთში იმ მამაკაცზეა, რომელსაც პირად მონაცემებში მითითებული აქვს, რომ ჰყავს ავტომობილი, აქვს ახლად გარემონტებული ბინა. ძლიერი სქესისთვის კი ყველაზე მიმზიდველია განცხადება, სადაც გასათხოვარი ქალბატონის მონაცემებში წერია: „ვარ ზრდილობიანი, კეთილი, მაქვს სტაბილური სამსახური“. პოპულარულია ასევე განცხადებები, სადაც აღნიშნულია, რომ კარგი პროფესიის არის და აქვს უნივერსიტეტის დიპლომი. ჩვენი შვილები დაკავებულები არიან და გადატვირთული გრაფიკის გამო, პაემანზე წასვლის დროც კი არ აქვთ. ზოგჯერ სასურველ პარტნიორს ვერ პოულობენ, — აცხადებენ ჩინელი მშობლები.

სოციალურ ქსელში გაკრიტიკებისთვის დააპატიმრეს

ინდოეთში რამდენიმე ქალი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ხელისუფლების კრიტიკის გამო დააპატიმრეს. ერთ-ერთი მათგანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ პოპულარული ინდოელი ნაციონალისტი პოლიტიკოსის გარდაცვალების შემდეგ, მუმბაიში ყველა ოფიციალური დაწესებულება დახურეს. მეორე ქალბატონის „დანაშაული“ კი ის იყო, რომ მეგობრის ეს სტატუსი მოიწონა, ისინი „რელიგიური გრძნობების შელახვაში“ დაადანაშაულეს, თუმცა მოგვიანებით, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

პომადა სილიკონს შეცვლის

მეცნიერებმა სრულიად ახალი და უნიკალური კოსმეტიკური პროდუქტი შექმნეს — ტუჩის საცხი, სახელწოდებით Red 27, რომელიც ადამიანის სხეულის ტემპერატურასა და p-H-ის ბალანსზე რეაგირებს. ჩვეულებრივი ტუჩის საცხისგან განსხვავებით, სიახლე განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევა, ტუჩზე რამდენიმე საათის განმავლობაში რჩება და მას ვერანაირი კოსმეტიკური საშუალებით ვერ მოიცილებთ. ქალები, რომელთაც ახალი პომადა გამოსცადეს, ამტკიცებენ, რომ ის ტუჩის კანის იდეალურ შეფერილობას იძლევა და ვიზუალურადაც ადიდებს ტუჩს.

ღორებს მარიხუანას აჭმევს

მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის შტატში მარიხუანას გაყიდვა ლეგალიზებული გახდა, ერთ-ერთი რანჩოს მფლობელმა უილიამ ფონ შნაიდაუმ, ხორცის ხარისხის ასამაღლებლად, ღორების კანაფით კვება დაიწყო. მცენარის ფოთლები განსაკუთრებული დიეტის ნაწილია, რომლის წყალობითაც, ღორები სწრაფად სუქდებიან, მათი ხორცი კი საუკეთესო გემოს იძენს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ექსპერიმენტი არ არის უილიამის ფერმაში. მისი ღორების საკვებში ასევე მარცვლეული ნედლეული შედის, რომელიც ადგილობრივ ღვინის საწარმოს ვისკის დისტილაციის შემდეგ რჩება.

სუდოკუ

ადვილი

					7	2		
	6	5		9			3	
3			1					
8	2		7		6			3
	3			4			9	
5			9		3		2	6
					4			9
	8			2		7	5	
		6	8					

სტანდარტი

		3			2			1
4				6	8			3
	8		5					
						2	1	6
	1						9	
7	4	6						
					5		8	
8			3	7				5
6			1			3		

რთული

6	4		9					
2								3
			6		8		9	5
	8				1	9		
		1	4				7	
4	1		7		9			
8								2
					6		3	9

ექსპერტი

	3		8		7	4		2
6			5		2	1	9	
								5
				7	6	3		4
				9				
1		3	4	2				
3								
	6	2	7		3			1
7		5	6		1		4	

კალიუმი ინფარქტისგან გვიცავს

კალიუმი ამცირებს სისხლის წნევას და ამ გზით გვიცავს ინფარქტისა და აპოპლექტიკური დარტყმისგან. ის, ვინც რეგულარულად იკვებება ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა სოია, ხილის ჩირი, კაკალი ნაკლებად ხვდება ინფარქტისა და ინსულტის რისკჯგუფში. ბოლო დროის აქტუალური კვლევები გვიჩვენებს, რომ კალიუმი გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი ჯანმრთელობისთვის, ვიდრე აქამდე გვეგონა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანმრთელი თირკმლის მქონე ადამიანმა აუცილებელია, დღეში 3 500 მგ კალიუმი მიიღოს, ერთი დღის ნორმას კი შეიცავს 100 გრამი გარგრის ჩირი, ან 100 გრამი სოიას მარცვლები, რისი მიღების შედეგადაც წნევა ქვეითდება და აპოპლექტიკური დარტყმის რისკიც 24%-ით მცირდება, ასევე აუცილებელია მიიღოთ 200 გრამ კარტოფილი, 200 გრამი ღორის ხორცის ფილე, 200 გრამ ბროკოლი და 50 გრამი ნუში.

საუკეთესო ვარსკვლავური მამა ბექჰემია



პოპულარული გამოცემები ყოველწლიურად აქვეყნებენ ცნობილი ადამიანების რეიტინგებს, რომლებიც, მათი თაყვანისმცემლების მოსაზრებით, სამაგალითო მშობლები არიან. მაგალითად, ჰოლივუდის საუკეთესო მამების სიაში, ტრადიციულად, ლიდერობენ ბრედ პიტი, მეთიუ მაკკონაჰი და ჰიუ ჯეკმანი, ტომ კრუზი კი წელს, ათეულშიც ვერ მოხვდა, რადგან კინოკარიერით დაკავებულმა მსახიობმა ქალიშვილის დაბადების დღეზე მისვლაც ვერ მოახერხა. ცნობილი მამების რეიტინგი ბრიტანელებმაც შეადგინეს და გაირკვა, რომ საუკეთესო მამად ისინი მრავალშვილიან დევიდ ბექჰემს მიიჩნევენ, მეორე საფეხურზე, ყველასთვის მოულოდნელად, პრინცი უილიამი აღმოჩნდა. რეიტინგის პირველ ათეულში აღმოჩნდნენ: ოთხი შვილის მამა ჯეიმი ოლივერი, დევიდ უილიამსი, დევიდ კემერონი და კრის მარტინი.

ყავა ღვიძლის საშიშ დაავადებას ეწინააღმდეგება

მედიცინაში უკვე დიდი ხანია ცნობილია პირველადი სკლეროზირებადი ჰოლანგიტიის — ღვიძლის აუტოიმუნური დაავადების შესახებ, რაც ციროზს, ღვიძლის უკმარისობასა და კიბოს იწვევს. ცოტა ხნის წინ, ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა, რომ ყავის რეგულარული მიღებით ამ საშიში დაავადების რისკი მცირდება. აუტოიმუნური დაავადება საკმაოდ იშვიათად გვხვდება, მაგრამ მისი წარმოშობის შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობა უზარმაზარ დარტყმას იღებს.

კონცერტი ცაში

ცოტა ხნის წინ, ჟენევის მცხოვრებლები უჩვეულო კონცერტის მომსწრენი გახდნენ. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე პიანისტმა ალენ როშემ, 20 მეტრის სიმაღლეზე აწეულ როიალზე რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა. უჩვეულო კონცერტი წითელი ჯვრის მუზეუმის გახსნას მიეძღვნა, მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანი კი, კლასიკური კონცერტით ძალიან კმაყოფილი დარჩა. მუსიკის მოყვარულები აღნიშნავდნენ, რომ ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში ინსტრუმენტს განსაკუთრებული ჟღერადობა ჰქონდა.

ჰალსტუხი წათვლემაში დაგეხმარებათ

უახლოეს მომავალში, გადაღლილი იაპონელი მუშაკები შეძლებენ, პირდაპირ სამუშაო ადგილზე წათვლიმონ და ეს ახალი გამოგონების — ჰალსტუხი-ბალიშის მეშვეობით მოახერხონ. „საძილე“ ჰალსტუხი — ეს გარდერობის უნიკალური, გასაბერი დეტალია, რომელიც დაღლილ ოფისის თანამშრომლებს სამუშაო მაგიდასთან კომფორტულად წათვლემის საშუალებას მისცემს. გარეგნულად ბალიში ჩვეულებრივი ჰალსტუხია, თუმცა მის უკანა ნაწილზე დაფარული ნახვრეტია, საიდანაც მისი გაბერვა შეიძლება და ის ადვილად იქცევა რბილ ბალიშად. თავად ჰალსტუხი აბრეშუმისა და სპეციალური ბოჭკოებისგან არის დამზადებული, რომლის წყალობითაც, ცხელ დღეებშიც ის გრილი დარჩება.

აღკოჰოლს საპარიკმახეროებში გაყიდიან

სპირტიან სასმელს მალე საპარიკმახეროებში, სპა-სალონებსა და მომსახურების სფეროს სხვა დაწესებულებებში გაყიდიან კანადაში, კერძოდ კი, მანტობას პროვინციაში მოხდება. რეგიონის ხელისუფლება ამჟამად ალკოჰოლის რეალიზაციის წესებზე მსჯელობს, მართალია ღვინის, ლუდისა და კოქტეილების რეალიზაცია ნებადართული იქნება, მაგრამ მომსახურების სფეროს ამ დაწესებულებებს, ბარებისა და რესტორნების მსგავსად, შესაბამისი ლიცენზიის აღება მოუწევთ. სილამაზის სალონების მფლობელების აზრით, ახალი კანონი კლიენტთა მოზიდვაში დაეხმარება.

„ასკანელი ძმების“ პროდუქციამ, ლონდონში, საერთაშორისო ფესტივალზე, სამი ახალი აღიარება მოიპოვა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

23 მაისს, ელიტური ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელმა კომპანიამ — „ასკანელი ძმები“ მედიატური მოაწყო — ჟურნალისტებმა ლილოში მდებარე ქარხანა დაათვალიერეს, სხვადასხვა წლოვანების ქართული ბრენდი და ღვინო დააგემოვნეს, ლაბორატორიის მუშაობასა და, რაც მთავარია, ღვინისა და კონიაკის ჩამოსხმის პროცესს გაეცნენ. ქარხანაში მედიის წარმომადგენლებს სასიამოვნო სიურპრიზი დაგვხვდა — ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერების ფონზე, კომპანიის გამოშვებულ სხვადასხვა სახის ღვინოსა და კონიაკს, მართლაც, არაჩვეულებრივი გემო და არომატი ჰქონდა. საწარმოო პროცესის დათვალიერების შემდეგ კი, მედიის წარმომადგენლებს ალაფურშეტით გაგვიმასპინძლდნენ. სპეციალურად სტუმრებისთვის მოწყობილ დარბაზში, თანამედროვე ჰანგები ცოცხალი შესრულებით ჟღერდა.

კომპანია „ასკანელი ძმების“ მედიატური — ხარისხიანი პროდუქციის დეგუსტაცია ცოცხალი მუსიკის ფონზე

კომპანია „ასკანელი ძმების“ ღვინის ქარხანა, რომელიც ლილოში მდებარეობს, 2005 წელს აშენდა და საამისოდ, 5 000 000-ლარიანი ინვესტიცია განხორციელდა. ქარხნის წარმადობა, დღეში, 25 000 ცალი ბოთლია. ქარხანა აღჭურვილია Gavagnino&Gatti-ს და Fimer-ის იტალიური წარმოების უახლესი დანადგარებითა და გერმანული ბრენდ ZEITZ-ის ფილტრაციის სისტემით. ქარხანას ბრენდისა და ჭაჭის სახდელი თანამედროვე აპარატურაც აქვს. რაც შეეხება საკონიაკე სპირტებსა და სამარკო ღვინოებს, როგორც ქარხანაში აგვიხსნეს, მუხის კასრებში ინახება. ქარხანაში მოქმედებს უნიკალური და უძველესი სახდელი, რომელშიც კონიაკს ფრანგული მეთოდით ხდიან.

ქარხნის ლაბორატორიის უფროსმა, **თეა ქიტუაშვილმა** განმარტა, რომ ხარისხის კონტროლი მუდმივად ხორციელდება, რომელიც იმ ნიადაგის შესწავლით იწყება, სადაც ყურძენი იზრდება. მისივე თქმით, ლაბორატორიაში იკვლევენ, რა რეაქტივებით იწამლება ყურძენი ნაადრევ ეტაპზე და სიმწიფეში შესვლისას, იღებენ საერთო შაქრიანობის ანალიზს, დუღილის დროს კი, ინტენსიურად ამოწმებენ გემოზე.

„შემოწმების მეთოდები გოსტირებულია და სასმელი შემოწმებას მხოლოდ ჩვენთან კი არ გადის, არამედ, ნიმუშებს აკრედიტებულ ლაბორატორიაშიც ვაგზავნით. დამოუკიდებელ და სერტიფიცირებულ ლაბორატორიაში ვიღებთ სერტიფიკატებს, რომ პროდუქციის ექსპორტის უფლება ნებისმიერ ქვეყანაში გვქონდეს. რაც მთავარია, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან მხოლოდ მაღალხარისხიან თეთრ და წითელ ყურძენს ვიღებთ“, — აღნიშნა თეა ქიტუაშვილმა.

ალკოჰოლური დუღილის პროცესში, კომპანია „ასკანელი ძმების“ ლაბორატორიის თანამშრომლები მხოლოდ სპეციალურ საფუარებს იყენებენ, რომლებიც ალკოჰოლური ფერმენტაციის საიმედოობას უზრუნველყოფენ და არასასიამოვნო არომატების წარმოქმნას დერმენტაციით ამცირებენ. ქარხანაში მხოლოდ იმ პრეპარატებს იყენებენ, რომლებიც ხარისხიანი სასმელების მიღებას უზრუნველყოფენ.

კომპანია „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელმა, **ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა** აღნიშნა, რომ ქარხანაში საწარმოო სიმძლავრეების ზრდაც იგეგმება:

„ახალი საამქრო პროექტირების ეტაპზეა. მშენებლობა, რომელშიც 3 000 000 ლარის ინვესტიცია ჩაიდება, უახლოეს მომავალში დაიწყება და ISO სტანდარტების სრული დაცვით წარიმართება. ახალი საწარმოო ხაზი არსებული ბაზრების მზარდ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს და ახალი ბაზრების მოძიებაზეც იქნება ორიენტირებული, რაც ხელს შეუწყობს ქარხნის ასორტიმენტის ზრდას“.

ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელის თქმით, კომპანიას ინტენსიურ კონსულტაციას უწევენ უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის — მოლდოვას დამსახურებული მეღვინე, პროფესორი ივან პრიდა, ცნობილი ჩეხი დეგუსტატორი მილოშ მიხლოვსკი და ფრანგი სომელიე, ღვინის სპეციალისტი ჰიუგ ბო. ამასთან, ქარხნის სპეციალისტები სისტემატიურად იმაღლებენ კვალიფიკაციას — ევროპაში გადიან გადამზადების კურსებს. ამერიკასა და გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტები მათთვის ტრენინგებს საქართველოშიც მართავენ.

რაც მთავარია, კომპანია „ასკანელი ძმები“ მაღალ სტანდარტებს იცავს, რომელიც სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებსა და პარამეტრებს აკმაყოფილებს. კომპანიის წარმოებული სასმელი ექსპორტზე გადის, როგორც აშშ-ში, ასევე უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში.

ცნობისთვის: „ასკანელი ძმები“ 15 წლის წინ დაარსდა და, ქართული ელიტური ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელ კომპანიებს შორის, ერთ-ერთ წამყვან კომპანიად მიიჩნევა. ქარხანა 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოსა და 4 დასახელების ჭაჭას აწარმოებს. „ასკანელი ძმების“ პროდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და სხვადასხვა გამოფენაზე 100-ზე მეტი ჯილდო აქვს მიღებული. კომპანიის ჯილდოების კოლექციას ამ დღეებში Decanter 2013 World Wine Awards-ის სამი ახალი აღიარებაც შეემატა: ლონდონში, დეკანტერის საერთაშორისო ღვინის 2013 წლის ფესტივალზე დაჯილდოვდა „ცოლიკაური 2012 წლის მოსავალი“, „როზე 2012 წლის მოსავალი“ და „საფერავი 2011 წლის მოსავალი“.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.